1 40
1975



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პიონერი

6
1975



მწერალმა თამარ ჩხაიძემ დაწერა ვრცელი დოკუმენტური მოთხრობა „ქარიშხლიანი ბილიკებით", რომელშიც ასახულია გამოჩენილი რევოლუციონერისა და საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწის სერგო ორჯონიკიძის ცხოვრება. გბეჭდავთ ნაწყვეტს ამ მოთხრობიდან.

**თამარ ჩხაიძე**

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

# ქარიშხლიანი ბილიკებით

პიონერი
6
ივნისი
1975
საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კარგი დასაწყისი

ტალღებაქოჩრილმა ზღვამ ჩაიყვანა სერგო გუდაუთაში. უკან დარჩა სიყრმის თბილისი და მშობლიური სოფელი ღორეშა.

ლუზის ჩაშვების ხმამ გამოარკვია ფიქრებიდან.

— სწრაფად, სწრაფად! — გასძახოდა ულვაშა მატროსი მგზავრებს და გემიდან ნაპირზე ქამანდივით გასროლილ ვიწრო ხიდზე ატარებდა.

— თქვენი ბარგი? — ჰკითხა მან სერგოს.

— ბარგიც მე ვარ და მგზავრიც! — მიუგო სიცილით სერგომ და ნაპირისაკენ გაუყვა.

— არა, მე ისე, იქნებ დაგრჩათ, ძმობილო! — დაადევნა ულვაშამ სერგოს. ბოლოშიც ისმოდა მის თქმაში და მეგობრული სითბოც.

„კარგი დასაწყისია", — გაიფიქრა სერგომ და ულვაშას ხელი დაუქნია.

ნაპირზე პირტიტველა, ლურჯთვალება ყმაწვილ მატროსს შეეყარა სერგო პირველად.

— ეი, ვაჟკაც, საექიმო პუნქტს ვერ მიმასწავლი? — ჰკითხა სერგომ ალერსიანად.

— ძია ივანეს მეგობარი ხართ?

— რომელ ივანესი? — გაიოცა სერგომ.

— აი, იმისი, — ყმაწვილმა ხელი გემისაკენ გაიშვირა და ულვაშაზე ანიშნა.

— ჰო, ასე ვთქვათ!

— მაშ მე თვითონ გაგაცილებთ. პავლუშა მქვია.

ერთხანს მდუმარედ მიდიოდნენ. დუმილი პავლუშამ დაარღვია.

— ვასილ კონჯარიას ხომ იცნობ?

— რომელ ვასილ კონჯარიას?

— სანაპირო მატროსს.

— როგორ არა, როგორ არა, შავტუხა რომ არის, ხომ? — თქვა სერგომ ალალბედად.

— დიახ, დიახ, შავტუხა შეარქვა ძია ივანემ კონჯარიას. ბიჭური ბიჭია!

პავლუშამ ცერი ზეაღმართა, აი, ასეთიაო.

ამ დროს ერთსართულიანი ხის შენობაც გამოჩნდა.

— ესეც საექიმო პუნქტი. ხომ არ უნდა დაწვე? იმ ძაღლებმა ხომ არ ჩაგილეწეს გვერდები?

— ვინ ძაღლებმა?

— ვითომ არ იცის! — პავლუშამ მკლავი გაჰკრა სერგოს.

— ჰო, ვიცი, ვიცი. ისეთს ჩავკრავ, რომ სულ ჩავულეწავ ჯინჯილიან სამხრეებს! — სერგომ სიცილით მუშტი მოიღერა.

— ბიჭური ბიჭი ყოფილხარ! — შეაქო პავლუშამ სერგო და ხის შენობაზე მიუთითა, ლენტიანი ქუდი მოიხადა და სერგოს თავი დაუკრა.

პავლუშა გზის ბოლოს უკვე თეთრ წერტილად ჩანდა, სერგომ რომ გაიფიქრა: „ულვაშა ძია ივანე, სანაპირო მატროსი ვასო კონჯარია... კარგი დასაწყისია!"

## ფერშალი

საავადმყოფო ბანაკს უფრო ჰგავდა. ერთმანეთს დაშორებული ხის პატარ-პატარა შენობები იდგა.

ერთ-ერთ ასეთ შენობაში შევიდა სერგო.

— სად შეიძლება საავადმყოფოს გამგის ნახვა? — ჰკითხა ოქროსსათვალიან ქალარა კაცს. — ფერშალი გახლავართ, სამუშაოდ მოვედი.

— მოხარული ვარ, ველირსეთ ბოლოს და ბოლოს! — გამოეგება მოხუცი სერგოს.

— გრიგოლ — სერგო ორჯონიკიძე! — თქვა სერგომ და ხელი გაუწოდა.

— აბრამ ილიას ძე მოსტკოვი, გამგეცა და მთავარი ექიმიც! — მოსტკოვი სერგოს კეთილი თვალებით შესცქეროდა.

— წლეულს დავამთავრე, ბატონო! — დასძინა სერგომ მორიდებულად და დიპლომი გაუწოდა.

— მერე ახალგაზრდავ, მერე. ჯერ ავადმყოფების შემოვლა მოვათავოთ. სერაფიმა, სერაფიმა! — გასძახა დერეფნის ბოლოში მოფუსფუსე თეთრხალათიანს, — მოართვით ამ ახალგაზრდას ხალათი და ხელები დააბანინეთ!

— ინებეთ საპონი, ინებეთ პირსახოცი. აი, ხალათიც! — ღუღუნებდა სერაფიმა. — მეც თქვენოდენა ვაჟი მყავს, როსტოვში სწავლობს საექიმოზე, თითქოს ჩამოგგავთ კიდეც, ახალგაზრდები ყველანი ერთმანეთს ჰგვანან, როგორც ჩვენ, დედები, ვგავართ ერთმანეთს.

სერგომ სერაფიმას თავი დაუკრა და აბრამ ილიჩისაკენ გასწია.

— გშვენით, ყმაწვილო, თეთრი ხალათი, კარგია, კარგი, ავადმყოფებს მოეწონებით, მობეზრდათ ჩემი უჟურება... იცოდეთ, მკურნალის კარგი გარეგნობა და ტკბილი სიტყვა მკურნალობის ნახევარია, დიახ, დიახ!



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

მოსტკოვმა სერგო პალატაში შეიყვანა.

— ეს ჭაბუკი ჩვენი ახალი ფერშალი იქნება, — მიმართა აბრამ ილიჩმა ავადმყოფებს. შემდეგ სერგოს მოუბრუნდა:

— საავადმყოფო სულ ექვსსაწოლიანია. რაიონში ქუნთრუშის ეპიდემიაც მძვინვარებს სხვა სიკეთესთან ერთად.

— ძალიან ცოტაა ექვსი საწოლი...

— ერთი ეს ნახეთ, რენტგენზე გასაშუქებლად სოხუმში უნდა გავგზავნოთ!

გაძვალტყავებული ავადმყოფი დიდრონი, საწყლური თვალებით შესცქეროდა სერგოს.

აბრამ ილიჩმა სერგოს ხელი მოჰხვია და ხის მეორე შენობაში გაიყვანა.

— ესეც შენი საცხოვრებელი. მადლობა სერაფიმას, ბაცილინჯოებისაგან გვიხსნა.

სერგოს თვალწინ ექვსი ავადმყოფი ედგა ექვსსაწოლიან ოთახში, გარეთ კი — მკვნესარეთა რიგი.

დუმილი აბრამ ილიჩმა დაარღვია:

— მიგიღებთ, ჭაბუკო, უმცროსი ფერშლის თანამდებობაზე, თვიური ხელფასი ოცდახუთი მანეთია, ხელს გაძლევთ?

— დიახ! — მიუგო სერგომ.

— ქუნთრუშის ეპიდემიასთან ბრძოლა საშიშია, თანაც ბევრი სიარული მოგიხდებათ. თანახმა ხართ?

— დიახ! — კვლავ მტკიცედ მიუგო სერგომ და აბრამ ილიჩის ჭკვიან თვალებს თვალი გაუსწორა.

## ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო

გუდაუთაში ხე-ტყის რამდენიმე პატარა სახერხი ქარხანა, თამბაქოს საწყობები და ნავმისადგომი იყო. მაგრამ მუშები, სანაპირო და საბაჟოს მეზღვაურები მაინც ბლომად იყვნენ. აბა რას გახდებოდა ექვსსაწოლიანი საავადმყოფო! პატარა იყო დაბა გუდაუთა, სამაგიეროდ სოფლები ჰქონდა შორიახლო მიმოფანტული. სად არ ნახავდით სერგოს: ლიხნში თუ დურიფშაში, აჩანდარასა თუ ალახაძში... ახლა კი, ამ შებინდებისას, ხის კიბის საფეხურებს მიჰყვებოდა, ხელში გამოძახების ფურცელი ეჭირა. ავადმყოფის ბინის კარი დაკეტილი დახვდა. არც კაკუნზე, არც ძახილზე გამოპასუხებია ვინმე. უკან დაბრუნებას აპირებდა, რომ ძველი ყანყალა ხის კიბე ვიღაცის ჩქარმა ნაბიჯებმა შეარხია.

— ააა, ძია ივანე კრავჩენკოს მეგობარს ვახლავარ!

— პავლუშას გაუმარჯოს! — შეანათა სერგომ თეთრი ღიმილი.

— რაო, არ გაგიღეს? ძია ივანეც აქ არის, ალბათ არ იცის, რომ თქვენა ხართ.

— ალბათ, შინ არავინ არის, — თქვა სერგომ.

— რაო, რაო? ათი წუთიც არ იქნება, პაპიროსზე რომ მაფრინეს. ოი, ოი, როგორ გაუხარდება ძია ივანეს თქვენი ნახვა!

— მაშ კარგი, დააკაკუნე!

— დავაკაკუნო? თავის დღეში არ ვაკაკუნებ. აბა ურდული რისთვის არის? — პავლუშამ ხელი სადღაც გაჰყო, რაღაცა მოსწია და კარი გაიღო.

— მობრძანდით.

სერგო დუმდა და ადგილიდან არ იძვროდა. არც ოთახში მყოფნი ეპატიჟებოდნენ.

— ერიჰა, ერთი ამათ დამიხედეთ, უბრად ხომ არა ხართ ურთიერთთან?! — პავლუშამ პაპიროსი რკინის საწოლზე დააგდო, დოინჯი შემოიყარა და შესძახა:

— ასე უნდა სტუმრის მიღება? მე კი ზრდილობას მასწავლით!

— მე სტუმარი არა ვარ, გამოძახებით მოვედი ავადმყოფ კონჯარიასთან.

— მობრძანდით, მობრძანდით, მე ვასილ კონჯარია გახლავართ.

— მე კიდევ — ფერშალი ორჯონიკიძე.

დუმილი ჩამოვარდა. ქერაულვაშა ივანე პავლუშას წყრომით შესცქეროდა. პავლუშა კეფას იფხანდა, ვერაფერი გამიგიაო.

— მაშ ამხანაგ გორგოშიძეს არაფერი უცნობებია თქვენთვის?!

— რის შესახებ? — აიჩეჩა კონჯარიამ მხრები.

— იმის შესახებ, რასაც თქვენ ბეჭდავდით ახლა და რის წასაღებადაც მოველ!

— რის ბეჭდვა, რა ბეჭდვა, ვინ მოგახსენათ?

— თქვენმა ცხვირებმა. ჰექტოგრაფზე ცხვირებით მუშაობთ? აბა ერთი სარკეში ჩაიხედეთ, როგორ გამურულხართ! ამაზე იტყვიან, ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო.

— შენ, ეი, წერას ხომ არ აუტანიხარ? — შესძახა ქერაულვაშამ და სერგოსკენ წაიწია.

— მოდი, ხელი ჩამომართვი, მე „ღიღილო" ვარ, შენ კი „გვირილა", არა? — სერგომ ღიმილით გაუწოდა ხელი ულვაშას.

— „ღიღილო"! — შესძახა ყველამ ერთხმად, — ჩვენს ხელმძღვანელად მოვლინებული!

— აბა, ბიჭებო, გამატანეთ რაზეც მოვსულვარ, ავადმყოფების მიღებას დილით რვა საათზე ვიწყებ, გასაგებია?!

— გასაგებია, ამხანაგო სერგო. თუ დაგაკლდებათ, პავლუშა მოგამარაგებთ! — მიუგო კონჯარიამ.

— არაფერიც, აკი თვალებს მიბრიალებდით, რად მოიყვანეო! — აიბზუა პავლუშამ ტუჩები, შემდეგ ვასო და ივანე სარკეში ჩაახედა, — მართლაც რომ ზედგამოჭრილი თქმაა: ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო! — იძახდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად და სიცილით იჭაჭებოდა.

## ასეთი ახალგაზრდა?!

1905 წლის 23 აგვისტოს ხელმოწერილი იქნა რუსეთისთვის სამარცხვინო ზავი იაპონიასთან. იაპონიამ მიიღო რუსეთიდან ჩრდილო სახალინი, ლიაოდუნის ნახევარკუნძული პორტარტურითა და რკინიგზით.

ეს დათმობები გამოხატავდა არა მარტო მეფის რუსეთის სამხედრო ძალების სისუსტეს, არამედ თვითმპყრობელობის სურვილს, ჩქარა დაეღწია თავი ომისთვის და სწრაფად ჩაექრო რევოლუციის ხანძრები რუსეთში.

ომის ხარჯებმა შეამცირა მუშების ისედაც მცირე ხელფასი. იმატა უმუშევრობამ. რევოლუციის ცეცხლი მოედო სოფელსაც. გაფიცვა გაფიცვას მოსდევდა, აჯანყება-აჯანყებას.

და რა გასაკვირია, თუ გუდაუთაშიც იმ დღეს ზღვაზე უფრო მშრომელები ბობოქრობდნენ.

აქ იყვნენ ნავსადგურის მუშები, მატროსები, მეურმეები, მეწაღეები, მჭედლები... აქ იყვნენ გლეხები მახლობელი და შორეული სოფლებიდან. ცხენოსნები და ქვეითები. ისმოდა ქართული, აფხაზური, ბერძნული, რუსული ლაპარაკი:

— ამბობენ, ფერშალმა შეგვკრიბაო!

— უნდა გაგვესინჯოს, ალბათ!

— იქნებ მობილიზაციაა!

— ძმებო, დროზე დავიშალოთ!

ატყდა ერთი ჩოჩქოლი და შეხლა-შემოხლა, ურმების ჭრიალი, ცხენების ჭიხვინი.

უცებ, ნაპირზე პირქვედამხობილ ნავზე ჭაბუკი ახტა, ხელები გაშალა და ხალხს შესძახა:

— ძმებო, მეგობრებო, ამხანაგებო, მისმინეთ!

უნდობლად გახედეს.

— მისმინეთ, ძმებო და ამხანაგებო! განა თქვენც არ გაწევთ გადასახადების მძიმე უღელი?!

— მერე რომ გვაწევს! — თქვა ერთმა.

— გვაწევს, გვაწევს! — შესძახეს დანარჩენებმა.

— განა თქვენი ნაოფლარით არ კვებავთ ეგზეკუციებს?

— ჩვენ ვშიმშილობთ, შვილებს ლუკმას ვაკლებთ, იმათ კი ვკვებავთ!

— ძმებო, მეგობრებო, ამხანაგებო, მოვუღოთ ძალადობას ბოლო, გავდევნოთ ეგზეკუციის ჯარები სოფლებიდან, მოვსპოთ გადასახადები! შევუერთდეთ თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთის გაფიცულებს!

წამით ჩამოვარდნილი სიჩუმე უცებ ბობოქარმა შეძახილებმა შთანთქა:

— შევუერთდეთ!

— მოვსპოთ გადასახადები!

— მოვსპოთ ეგზეკუციები!

— შენ, ეი, შენი საქმე რეცეპტების წერაა! — შესძახა ორატორს ქოშინით მოვარდნილმა ბოქაულმა.

— შენთვის მუდამ მაქვს გამოწერილი დარიშხანი! — მიუგო ჭაბუკმა სიცილით. ხალხიც გამხიარულდა:

— დარიშხანი, დარიშხანი, მოუხდება!

ბოქაული ფეხის წვერებზე შედგა და დაიყვირა:

— მთავრობას შესთხოვეთ, ხალხნოოო!

— წადი, შე გაპონო, შენა! — შესძახა ვიღაცამ.

— უუუუუ! — დაიგრგვინა ხალხმა და ბოქაულმა გაცლა ამჯობინა.

— ახლა მოთხოვნილების მუხლები ჩამოვწეროთ, ამხანაგებო! — თქვა ჭაბუკმა.

— ისედაც ნათელია ჩვენი თხოვნა.

— მოვითხოვთ და არა ვთხოვთ! — მუშტის შემართვით შესძახა ჭაბუკმა.

— რა ვქნა, აკი ფერშალმა დაგვიძახაო ორჯონიკიძემ?! — აწუწუნდა თავშალიანი დედაკაცი.

— დედიჯან, ფერშალიც ეს არის, ორჯონიკიძეც! — მიუგო ბრგე მტვირთავმა და გაიცინა.

— ქა, ასეთი ახალგაზრდა?!

— კახელი ხარ, დედიჯან? — ჰკითხა მტვირთავმა.

— მეგრელების რძალი! — მიუგო დედაკაცმა, ხელებგაშლილ ორატორს სიყვარულით შეხედა და ერთხელ კიდევ გაოცდა:

— ქა, ასეთი ახალგაზრდა?!

## მანიფესტი

სერგო ავადმყოფებს სინჯავდა გულდასმით.

— ეე, ძმობილო, ბრონქები გლალატობენ, მარტო კამის ნახარშის სმა არ გიშველის!

— წამლის ფული სად გაგვაჩნია, ბატონო!

— დარდი ნუ გაქვს, უფასო წამალს გამოგიწერ!

— არა, ბატონო, უფასო ამქვეყნად არაფერია. თქვენ იხდით თურმე წამლის ფასს. გმადლობთ, ბატონო, მაგრამ ამჯერად ვერ დაგხარჯავთ!

— ამჯერადაც და მეტი არა! — გაიცინა სერგომ. ავადმყოფი კარებამდე მიაცილა და სკამზე ჩამომჭკნარ ავადმყოფებს გასძახა:

— მობრძანდით. ვისი რიგია?

ოთახში ხანდაზმული აფხაზი შეჰყვა.

— რას უჩივით, ხასბა?

— არარაფერს, უკვე მომარჩინეთ, ბატონო. საკითხავი მაქვს, მართლა გვიბოძა მეფემ მანიფესტი?

— ამბობენ. ვნახოთ, აღდგომა და ხვალაო, ხომ გაგიგიათ? — სერგომ ხასბა კარებამდე მიაცილა.

„მობრძანდით, ვისი რიგია?“ — უნდა ეთქვა, მაგრამ სიტყვა პირზე შეაშრა. მისკენ საავადმყოფოს გამგე მოსტკოვი მორბოდა, ქაღალდს მოაფრიალებდა და ყვიროდა:

— ახლა მომიტანა კომენდანტის იასაულმა... მომილოცავს, ორჯონიკიძევ, 1905 წლის 17 ოქტომბრის მეფის უმაღლესი მანიფესტი — სამოქალაქო თავისუფლების ურყევ საფუძველთა ბოძება, პიროვნების ხელშეუხებლობა, სინდისის, სიტყვის, კრებისა და კავშირების თავისუფლება! — სხაპასხუპით აყრიდა სერგოს სიტყვებს, ეხვეოდა, ჰკოცნიდა. შემდეგ ავადმყოფებს მივარდა, ხელს ართმევდა, იძახდა:

— მომილოცავს, ძმობილო,

— მომილოცავს, დობილო!

— თავისუფლება, თავისუფლება!

— რუსეთი თავისუფალია!

უცებ შეცბა, სერგოს დააკვირდა და გაოცებით შეჰყვირა:

— თქვენ რაო, არ გიხარიათ, ორჯონიკიძევ?!

— ჰეი, თქვენ, ლიბერალებო, გჯერათ მეფის წყალობა! — გაიღიმა სერგომ.

— როგორ არა მჯერა, აქ წერია თავისუფლება...

— მთელ რუსეთში გაიფიცა ფაბრიკები და ქარხნები, ფოსტა და ტელეგრაფი, რკინიგზა... მანიფესტმა მუშების გული უნდა მოიგოს, დაამშვიდოს, დაუბრუნოს სამუშაოს. მოტყუების ხერხს მიმართა მეფემ, აი, რა გახლავთ ეს მანიფესტი...

— კი მაგრამ, აქ ნათქვამია...

— არ დაუჯეროთ აქ ნათქვამს! — ახლა ყველა ავადმყოფს მიმართავდა სერგო, — სიცრუეა, მახეა, რევოლუციის ჩახშობის ხრიკია.

— კი მაგრამ, აქ რომ წერია... — კვლავ შეესიტყვა მოსტკოვი.

— არ დაიჯეროთ, აბრამ ილიჩ. არ დაიჯეროთ არავინ. მეფე წყალობას თავის ნებით არ გაიღებს, ბრძოლაა საჭირო, იარაღით ბრძოლა ხალხის თავისუფლებისათვის. თქვენ კი ირწმუნეთ ამ ქაღალდის სიკეთე, აბრამ ილიჩ... — სერგომ ხელი ჩაიქნია, თეთრი ხალათი გაიხადა და ქუჩაში გავარდა.

ხალხით სავსე ქუჩა ღელავდა.

— თავისუფლება, თავისუფლება!

— მანიფესტი, მანიფესტი! — გაჰკიოდნენ ორატორები ტრიბუნიდან.

— ტყუით, მენშევიკებო, ტყუით, დაშნაკებო, ფედერალისტებო! — ყვიროდა სერგო. — ძირს მეფის მანიფესტი! ძირს მეფე ნიკოლოზი!

— გაუმარჯოს, მეფესა და მეფის მანიფესტს! — ყვიროდნენ ლიბერალები.

— მოქალაქენო! — დაიწყო დინჯად ტრიბუნაზე ასულმა დარბაისელმა, — როცა ახალ სახლს აშენებენ, ძველს არ ანგრევენ, სანამ ახალს არ დაამთავრებენ. დამშვიდდით, დამშვიდდით, ენდეთ მეფეს და მის მანიფესტს...

— სად არის შენი ჟანდარმის მუნდირი, თავადო ჯანდიერო? — შეაწყვეტინა სერგომ.

— მე, მე, მე...

— არ ენდოთ, ხალხო, თქვენს წინ გადაცმული ჟანდარმთა გენერალია, მეფის ლაქია! — შესძახა სერგომ.

— უუუ, ძირს, ძირს! — უსტვინა ხალხმა.

— ხალხი თვითონ მართავს თავის დაბა-სოფელ-ქალაქებს საქართველოს მრავალ კუთხეში. გაუმარჯოს გუდაუთას „რესპუბლიკას“! — შესძახა სერგომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაუმარჯოს! — იგრიალა ხალხმა.
— ჩვენ თვითონ ვიყოთ კანონმდებლები!
— შევქმნათ სახალხო მილიცია!
— განვაიარაღოთ პოლიცია!
— არ დაუჯეროთ, არ აჰყვეთ ბოლშევიკებს! — იღრიალა ჯანდიერმა.

მაგრამ ხალხი უკვე მიჰყვებოდა წითელ დროშას.

პოლიციის უფროსი გავრილოვი კანკალით გამოეგება მოსულთ:

— ოღონდ ნუ მომკლავთ, ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ ნუ მომკლავთ!

— იარაღი ჩამაბარეთ! ვბრძანებ ხალხის სახელით! სანაპიროს მატროსი ივანე კრავჩენკო! — დაიგუგუნა ულვაშამ.

— ხელები მაღლა! ვბრძანებ ძია ივანეს ადიუტანტი, მატროსი პავლუშა კამაროვი! — შესძახა გავრილოვს პავლუშამ და ხმალი შეხსნა, რევოლვერიც ამოაცალა ბუდიდან.

— მიიღეთ პირველი ნადავლი ხალხის სახელით, გაბარებთ ივანე კრავჩენკო, სანაპიროს მატროსი.

— მივიღე სახალხო მილიციის მილიციელმა ვასილ კონჯარიამ! — უპატაკა კონჯარიამ.

— ვაშაა! — დაიქუხა შეძახილმა და წითელმა დროშამ გეზი აიღო დაბის საკომენდატოსაკენ.

## „თავისუფლების" დღეები

— ბოიკოტი ძველ მმართველობას!

— ავირჩიოთ ახალი, რევოლუციური ქალაქის მმართველობა! — თქვა ხალხმა და გაიმარჯვა დემოკრატიულმა არჩევნებმა.

— გვიშველეთ, ბატონო სკორიკოვო, რას დგახართ გულხელდაკრეფილი! — სთხოვდნენ გადაყენებულები ბოქაულს.

— არის, გიშველოთ! — დასჭყივლა ბოქაულმა, — ესროლეთ ბრბოს!

მაგრამ უმალ მოაკუმინეს პირი და ხელებიც შეუკრეს.

— ხალხო, რა ვუყოთ ამ მძორს? — იკითხა ერთმა.
— მოვკლათ!
— ჩამოვახრჩოთ!
— გავატანოთ ნოვოროსიისკში მიმავალ გემს! — დაადგინეს ბოლოს და გემბანზე აიტანეს.

— პირი აქეთ აღარა ქნა, თორემ თევზების ლუკმა გახდები! — დაემუქრნენ.

ესეც ასეო, უნდა ეთქვა ხალხს და ცოტათი ამოესუნთქა, რომ გუდაუთის ქუჩებში ცხენების ფლოქვების თქარათქური გაისმა.

— გეახელით ათონიდან ასოცი ცხენოსანი კაზაკით, გენერალ ჯანდიერის განკარგულებით! — დასჭექა იასაულმა მეიმენოვმა. — დაიშალეთ!

— მანიფესტმა გვიბოძა მოქალაქეობრივი უფლებები: შეკრების, სინდისის, კრებისა და კავშირების თავისუფლება! — შეჰყვირა ერთმა.
— შენ ვინ მიგდიხარ?!
— ხალხის რჩეული!

იასაული მეიმენოვი ერთი კი დაიჯღანა, შემდეგ სიტყვა ბანზე აგდო:

— ხალხო, თქვენს დასაცავად გამომგზავნა თავადმა ჯანდიერმა.
— ვისგან უნდა დაგვიცვა?! — გაისმა ხმები.
— ქურდებისა და ათასგვარ ბოროტგანმზრახველთაგან!
— ჩვენ გვყავს სახალხო მილიცია!
— რევოლუციური ქალაქის მმართველობა!
— ჯანდიერი თავს ნუ იწუხებს!
— დაწყნარდით, თორემ გესვრით!
— არა გაქვს უფლება... მანიფესტის ძალით! — შესძახა ვიღაცამ.
— მანიფესტს ორი ხელი აქვს, ერთით თავს გვიქონავს, მეორით ტყვიას გვესვრის!
— ესროლეთ ამის მთქმელს! — უბრძანა იასაულმა მეიმენოვმა ერთ ცხენოსან კაზაკს.
— ვერ ვესვრი, ბატონო, ფერშალ ორჯონიკიძეს, სიცოცხლე მაჩუქა, სიკვდილით გადავუხადო? — მიუგო კაზაკმა, ცხენიდან ჩამოხტა და ხალხს შეერია.
— ესეც თქვენი მანიფესტი!
— სიცრუეა, მოტყუებაა!
— უუუ! — იგრიალა ხალხმა და წამოვიდა ქვების წვიმა.
— კაზაკებო, ესროლეთ! — ბრძანა მეიმენოვმა.

კაზაკებმა თოფები შემართეს.

ხალხი აირია, ზოგი გაიქცა, ზოგი მიწაზე წაწვა, ზოგნიც ერთმანეთს ეჯახებოდნენ... წინ გამოვიდა ხალხს თავშეფარებული კაზაკი.

— ხალხს ვერ ესვრი, არა გაქვს ამის უფლება, მეიმონოვო! — შესძახა მან მტკიცედ.

მის სიტყვებს ბათქი მოჰყვა.

არა, კაზაკები არ ისროდნენ, ეს თავად მარღანიას შავრაზმელები შემოჭენდნენ ქალაქში.

— ესროლეთ, დახოცეთ არამზადები! — ყიჟინებდა მარღანია. წიოდა ტყვიები, გარბოდა ხალხი...

## იარაღზე იარაღით

თოვლჭყაპიანი, ცივი დეკემბრის საღამო იყო.

გუდაუთის ბულვარში, დარაჯის ჯიხურში შეიკრიბნენ ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრები.

— რეაქციამ თავი წამოჰყო!
— არის ბრძანება ორგანიზაციისა, შევიარაღდეთ!
— ტყვიაზე ტყვიით გასცეს პასუხი ხალხმა მტარვალებს!



— იარაღია საჭირო, იარაღი!

— უნდა ვიშოვოთ! — თქვეს და სიტყვა საქმედ აქციეს.

...აქოჩრილ ზღვაზე ნიჩბებიანი ნავი ადი-ჩადიოდა.

— აგერ სოფელი ალახაძი! — თქვა მენავემ და თავი ნაპირისაკენ გაიქნია.

— დავაწვეთ ბიჭებო, ნიჩბებს, დავაწვეთ! იარაღზე იარაღითო, — გვიბრძანებს პარტია. იარაღიც აქ არის, თავად ინალიფას მამულში! — თქვა სერგომ და ნიჩაბი ღონივრად მოუსვა...

### ინალიფას მამულში

სამი ლანდი გაჩნდა ინალიფას სახლის კარებთან. სამჯერ დააკაკუნეს. კარი უცებ გაიღო, ზღურბლზე მდგარმა ქალიშვილმა სერგოს გაუღიმა:

— ბატონო ფერშალო!

— ცირა! — შესძახა სერგომ გუდაუთელ პაციენტს, — შენ აქ საიდან გაჩნდი?..

— პაპილომ მომიხმო: ობოლი ხარო, მეც — მარტოხელაო. შემიბრალა, მეც შევიბრალე, — ცირამ მწარედ გაიცინა. — თქვენც, ალბათ, პაპილოსთან ხართ საქმეზე. დამიცადეთ, საბანს გავუსწორებ.

— ვინ არიან ასე გვიან? — მოისმა შიგნიდან ხრინწიანი ხმა.

— შინაურები! — ამის თქმით შებრუნდა ოთახში ცირა. ცოტა ხნის შემდეგ ხრინწიანი ხმის ალშფოთება გაისმა:

— რას შვრები, შე გომბიოვ, შენა!

— შემობრძანდით, თავადი ინალიფა გთხოვთ! — თავის დაკვრით მოახსენა ცირამ მოსულთ და წინ წაუძღვა.

მდიდრულად მორთულ ოთახში, კაკლის განიერ საწოლზე ხელებშეკრული მოხუცი იწვა. ცირამ თითი გაიშვირა მისკენ:

— ამან დაღუპა დედაჩემი. თავისი ვაჟიც არ დაზოგა, თავი მოაკვლევინა, ოღონდ გლეხი არ შეერთო ცოლად!

— შურს იძიებ, მკვლელები მომიყვანე, არა? უთხარი მომკლან, მესროლონ ხელებშეკრულს. — დაისისინა თავადმა.

— ჩვენ კაცის მკვლელები არ გახლავართ! — თქვა სერგომ.

— მაშ ვინ ბრძანდებით, რა გნებავთ ჩემგან?!

— საწყობის გასაღები, იარაღი უნდა წავიღოთ!

სერგოს ამ სიტყვებმა საოცარი რამ მოახდინეს: ეს ჭარმაგი მოხუცი, წუთის წინათ სიკვდილს რომ არ უფრთხოდა, აკანკალდა. ყველა მიხვდა, რომ ეს სიბრაზის კანკალი იყო.

— ეს იარაღი იმიტომ ჩამოიტანა უცხოეთიდან გემმა „სირიუსმა“ ფოთში, რომ ფედერალისტებს მოხმარდეს. — ინალიფას მღელვარებისაგან ხველა აუტყდა, შემდეგ სული მოითქვა და განაგრძო: — დიახ, ფედერალისტებმა შეიძინეს უცხოეთში სისხლის ფასად. თქვენ კი მუქთად გინდათ? ერთი ეს მომახსენეთ: ვინ ბრძანდებით, ვისთან მაქვს საქმე?

— ბოლშევიკები გახლავართ! — მიუგო სერგომ.

— ბოლშევიკები? გაეთრიეთ, გაეთრიეთ ახლავე აქედან! შენ გომბიოვ, გერჩია მკვლელები მოგეყვანა ჩემს სახლში!

—ნუ ღრიალებთ! ხომ იცით, ჩვენს გარდა სახლში არავინ არის, — ცირამ მწარედ გაიცინა, შემდეგ სერგოს მიუტრიალდა და გასაღები გაუწოდა:

— გააღეთ საწყობი, აქვეა, სახლის ქვეშ!

ვისაუბროთ მომავალ პროფესიაზე

ნათელა ფაილოძე

# გაიცანით: მომავალი აგრონომები, მსახიობები, მფრინავები, მხატვრები...

...საკლასო ოთახის კარებთან წარწერა შევნიშნეთ: „დღეს მეშვიდეკლასელები საყვარელ პროფესიას ვიცავთ, გვესტუმრეთ!“

— ჩვენი კლასის ხელმძღვანელმა, პატივცემულმა რუსუდან გოგიბერიძემ, იცით, როგორი ადამიანები გაგვაცნო? ვისაც თავიდანვე სწორად აურჩევია პროფესია...

— კლასში ყველამ ვიცით ერთმანეთის სურვილი. სოფელში წასვლა და აგრონომობა სურთ პაატა კილაძესა და გიორგი ბერუაშვილს.

— მსახიობობაზე ოცნებობენ სოფიო ტატიშვილი და დათო ჭანტურია.

—ბიოლოგის პროფესია მოსწონს ქეთინო მაცაბერიძეს. ინჟინრობაზე ფიქრობენ დათო ბერძენიშვილი, გელა სიდამონიძე და ოთარ კედია; სიზმარშიც თვითმფრინავის საჭესთან ზის დათო ვარდოსანიძე.

— რამაზ კახაძეს, ზურაბ სუმბაძესა და რევაზ ნიბლოშვილს უკვე არჩეული აქვთ მომავალი პროფესია. მათზე ამბობენ, კარგი მხატვრები დადგებიანო. მაკა ხაჭაპურიძეს ექიმი უნდა გამოვიდეს. ჩვენი კლასის 36 მოსწავლე ყველა სათითაოდ დაგისახელებთ არჩეულ პროფესიას, — გაგვიზიარეს მეშვიდეკლასელებმა მომავლის გეგმები.

საკლასო ოთახში კი ყურადღებას იქცევდა ქეთინო მაცაბერიძის დამზადებული პეპლების კოლექცია და ყვავილების ჰერბარიუმები, ზურაბ სუმბაძის ნახატები. მომავალი პროფესიის დამცველებს ხელთ ჰქონდათ ნამუშევრები, ნახაზები, ნაწერები...

მეშვიდეკლასელები ღელავდნენ... ყველას თანდასწრებით მომავალი პროფესიის დაცვა იმ საგნების ცოდნის გარდა, რომლებსაც მეშვიდეკლასელები სწავლობენ, მოითხოვდა ორატორულ ნიჭსაც და სწორ მეტყველებასაც — ჟიური ყველაფერს აქცევდა ყურადღებას.

რუსუდან მასწავლებელმა სტუმრებით სავსე საკლასო ოთახში სიტყვა მეშვიდეკლასელებს მისცა. საყვარელი პროფესიის დაცვის მონაწილე თბილისის გახანგრძლივებული დღის მე-2 საშუალო სკოლის $\mathrm{VII}^2$ კლა-



სის ზოგიერთ მოსწავლეს მეც ასეთივე თანმიმდევრობით გაგაცნობთ.

**გიორგი ბერუაშვილი:**

— ყველა ჩემი თანაკლასელი ფიქრობს მომავალ პროფესიაზე. მეც ვფიქრობდი, ინჟინერი გავხდები, საქართველოს მთიან რაიონებში გზებს გავიყვან, მდინარე ალაზანზე, რიონზე, იორზე ხიდებს ავაშენებ-მეთქი, მაგრამ შემდეგ ეს ჩემი მისწრაფება სოფლის სიყვარულმა გადასძალა. მიყვარს ბაღ-ვენახებში მუშაობა. ეს სიყვარული ველისციხეში გამიღვივდა. ალბათ გსმენიათ კახეთის ამ სოფლის სახელი. ველისციხეში მეგობარი მყავს, სოსო. მე და სოსომ გადავწყვიტეთ, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გამოცდები სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტზე ჩავაბაროთ. ინსტიტუტს რომ დავამთავრებთ, ორივენი ველისციხეში დავბრუნდებით, იქ ვიცხოვრებთ.

**მაკა ხაჭაპურიძე:**

— ხშირად მიფიქრია ექიმობაზე. ოცნებით პალატისაკენ მივიჩქარი ხოლმე, სადაც ტკივილებისაგან გაწამებული ავადმყოფი მელოდება.

წარმოვიდგენ: დღეს ოპერაციის დღეა. პატარებს დედა უნდა შევუნარჩუნო. თვალწინ მიდგანან გუშინ დედასთან მოსული შავტუხა ბიჭუნები.

— გადარჩება? — უსიტყვოდ მეკითხებოდნენ მათი თვალები.

— გადავარჩენ, — უსიტყვოდ შევპირდი მეც. აი, უკვე საოპერაციოში ვარ. მარგალიტებივით ციმციმებენ ნიკელის იარაღებიდან ასხლეტილი სხივები, ასე მგონია, იმ იარაღებს შავტუხა ბიჭებიც უთვალთვალებენ.

— ფრთხილად, დედას ეტკინება! — მევედრებიან მათი თვალები.

— ნუ გეშინიათ, — ვამშვიდებ მათ.

ოპერაცია დამთავრდა. თავისუფლად ამოვისუნთქე.

გადის დღეები. განკურნებულ დედასთან მივიდნენ მისი შავტუხა ბიჭები... დედა და შვილები მემშვიდობებიან და მიდიან...

ადამიანს სიცოცხლე ვაჩუქე! ადამიანებს სიხარული მივანიჭე! — აი, რატომ მინდა გავხდე ექიმი!

**მანანა ფრუიძე:**

— გეოლოგობა მსურს. ამ პროფესიამ მას შემდეგ დამაინტერესა, რაც დედაჩემი აფხაზეთის მთებში ვერცხლისწყლის საძიებო პარტიებში მთავარ ინჟინერ-გეოლოგად გაიწვიეს სამუშაოდ. ექსპედიცია ზაფხულში მუშაობდა. მთელ სამ თვეს დავყავი დედასთან. გეოლოგებს ღრმა გვირაბებში უხდებოდათ მუშაობა. ძალიან ლამაზი და საინტერესო იყო მიწის წიაღში გაშიშვლებული მადნის ყურება. განსაკუთრებით ბურღვის დროს 200-300 მეტრი სიღრმიდან ამოღებული ქანი მომწონდა.

საღამოობით შვეულმფრენით ვბრუნდებოდით ჩვენს ბანაკში.

მომხიბლა გეოლოგების ცხოვრებამ. მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი გეოლოგი გამოვიდე.

**ნინო ჩაგანავა:**

— ვინ იცის, ოცნებით რამდენჯერ შემომივლია ჩვენი სოფლები და ქალაქები, ამიშენებია ლამაზი სახლები... ერთსართულიანი, ორსართულიანი, ათი და თხუთმეტსართულიანიც... გააჩნია, სად, როგორ ადგილზე, მდინარის პირას თუ შემაღლებულზე...

ერთხელ დედა შემეკითხა, რა გინდა გამოხვიდეო?

—ინჟინერი! — ვუპასუხე მაშინვე.

— კარგი არჩევანია, ოღონდ იცოდე, ინჟინრის პროფესია გულმოდგინე შრომას მოითხოვს, — მითხრა დედამ.

— ლამაზი სახლები უნდა ავაშენო, ასე მაქვს გადაწყვეტილი, მათთვის ადგილებიც მაქვს შერჩეული. ქართული ჩუქურთმებით დამშვენებულ სასახლეებს ავაგებ... — ვთქვი და მჯერა, ასეც იქნება.

**მალხაზ რაზმაძე:**

— შენს მომავალ პროფესიაზე უკვე დროა იფიქრო, — მეუბნებიან შინ.

გამოგიტყდებით, ძილშიაც ხშირად მიფრთხობს ხოლმე ყველა საიდუმლოს ამომხსნელი, ფათერაკებით აღსავსე გამომძიებლის პროფესია. ეს კი ჩემს ახლობლებში ცხარე კამათს იწვევს.

ერთ დილას შინ ნათესავი გვეწვია, პარიკმახერი, თმაზე შემხედა და შესძახა:

— ბიჭო, ვინ გაგკორტნა ასე! პარიკმახერი თუ გამოხვალ, შენი გემოვნებით ისე კოხტად შეიჭრი თმას, პირდაპირ დახატული იქნები.

— აუცილებლად პარიკმახერი ვიქნები, — ვეუბნები ნათესავს. უარი რომ ვუთხრა, ვაწყენინებ.

ნასადილევს ერთი ნაცნობი გვესტუმრა. მოცეკვავე გახლავთ.

— ერთი ამას დამიხედეთ, რამოდენა გაზრდილა?! — გაიკვირვა ჩემს დანახვაზე. — თინა, — მიუბრუნდა დედაჩემს, — იცოდე, მეწყინება, თუ ამას ცეკვაზე არ ატარებ. ხომ გინდა, ბიჭო, მოცეკვავე გამოხვიდე? — მომიტრიალდა ახლა მე.

—დიახ, დიახ, მინდა! — მივუგე და საჩქაროდ მეორე ოთახში გავედი.

და ასე: ვინ რას მირჩევს და ვინ რას. ბებიას ქირურგი უნდა გამოვიდე, მამიდას — ადვოკატი. მე კი მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი: გამომძიებელი უნდა გავხდე.

**გელა სიდამონიძე:**

— მე ინჟინერ-კონსტრუქტორობა მიტაცებს, ვიცი, რომ ეს პროფესია ადვილი როდია.

— კონსტრუქტორი რომ გახდე, სანიმუშოდ უნდა ისწავლო, — დამარიგა შინ მამამ, სკოლაში — მასწავლებელმა. ვიცი, ბევრს დაუსახავს მიზნად ამა თუ იმ პროფესიის დაუფლება, მაგრამ სწავლა რომ დაზარებია, სურვილი სურვილად დარჩენილა. ამიტომ ვცდილობ, რაც შეიძლება კარგად ვისწავლო...

**სოფიო ტატიშვილი:**

— მიყვარს ხელოვნება. მუდამ მახსოვს კოტე მარ-



ჯანიშვილის სიტყვები: „ხელოვნების მიზანი სულ უბრალოა, მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა“. განსაკუთრებით მსახიობობა მხიბლავს. ჩემი მშობლები მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მუშაობენ და ამიტომ ხშირად ვუყურებ სპექტაკლებს. ოცნებაში წარმოვიდგენ ხოლმე ჩემს თავს ივდითის, ოფელიას როლებში. ვიცი, რომ მსახიობმა უნდა გახსნას თავისი გმირის სულიერი სამყარო და ნათლად, ოსტატურად აჩვენოს იგი ყველას. მისმა თამაშმა სიამოვნება უნდა მიანიჭოს და ბევრი რამ ასწავლოს მაყურებელს. ისიც ვიცი, რომ ამ გზაზე ცოტა დაბრკოლება როდი შემხვდება, მაგრამ შეუპოვრად, ფრთებშესხმული, მივიწევ ჩემი მიზნისკენ.

**ნატო ცვამბაია:**

— ყველა სასწავლო საგანი ერთნაირად მიყვარს. ამიტომაც ისტორიის გაკვეთილზე ისტორიკოსი ვარ, ქიმიისაზე — ქიმიკოსი, ხოლო მათემატიკის გაკვეთილზე მათემატიკის მასწავლებლობა მაქვს გადაწყვეტილი.

რა მიზანს ვისახავ? ყველა საგანი კარგად ვისწავლო. შემდეგ? შემდეგ რა ვიცი! ძალიან მიყვარს სკოლა, გავა წლები და ვიქნები ისეთივე გულისხმიერი აღმზრდელი-პედაგოგი, როგორიც ჩემი მასწავლებლები არიან; ვიქნები ისეთივე დედა, როგორიც დედაჩემია.

**გურამ სუმბაძე:**

— ხუთი წლისა ვიყავი, როცა ხელში ფანქარი ავიღე. იმ დროს მშობლებთან ერთად ხშირად დავდიოდი ტყე-პარკებში. აბა რა სჯობს გაზაფხულზე იებით მოფენილ მწვანე ველს, შემოდგომაზე — წითელ-ყვითლად აფერადებულ ტყეებს, ფოთლებს. ვუყურებდი ყოველივე ამას და ვიხსომებდი, შინ მისვლისას კი ნანახი სახატავ ფურცლებზე გადამქონდა. თავდაპირველად ხატვისადმი ჩემი მიდრეკილება ყველას ჩვეულებრივი ბავშვური გატაცება ეგონა. თანდათანობით დაბეჯითებით




ავირჩიე ჩემი მომავალი პროფესია. პირველად ყველაზე უკეთ ცხენის ხატვა მეხერხებოდა.

ზაფხულს მუდამ ბუნების წიაღში ვატარებ, ვხატავ და ვხატავ... მონაწილეობა მივიღე სკოლის კონკურსზე — ასფალტზე ხატვაში. ნახატების რესპუბლიკურ საბავშვო გამოფენაზე სიგელი მივიღე. ხატვაში გამართულ საქალაქო კონკურსშიც გავიმარჯვე. ბოლო დროს ჩემი ნახატები გაზეთ „ნორჩ ლენინელშიც“ იბეჭდება. ყოველივე ამან ერთხელ კიდევ გამიკვალა გზა მხატვრის პროფესიისაკენ...

**ქეთინო მაცაბერიძე:**

— ხშირად მიხდება მამასთან ერთად აგარაკზე ყოფნა. მამას მუდამ თან დააქვს თავისი ლაბორატორია. მის მუშაობას ინტერესით ვაკვირდებოდი. მასთან ერთად ვამზადებდი მცენარეთა ჰერბარიუმებს, მწერების კოლექციებს.

ერთხელ პროფესორ პავლე ჭანტურიშვილთან ერთად ავედით ჯვარზე. პროფესორმა იქ გველი დაიჭირა და სტუმრებს აუხსნა, თუ რა სახეობის ქვეწარმავლები ბინადრობენ ამ უბანში.

ქვეწარმავლები სრულებით არ მეზიზღება და არც მეშინია მათი. ძალზე საინტერესოდ მეჩვენება მამაჩემის პროფესია. მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, მეც მისი საქმის განმგრძობი ვიყო...

**ოთარ კედია:**

-- მე კი შორს გამგზავრება მსურს. ძალზე ბევრი რამ გავიგე ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე. იქ წასულ ახალგაზრდებს რთულ პირობებში უხდებათ მუშაობა. ეს მათი დახმარებით ცოცხლდება თვალუწვდენი ტაიგა, შენდება ქალაქები... მეც მინდა ჩემი წვლილი გავიღო ამ დიდ საქმეში, მუხლჩაუხრელად ვიშრომო და ადამიანებს სიკეთე მოვუტანო. მწამს, — ჩემს ოცნებას სინამდვილედ ვაქცევ.

**დათო ვარდოსანიძე:**

— ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როცა წავიკითხე ვალერი ჩკალოვის ამერიკაში გაფრენის ამბავი. ორძრავიანი თვითმფრინავით ჩრდილოეთ პოლუსზე გავლით გაფრენა იმ დროისათვის ხომ არნახული გმირობა იყო. განსაკუთრებით დამახსომდა ჩკალოვისა და ამერიკელი ჟურნალისტის საუბარი. როცა ჩკალოვს ჰკითხეს, მდიდარი ხარ თუ არაო, საბჭოთა მფრინავი არც კი შეყოყმანებულა, მაშინვე უპასუხია: ჩემი სიმდიდრე ძალიან დიდიაო.

— მაინც რამდენი მილიონიო?

— 200 მილიონიო.

— დოლარით?! — შეეკითხა თურმე გაკვირვებული ამერიკელი.

— არა, — მიუგია ჩკალოვს, — 200 მილიონი ადამიანი. ისინი ჩემთვის ზრუნავენ და მე კი მათთვისო...

ეს ხომ ახლაც ასეა: როცა კოსმოსს საბჭოთა კოსმონავტები ესტუმრებიან ხოლმე, ვგრძნობ, როგორ ღელავენ მათზე ჩემს ირგვლივ მყოფნი, როგორ უხარიათ მათი მშვიდობით დაბრუნება დედამიწაზე.

ძალზე მიყვარს ალექსანდრე მერესიევი. მან ხომ ორივე ფეხი დაკარგა ფრონტზე, მაგრამ დიდი იყო მისი მისწრაფება ლურჯი ლაჟვარდისაკენ.

...ესკადრილიაში დაბრუნების შემდეგ მერესიევმა მრავალ საბრძოლო გაფრენაში მიიღო მონაწილეობა... იგი ახლა მოსკოვში ცხოვრობს და მომავალ მფრინავებს ზრდის. ძალიან მინდა მასთან შეხვედრა, რადგან გულში მაქვს ამოჭრილი მფრინაობა.

ცხადია, ოცდათექვსმეტივე მოსწავლის ნაუბრს ვერ მოვიყვანთ აქ. ყოველი მათგანი ჟიურის წევრთა შეკითხვებზე მტკიცედ უპასუხებდა. იქ დამსწრე სხვადასხვა პროფესიის მქონე მშობლებმა ილაპარაკეს თითოეულის მიერ არჩეული პროფესიის მნიშვნელობაზე, მათ დასაუფლებლად ბეჯითი სწავლის აუცილებლობაზე.

დათომ რომ მერესიევი ახსენა, ერთი ეპიზოდი მომაგონდა, რომელიც მოსკოვში, კრემლის სვეტებიან დარბაზში მერესიევთან მოსკოველი პიონერ-მოსწავლეების შეხვედრის დროს მოვისმინე. სიტყვა რომ აიღო, პირველი, რაც თქვა, ეს იყო: „აქ უკვე მერამდენედ გაიმეორეთ: მერესიევისათვის ყველაზე ძნელი საქმე ის იყო, რომ ფრენოსნობას დაბრუნებოდაო, მაგრამ ის მაინც დაუბრუნდაო, ჩვენც ასე უნდა ვიქცეოდეთო... ყოველივე ამან ჩამაფიქრა. ლაპარაკი არ უნდა, რომ სიძნელეების გადალახვა ხასიათს უმუშავებს ადამიანს და კიდეც უნდა ვისწავლოთ მათი გადალახვა, მაგრამ საჭიროა თუ არა ჩხრიკო სიძნელეები მხოლოდ იმისათვის, რომ სიძნელეები იყოს? ჩემი აზრით, თავი კი არ უნდა დაიტანჯო, შენი თავი უნდა იპოვო". სწორედ ასე თქვა გმირმა: უნდა იპოვოო.

ახალგაზრდისათვის საკუთარი თავის პოვნა მეტად მნიშვნელოვანიც არის და არც ადვილია. თავისი თავის სავსებით გამოვლინება მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც თავიდანვე სისწორით გამოარკვევს თავის მიდრეკილებასა და ნიჭს. იგი თავისი საქმიანობით თვითონაც გაიხარებს და სხვებსაც გაახარებს. „განა იმიტომ დავუბრუნდი ფრენოსნობას, რომ მინდოდა ვიღაცისათვის რაღაცა დამემტკიცებინა? არა, მე მხოლოდ იმიტომ დავუბრუნდი ჩემს ლაინერს, რომ ჩემი საქმე მიყვარდა. მთავარი კი ის იყო, რომ ასე ვთვლიდი: იმჟამად, ომის დროს, მე, გამოცდილი მფრინავი, სწორედ ყველაზე საჭირო ამ საქმეში ვიყავი", — თქვა მერესიევმა იმ შეხვედრაზე. მისი აზრით, სწორედ ეს უნდა ახსოვდეს ყველას: აკეთე ის, რაც ყველაზე საჭიროა ახლა.

იმ ადამიანისათვის, რომელიც მიზნისაკენ ისწრაფვის, საშიში არ არის რამდენიმე ხნით გვერდი აუხვიოს თავის გზას. ბოლოს, სულერთია, მაინც დაუბრუნდება მას და უფრო გამდიდრებულიც. მერესიევმა ამის დასადასტურებლად თავისი მეგობრები მოიგონა, ვისთან ერთადაც აგებდა ამურის კომსომოლსკს; ჰყვებოდა შორეულ აღმოსავლეთში ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩასულ კომკავშირელებთან ერთად ცხოვრებაზე, მათს ხასიათზე... მათ შორისაც ყოფილან ისეთები, რომელთაც სურდათ გამხდარიყვნენ ინჟინრები, ბიოლოგები, მფრინავები... მათ კი იმ ხანებში უბრალოდ ტყის ჩეხვა უხდებოდათ. თავდაპირველად კომსომოლსკში არც აეროკლუბი იყო თურმე და არც რაიმე სასწავლო მანქანა მოეპოვებოდათ. მაგრამ ახალგაზრდები, რომელნიც გატაცებული იყვნენ საფრენოსნო საქმით, საკუთარ ოცნებას არ ივიწყებდნენ. როგორც კი ახალგაზრდობის ხელით აშენებულ ქალაქში ქარხნები ამუშავდა, დაწუნებული დეტალები შეაგროვეს და საკუთარი ძალებით სასწავლო მანქანის გაკეთებას შეუდგნენ.

დღისით ყველანი ქალაქის მშენებლობაზე მუშაობდნენ, საღამოთი კი მანქანას აწყობდნენ. ეს საქმე რომ დაამთავრეს, მათ ინსტრუქტორებიც მისცეს და ფრენის სწავლაც დააწყებინეს. აეროდრომად, თურმე გაყინულ ამურს იყენებდნენ.

მერესიევმა მაშინ სვეტებიან დარბაზში ასე განაცხადა: მე თუ მკითხავთ, შემთხვევითი ამბავი როდია, რომ ჩემი საყვარელი საქმის შესწავლა იმ ქალაქში დავიწყე, რომელიც ჯერ მხოლოდ შენდებოდა, სადაც კომკავშირის მობილიზაციით ვიყავით ჩამოსულიო. იგი სანამ პილოტი გახდებოდა, იყო ხარატი, ტყისმჭრელი, მედიზელე-მექანიკოსი.

— შენი თავი უნდა იპოვო და არავითარ პირობებში არ დაკარგო, აი, რა არის, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი, როცა პროფესიას ირჩევ, — მერესიევის ეს სიტყვები არასოდეს მავიწყდება.

სამშობლოს სჭირდები ქარხანაშიც და საკოლმეურნეო მინდვრებშიც, ელექტროსადგურებისა თუ ხიდების მშენებლობაზეც, ჩაისა თუ ციტრუსების პლანტაციებში, სჭირდები სკოლაში... ყველგან, სადაც უნდა იყო, მთავარია, შენს თავს ცხოვრების შუაგულში გრძნობდე. სამშობლოს კი რაც უფრო მეტს მისცემ, მით უფრო მეტს მიიღებ სანაცვლოდ. ასე ხდება ჩვენს ქვეყანაში, ასეთია საბჭოთა ცხოვრების კანონი. გზა დაგვილოცავს მომავალი ინჟინრებისათვის, მფრინავებისათვის, აგრონომებისათვის, მშენებლებისათვის, ხელოვნების მუშაკებისათვის...



**ნახატები თბილისის გახანგრძლივებული დღის მე-2 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე ზურაბ სუმბაძისა.**




# ახალგაზრდული პრესის ფლაგმანი

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ 50 წელი შეუსრულდა

მოსკოვში, პრავდის კომბინატის უზარმაზარი შენობის მეექვსე სართულზეა განლაგებული საბჭოთა ახალგაზრდობის საყვარელი გაზეთის „კომსომოლსკაია პრავდას“ რედაქცია. წარმოიდგინეთ გრძელი, თეთრი დერეფანი, აქეთ-იქით უთვალავი კარები, სადღაც შუაში დერეფანი ფართოვდება და მცირე მოედანს ქმნის. აქ, ამ მოედანზე მუდამ ცოცხალი ყვავილებიანი პატარა ბაღნარი ხარობს. ბუნების ეს ცოცხალი კუთხე საქართველოს კომკავშირლებმა მიართვეს „კომსომოლსკაია პრავდას“ კოლექტივს. ამ პატარა მოედანზე, ბაღნარის გვერდით, კედელზე მემორიალური დაფაა. დაფაზე თოფია ამოკვეთილი, რომელსაც ხიშტის ნაცვლად კალამი აქვს წამოცმული. გვერდზე კი ოცდაორი გვარია ჩამოწერილი, ოცდაორი გვარი და სახელი გაზეთის იმ თანამშრომლებისა, რომლებიც რედაქციიდან წავიდნენ ფრონტზე და უკან აღარ დაბრუნებულან.

ყველა, ვინც კი მოხვდება „კომსომოლსკაია პრავდას“ რედაქციაში, გვერდს ვერ აუვლის ამ პატარა ბაღნარსა და მემორიალურ დაფას. და ყოველ წელიწადს, როდესაც რედაქციის „ცისფერ დარბაზში“ გამარჯვების დღეს აღნიშნავენ, გაზეთის კოლექტივი ფეხზე ადგომით, წუთიერი დუმილით პატივსა სცემს თავის საუკეთესო შვილებს. გაზეთის სახელოვანი ისტორიის ეს ერთი ფურცელი იმიტომ მოვიგონეთ, რომ წლეულს განსაკუთრებული წელიწადია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში — 30 წლისთავი საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვების დიდ სამამულო ომში. ამ გამარჯვებაში თავისი ღირსეული წვლილი აქვს შეტანილი საბჭოთა ახალგაზრდობის საყვარელ გაზეთს, საკავშირო ლენინური კომკავშირის საბრძოლო ორგანოს, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“, რომელსაც 24 მაისს დაარსების დღიდან ორმოცდაათი წელიწადი შეუსრულდა.

ეს ნახევარსაუკუნოვანი იუბილე ჩვეულებრივი თარიღი როდია, ეს არის საბჭოთა ახალგაზრდობის ისტორია, ეს არის საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებათა ისტორია, ეს არის დიად გარდატეხათა ისტორია, ეს არის თვით ჩვენი ქვეყნისა და სახელმწიფოს ისტორია, რადგან გაზეთი თვითონ იყო ყოველთვის აქტიური მონაწილე ქვეყნის ცხოვრებისა. გაზეთი მარტო კი არ ეხმარებოდა ქვეყანას დიად მშენებლობათა განხორციელებაში, არამედ თვითონ აშენებდა, მარტო ხელს კი არ უწყობდა მტრის განადგურებას, არამედ თვითონ ანადგურებდა ფაშიზმს. იგი ყოველთვის იქ იყო, სადაც სამშობლოს ყველაზე მეტად სჭირდებოდა. მისი მაჯისცემა ქვეყნის მაჯისცემა იყო, ქვეყნის ტკივილი თუ სიხარული — მისი ტკივილი და სიხარული.

გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ თავის ისტორიას იმ დღეებიდან იწყებს, როდესაც საბჭოთა ქვეყანა წარმატებით ამთავრებდა სახალხო მეურნეობის აღდგენას და ახალ ისტორიულ პერიოდში — სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პერიოდში შედიოდა. საბჭოთა ახალგაზრდული პრესის ფლაგმანი, გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ დაარსდა პარტიის XIII ყრილობის გადაწყვეტილებით და ეს ფაქტი ლენინური კომკავშირისათვის დიდ მოვლენად იქცა. როდესაც გაზეთის ძველ, უკვე გაყვითლებულ ნომრებს ფურცლავ, ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს შენც ხდები მონაწილე დნეპრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა, ხედავ, როგორ ეყრება საფუძველი პირველ სატრაქტორო ქარხანას ვოლგის ნაპირებზე, მეტალურგიულ კომბინატს მაგნიტკაში, ესწრები პირველი დამკვრელური ბრიგადების შექმნას ურალზე, სოფლელ ბიჭებთან ერთად გამოგყავს საკოლმეურნეო მინდვრებში პირველი ტრაქტორები...

საბჭოთა ახალგაზრდობის პირველი გაზეთი დიდ დახმარებას უწევდა კომუნისტურ პარტიას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის საქმეში, ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლებაში. იგი საკადრის პასუხს აძლევდა ტროცკისტებსა და მემარჯვენე ოპორტუნისტებს, რომლებიც ცდილობდნენ მერყეობისა და უნდობლობის ატმოსფერო შეექმნათ კომკავშირის რიგებში კომუნისტური პარტიის სწორი პოლიტიკის მიმართ.

1930 წელს გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით. ეს იყო ნომერი პირველი ლენინის ორდენი და ამდენადაც იმ დიდი დამსახურების აღიარება, რომელიც გაზეთმა მოიხვეჭა თავისი არსებობის ხუთი წლის მანძილზე. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებაში განსაკუთრებით იყო აღნიშნული გაზეთის, როგორც ინიციატორისა და ორგანიზატორის, როლი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლაში.

ეს იყო მოუსვენარი, ყოველდღიური გმირობით აღსავსე წლები, ეს იყო წლები, რომლის მსგავსი არ ახსოვს ისტორიას, და ამ წლების გმირულ მატიანეში ახალგაზრდული „კომსომოლსკაია პრავდა“, როგორც კოლექტიური აგიტატორი და ორგანიზატორი, ყოველთვის წინა ხაზზე იდგა. გაზეთის გამსვლელი რედაქციები მუშაობდნენ მაგნიტკის, დნეპროჰესის, კუზბასის მშენებლობაზე. რედაქციაში შეიქმნა საკავშირო საკონტროლო შტაბი ურალ-კუზნეცკის კომბინატის მშენებლობის დასახმარებლად. სოფლად კოლექტიურ მეურნეობათა ზრდასთან დაკავშირებით გაზეთი დიდ ადგილს უთმობს ტრაქტორისტებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტების მომზადების საჭირბოროტო პრობლემებს. ლოზუნგი: „კომკავშირელო — ტრაქტორზე!“ ათასობით ახალგაზრდამ აიტაცა და ცხოვრებაში გაატარა. გაზეთი შესანიშნავად აღწერს პაპანინელთა და ჩელიუსკინელთა გმირულ ეპოპეას. ახალგაზრდობამ ფართოდ დაუჭირა მხარი გაზეთის მოწოდებას: მოეწყოთ ნორ-

მატივების ჩაბარება ნიშანზე „შრომისა და თავდაცვისათვის იყავ მზად!“

...გადავშალოთ დროისაგან გაყვითლებული გაზეთის ფურცლები... „არც ერთი ნაბიჯი უკან!“, „მამა, მოკალი ფაშისტი!“ პირისპირ დადგა მტრის წინაშე საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდული პრესის ფლაგმანი გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“. ფრონტის სანგრებიდან, პარტიზანული ტყეებიდან, ზურგში ევაკუირებული ქარხნების საამქროებიდან იწერებოდა რეპორტაჟები და ნარკვევები, კორესპონდენციები და ჩანახატები. პირველად „კომსომოლსკაია პრავდამ“ ამცნო ქვეყანას ლიზა ჩაიკინას, ახალგაზრდა გვარდიელების გმირობის შესახებ. საქმისა და სიტყვის ერთიანობით, ღრმა პატრიოტიზმით იყო გამსჭვალული გაზეთის სამხედრო კორესპონდენტთა ძნელი შრომა ომის გზებზე. გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი, ცნობილი მწერალი არკადი გაიდარი გაზეთის დავალების შესრულებისას გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

გაზეთის არსებობის ომისდროინდელ პერიოდში გამოქვეყნდა 110 გვერდი, რომელიც მხოლოდ მებრძოლებისა და პარტიზანების წერილებიდან არის შედგენილი. ბევრ წერილს ასიათასობით გამოხმაურება მოსდევდა. განა შეიძლება აუღელვებლად წაიკითხოს ადამიანმა ომის ვეტერანის გამოგზავნილი წერილი? მიხეილ ბიკოვმა ქალაქ კასპისკიდან თავის წერილს თან გამოაყოლა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ ძველი, გაყვითლებული ამონაჭერი — პოლიტხელის მოადგილის ს. სანინის კორესპონდენცია, რომელიც დაიბეჭდა გაზეთში 1941 წლის 27 ნოემბერს. ეს არის აშაღელვებელი მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორ გადაეფარა კომკავშირელი სოსნოვსკი მტრის ტყვიამფრქვევის სათოფურს და ამით უზრუნველყო შეტევის წარმატება. მ. ბიკოვი რედაქციას სწერს: „კომსომოლსკაია პრავდას“ ეს ამონაჭერი თან დამქონდა ფრონტის გზებზე. ბევრჯერ წამიკითხავს გაზეთში დაბეჭდილი ეს ამბავი ჯარისკაცებისათვის. იგი ყველაზე ძნელ წუთებში ძალას გვმატებდა“.

რედაქცია არც იმათ ივიწყებდა, ვინც ფრონტს იარაღს, ფეხსაცმელსა და ტანისამოსს, სურსათსა და სანოვაგეს უმზადებდა. გამსვლელი რედაქციები საბრძოლო ფურცლებს უშვებდნენ მსხვილი თავდაცვითი ქარხნების მშენებლობებზე, მეტალურგიულ თუ სატანკო ქარხნებში. გამსვლელი რედაქციები ორგანიზაციას უწევდნენ სოციალისტურ შეჯიბრებებს, რომელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა თაოსნობა დევიზით „იმუშავე შენ და ფრონტზე წასული ამხანაგის წილ!“ მკითხველი გულგრილი არ დარჩენილა გაზეთის ფურცლებზე გამოცხადებული არც ერთი კეთილი წამოწყებისა. ასე გასინჯეთ, 270 მილიონი მანეთი იქნა გადმორიცხული გაზეთის ანგარიშზე ფრონტელთა ინიციატივით, ეს თანხა გაჭირვებული ბავშვების დასახმარებლად შეგროვდა.

1945 წლის 26 მაისს გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოვდა სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით. ეს იყო საბჭოთა ახალგაზრდული პრესის ფლაგმანის იმ დიდი წვლილის აღიარება, რომელიც გაზეთმა ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში შეიტანა.

გაზეთის სათაურთან კიდევ შრომის წითელი დროშის ორი ორდენის გამოსახულებაა. ეს არის პარტიისა და ხალხის მიერ გაზეთის იმ დიდი დამსახურების აღიარება, რომელიც მას მიუძღვის მომავალი თაობების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში. ეს არის იმ დიდი როლის აღიარება, რომელიც გაზეთმა მოიპოვა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ახალი გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში. ეს დიდი ჯილდოები გაზეთმა მიიღო არსებობის 25 წლისთავის აღსანიშნავად და შემდეგ კი მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით.

სწორედ ამ წლებში, სახალხო მეურნეობის აღდგენის შემდეგ იყო ყამირი და ბრატსკი, აბაკანი და ტაიშეტი, მშიერი უდაბნო და ახალი სიმდიდრეების აღმოჩენა აღმოსავლეთში. ჩვენი ქვეყნის კომუნიზმის დიად მშენებლობაზე მჭექარედ გაისმა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ ხმა, რომელიც შრომითი გამარჯვებისაკენ მოუწოდებდა საბჭოთა ახალგაზრდობას. იგი ყოველთვის ძიებაშია — პირველი უჭერს მხარს და ავრცელებს მოძრაობას კომუნისტური შრომისათვის... გაზეთმა მებრძოლის მაზარა გაიხადა, მახვილი სახსნისად გადაადნო და მშვიდობიან შრომას შეუდგა... ახალგაზრდულ გაზეთს ყველა კითხულობს — დიდი და პატარა, კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა იმიტომ, რომ იგი ყველასათვის მისაწვდომი და გასაგებია, მას დღეს მილიონობით მკითხველი ჰყავს.

1925 წლის 24 მაისს „კომსომოლსკაია პრავდას“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულია რედაქციის მიმართვა მკითხველებისადმი: „ვინ და როგორ უნდა წერდეს „კომსომოლსკაია პრავდაში“. მიმართვაში ნათქვამია: „კომსომოლსკაია პრავდას“ თავისი მუშაობა ვერ წარმოუდგენია სხვაგვარად, თუ არა ახალგაზრდა მკითხველთა მასებთან მჭიდრო და პირდაპირი კავშირის საფუძველზე...“ ეს მართლაც ასე იყო ყოველთვის და დღესაც ასეა. ამაზე მეტყველებს რედაქციაში შესული წერილების რაოდენობა — წელიწადში მილიონამდე და გაზეთის ტირაჟი — ათ მილიონზე მეტი ეგზემპლარი.

...გადავფურცლოთ გაზეთის გუშინდელი, დღევანდელი ნომრები, გადავფურცლოთ საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრების მატიანე. გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“, როგორც ყოველთვის, შრომითი ფრონტის ავანგარდშია პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისთვის ბრძოლაში, ამ ისტორიულ მიზანდასახულობათა შესრულებაში გაზეთმა განა უკვე არ შეიტანა თავისი ღირსეული წვლილი?

„ხუთწლედს დამკვრელური შრომა, ახალგაზრდობის ოსტატობა და ძიება!“ გაზეთის ეს ლოზუნგი წითელ ზოლად გასდევს ხუთწლედის ყოველ წელიწადს — გადამწყვეტს, განმსაზღვრელს, დამამთავრებელს. განა გაზეთის უდიდესი ძალა არ არის, რომ საბჭოთა ახალგაზრდობის დარაზმვაში მან უაღრესად დიდი როლი შეასრულა? განა ამის დამადასტურებელი არ არის საუკუნის მაგისტრალის ბამის მშენებლობა, რომელიც 70-იანი წლების კომკავშირელებისათვის იგივეა, რაც ოციანი წლების კომკავშირელებისათვის დნეპრჰესი, 30-იანი წლების კომკავშირელებისათვის ტურკსიბი, 40-იანი წლების კომკავშირელებისათვის სტალინგრადი, 50-იანი წლების კომკავშირელებისათვის — ყამირი, 60-იანი წლების კომკავშირელებისათვის — სამატლორი. უკვე დღეს ბამის მშენებლობაში მონაწილეობს ყველა რესპუბლიკის ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები.

ვ. ი. ლენინის ანდერძისა და კომუნისტური პარტიის საქმის ერთგულების სულისკვეთებით ქალიშვილებისა და ჭაბუკების აღზრდაში დიდი დამსახურებისათვის, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად ახალგაზრდობის აქტიური დარაზმვისათვის და 50 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

„კომსომოლსკაია პრავდამ“, საკავშირო ლენინური კომკავშირის მებრძოლმა ორგანომ, თავისი არსებობის მეექვსე ათეულში გადააბიჯა. იგი, როგორც ყოველთვის, დღესაც გარშემორტყმულია თავისი საბრძოლო რაზმით — ახალგაზრდა კორესპონდენტებითა და მილიონობით მკითხველით — კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლებით.

ო. ლორთქიფანიძე,
გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორი.



# ოთხი და

# ფლორალი

**ოთია იოსელიანი**

მხატვარი ი. სამსონაძე.

იყო თეთრი, მაგრამ ავი და ცივი ზამთარი. ქვეყანას ქათქათა საბანი ეხურა. ამ საბნის ქვეშ, დედამიწაზე ჩახუტებულს ეძინათ ყველაფერს და მოთმინებით ელოდნენ მშვენიერი, მხიარული, მწვანე გაზაფხულის მოსვლას.

ეძინა ოთხ დასაც: ენძელას, ყოჩივარდას, ფურისულასა და ია-იას.

თეთრი ენძელა, ყვავილთა მეფე ვარდზე ძალიან ბრაზობდა და ჭორაობდა: გენაცვალეთ, რა მოხდა, რომ გადაბდღვიალებულა, ქვეყანას აგიჟებს, არც სინდისი აქვს, არც სირცხვილი, საცოდავი ბულბული ხომ სულ გადარიაო. ვარდის ჯიბრზე ვარდისფერს ვერ იტანდა და თეთრ კაბას იცვამდა.

ყოჩივარდა კი, პირიქით, ვარდზე ისე იყო შეყვარებული და მოხიბლული, მისი ყველაფერი მოსწონდა და, დედას კი არა, ვარდს ფიცულობდა და არაფერი არ უნდოდა, ოღონდ ვარდისფერი სცმოდა. თან კაბას ანაოჭებდა და აკვარაკუნჩხებდა, იქნება მეფის კაბას დავამსგავსოო.

ფურისულა ვარდზე არც ავს ამბობდი და არც კარგს. თავისუფალი, სადა სამოსი უყვარდა და ფერებში დებს ჰბაძავდა: მოთეთროც მოსწონდა, მოვარდისფროც და მოლურჯოც.

ლურჯს კი, და მხოლოდ ლურჯს, ძალიან მორცხვი და მოკრძალებული ია-ია იცვამდა.

მაგრამ სანამ ზამთარი იყო, იწვნენ, ეძინათ თოვლის თეთრ საბანში და ელოდნენ ოქროს სხივებით მოქარგულ მწვანე გაზაფხულს. გაზაფხული კი, არა და არ ჩანდა. რაკი ზამთარი ბობოქრობდა უსუსური ყვავილები კი არა, ასწლოვანი მუხები და ძელქვები ვერ ბედავდნენ კვირტის გაშლას.

— ადექით, ადექით! გეყოფათ ძილი და უსაქმურობა! — გაწყრა ერთ დილით დედამიწა.

— გათენდა? — იკითხეს დებმა და ფანჯარაში გაიხედეს.

გათენებას ყვავილები გაზაფხულის მოსვლას ეძახიან.

— თუ არ გათენდა, ადექით, წადით და გაათენეთ! — ბრძანა დედამიწამ, — აბა სანამდე უნდა იყოს ქვეყანა ბნელში?

ესე იგი, თუ არ გაზაფხულებულა, ადექით, წადით და გაზაფხული მოიყვანეთ, აბა სანამდე უნდა იყოს ზამთარიოო.

მართალია, თოვლი თეთრია, მაგრამ ყვავილები ზამთარს მაინც ბნელს ეძახიან, რაკი სიცივის გამო მიწის ქვეშ არიან და იქ, რაღა თქმა უნდა, ბნელა.

— რა დროს გათენება და გაღვიძებაა, თავზე ერთი მტკაველი სისქის თოვლი გვახურავს! — გადაბრუნდა ენძელა კედლისაკენ, სადაც ხალიჩა ეკიდა, რომელზეც თეთრი ყვავილები, ენძელა და ბულბული იყო დახატული.

— ამ სიცივეში ყვავილი კი არა, ძაღლი არ გაიგდება გარეთ! — აწუწუნდა ყოჩივარდა და საწოლის თავზე დაკიდებულ, სისხლივით წითელ. ვარდის დიდ სურათს თვალი მიაშტერა.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — ორივე დას დაეთანხმა ფურისულა და ისევ ჩასთვლიმა.

— დედიკო, ახლავე ავდგები, მაგრამ რომ არ ვიცი, რა გავაკეთო? — მაშინვე წამოხტა დედის გამგონე და დაუზარელი ია-ია.

— თოვლს თუ უყურეთ, ეგ იქნებ მთელ წელიწადსაც იყოს, წადით, ქვეყანას მოედეთ და ახარეთ გაზაფხული.

— ოჰ, მშვენიერი გაზაფხული, როგორ მომენატრა! — აცრემლდა ია-ია.

— ასე რომ გენატრება, მთა და ბარი მოიარე და მოუხმე, გაახარე დიდი და პატარა, თუ გინდა ქვეყნად პირველი ყვავილი გერქვას.

— დედიკო, პირველი ყვავილი ხომ ვარდია, იმას ვინ შეედრება! — ვერაფერი გაიგო ია-იამ.

— ვარდი პირველი კი არა, ულამაზესი ყვავილია, გაზაფხულის ყვავი-



ლი, პირველი ყვავილი იქნება ის, ვინც არ იზარმაცებს, ამ თოვლსა და სუსხს არ შეუშინდება, გაზაფხულის მოსვლას ახარებს მთასა და ბარს და ამ საძაგელ ზამთარს ქვეყანას მოაშორებს.

— მე ზამთართან ბრძოლა სად შემიძლია ან ასეთი დიდი ბედნიერების მახარობლად როგორ გამოვდგები და როგორ გავბედავ მშვენიერ გაზაფხულს წინ გავუძღვე, სადაც ასი და ათასი ფერის ყვავილებია.

— პირველი ყვავილი იქნება, ვინც გაზაფხულს წინ წაუძღვება? — იკითხა კედლისკენ გადაბრუნებულმა ენძელამ და გადმობრუნდა.

— პირველი ყვავილი იგივე ვარდი არაა?! — წამოვარდა ყოჩივარდა.

— ამდენ ყვავილებში პირველი კი არა, მეორეც რომ იყო, რა ბედნიერებაა! — თავსასთუმალში დაწყობილ კაბებს ეცა ფურისულა.

— ია, გენაცვალე, მიდი, ჩემი თეთრი კაბა დამიუთოე! — მიაძახა ენძელამ და თვითონ პირის დასაბანად გავარდა.

— დაუთოება მეც ხომ მინდა! — მოაგონდა ყოჩივარდას, კაბაში თავი ჰქონდა გაყოფილი, რომ გადაიძრო.

იამ გატკიცინებული ქათქათა თეთრი კაბა შეაგება ენძელას და როგორც კი უთო დადო, ფურისულა ეცა, თავისი კაბების დაუთოებას შეუდგა.

— ია-ია, მალე ქენი, ჩემი კაბაც დააუთოე, თორემ ეს შურიანი ენძელა გამასწრებს, — აწუწუნდა ყოჩივარდა, მაგრამ ფურისულამ იას უთო არ დაანება.

ენძელამ, როგორც კი კაბა გადაიცვა, კარი გამოაღო და თოვლში გავარდა, — პირველი ყვავილი ვიქნები, ბულბული ვარდს კი არა, მე მიგალობებსო.

— ვაიმე, მიშველეთ! — გადაირია ყოჩივარდა.

— ჯავრი ნუ გაქვს, — დაამშვიდა ფურისულამ, — ენძელა თეთრია და თოვლზე ვერავინ შეამჩნევს.

— ვერავინ შეამჩნევს? — დაშოშმინდა ყოჩივარდა, მაგრამ როცა ფურისულამ თავისი ფერადი კაბები დააუთოვა და ჩაცმა დაიწყო, ისევ გადაირია, — ენძელას თუ არა, შენ ხომ შეგამჩნევენ!—სტაცა ხელი თავის კაბას, ის იყო, ია რომ აპირებდა დაუთოებას და გადაიცვა, გადაიცვა და მაშინვე გარეთ გაიჭრა, ძლივს გაასწრო ფურისულას, რომელიც, რა თქმა უნდა, მაშინვე ფეხდაფეხ მიჰყვა.

— რაღას უცდი? — ჰკითხა დედამ იას, — შენ რა, მათი და არა ხარ?

— ჰო, დედიკო, მაგრამ უკვე რომ წავიდნენ? ენძელა თეთრია, ამაყი და პირველობაც ეკუთვნის; თუ არადა, ყოჩივარდა ხომ ვარდისფერია, შორიდანაც შეამჩნევენ. ფურისულას იმდენი ლამაზი კაბა აქვს, რომელ კორდზეც და ტყისპირზეც ის და ყოჩივარდა გამოჩნდებიან, ნამდვილი გაზაფხულიც იქ იქნება.

— ესენი ისე უკანმოუხედავად გაცვივდნენ, სურნელიც კი სარკის წინ დაუწყვეტიათ, აბა უსუნო ყვავილი ყვავილია?

— მერედა, რას იტყვიან ჩემი დები, რომ მათი წილი სურნელი გადავისხა და გაზაფხულის ყვავილის სახელი დავიჩემო?

— აბა როგორ, შენ უსაქმურად შინ დამიჯდები? რისთვის გზრდიდი და გივლიდი, თუ ქვეყანას არ გაახარებ! — გაწყრა დედამიწა.

— არა, დედა, უსაქმურად ყოფნა კი არ მინდა, მაგრამ მე რა გამოსაჩენი ვარ...

— აბა, აბა, ახლავე გასწი და საქმეს მიხედე, საქმე გამოგაჩენს!

ია-იამ ვარდისფერ, სურნელებით სავსე შუშას ხელი მაინც არ ახლო, იქვე პატარა იისფერ შუშაში ჩარჩენილი სუნამო თავზე დაიწვეთა, დრო რომ არ დაეკარგა და დედა არ გაენაწყენებინა, ლურჯი კაბა არც დაუუთოებია, ისე გადაიცვა და მაშინვე წავიდა, სადღაც ბუჩქის ძირას მოფარებული ადგილი მოძებნა, ამოძვრა მიწიდან და თავდახრილი დადგა — აქაოდა, არავინ ჩემს დებზე ადრე არ დამინახოსო. თოვლისაგან და ყინვისაგან გათოშილი ქვეყანა მოუთმენლად ელოდა გაზაფხულს, განსაკუთრებით ბავშვებს მისდიოდათ სული, ისე ენატრებოდათ ცხელი მზე და მწვანე მინდორი. მაგრამ მაშინ კალენდარი არ იყო და დიდი და პატარა ყვავილების სუნით გრძნობდა გაზაფხულის მოახლოებას.

ენძელა რომ თოვლიდან ამოძვრა და ქვეყანას გაზაფხულის მოსვლა ახარა, თეთრი ყვავილი ვერავინ შეამჩნია.

ყოჩივარდა და ფურისულა რომ კორდზე დასხდნენ, ბავშვებმა, იცოცხლე, გაიხარეს, მაგრამ სურნელება არც ერთს არ ჰქონდა და მაინც გულნაკლულნი დარჩნენ.

მაგრამ როცა ია-ია ამოვიდა და ქარმა მისი ნაზი და მოკრძალებული სურნელება ქვეყანას მოჰფინა, მაშინ კი იფიქრეს, გაზაფხულს გაღვიძებიაო და ჟრიამული ატეხეს, ტყესა და მინდორს მოედვნენ. ბუჩქის ძირას თავდახრილი, მორცხვი, ლურჯი ყვავილი, ეს რა აურზაური ავტეხე — დებს არ ვაწყენინოო, კიდევ უფრო მიიყუჟა და თავი დამპალ ნეშოში ჩამალა.

— გაზაფხულის ყვავილი!..

— პირველი ყვავილი! — აყიჟინდნენ ბავშვები და შემოეხვივნენ.

ია-იამ არ იცოდა, ვინც ნაზი და მოკრძალებულია, განა შეუმჩნეველი რჩება?

მას შემდეგ, რაც ქვეყანა არსებობს, რაც ზამთარი ავობს და დიდი და პატარა გაზაფხულს მოუთმენლად ელის, ენძელას გამოჩენაც ახარებს, ყოჩივარდასიც და ფურისულასიც, მაგრამ ია-ია რომ ბუჩქის ძირას მორცხვად და მოკრძალებულად ამოჰყოფს თავს, სუსტ, ნაზ იის სურნელს ნიავი არემარეს მოჰფენს, ყველას სჯერა, რომ მწვანე, ოქროს მზიანი გაზაფხული კარზეა მომდგარი.



# მესხეთის სიმფონია

**ნიკო კეცხოველი**

მხატვარი გიორგი ქლიბაძე.

ლაზთა რგევა, სისხლის ტბორით
შეღებილი ქართლ-კახეთი!
რაჭა-ლეჩხუმია შორით,
ახლო მესხეთ-ჯავახეთი.

გალაკტიონი.

## ტანჯული ქალაქი

— აწყური ისე გავიარეთ, რომ არც კი შევჩერდით, — თითქოს დაიკვნესაო, ისე წაიდუდუნა ერეკლემ.

— რომ შევჩერებულიყავით, დავიგვიანებდით, სერგოს ხომ უნდა გავუაროთ ახალციხეში. პირობა კაცს ცოლს წაართმევსო, ხომ იცი?

— „ვაზს გვერდი აუარეს და კრიკინავ, გამარჯობაო", მართალია, სერგო კრიკინა არ არის, იქნებ ბუდეშურიც იყოს, მაგრამ აწყური ერთ-ერთი ძველი ციხე-სიმაგრეა, ჩვენს მატიანეებში მეათე საუკუნიდან ჩანს. თვით აწყური ქალაქიც ყოფილა. ეპისკოპოსიც მჯდარა, მაწყვერელი.

ძველი სავაჭრო გზა აწყურზე გადიოდა, სწორედ ამიტომაც მტერი არ ასვენებდა. მესხეთის ოსმალთა მიერ დაპყრობამდე, აწყურის ციხე ჯაყელების რეზიდენცია ყოფილა.

— პოეტმა რომ თქვა — „ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხეო"... მართლაც ყველა ციხე დიდია, სისხლით შეღებილი...

— აწყური რამდენჯერმე შემუსრეს, მიწასთან გაასწორეს, მაგრამ კვლავ აგებდნენ, ამაგრებდნენ. 1770 წელს აქ ერეკლემაც უკივლა თავისებურად ოსმალებს, მაგრამ...

— რა მაგრამ? ტოტლებენმა უღალატა... — ვერ მოითმინა ერეკლემ.

— საოცარია, ერთ საუკუნეში ორი ღალატი.

— ??

— 1724 წელს ვახტანგი ხომ მიატოვეს...

მანქანა „რაფი" კი მიქროდა ახალციხის შარაზე და სოფელ წნისს მიუახლოვდა.

მინდიამ მანქანა შეაჩერებინა და მსუბუქად გადმოვიდა.

პატარა გორაკის ფერდობზე ფეხმარდად აირბინა და ეულ ხესთან დადგა.

გოგიამ თავი გადააქნ-გადმოაქნია, თან ჩაიცინა.

— რას იცინი, გოგი?!

— ალმართმა თქვა, ვაჟკაცი მოვღალე და ბერიკაცმა მე მომღალაო...

— ეგა? უბერებელია! გარეთ გასული კაცი ქვაზე მაგარია.

— ეჰ, ისიც მართალია, რომ გრძელ გზასაც ბოლო აქვს.

ამ დროს მინდიამ ხეს ერთი პატარა ტოტი ჩამოსტეხა და ჩამოიტანა...

— ეს ხომ კნაპაა, თავისებური კუნელი, ხრიოკების მცენარე, — თქვა ერეკლემ უფრო იმიტომ, რომ მამისთვისაც ეთქვა, გვახსოვსო.

— ეს მართალია, რომ წნისთან ერთი ჭკუის კოლოფი მტკვარს აგუბებდა?

— ეგ ვიღამ გითხრა? — გაუღიმა გიორგიმ.

— ქვეყანა სავსეა კარგი და ძველი ამბებით. საკურსო თემის დამუშავების დროს ძველ გაზეთში შემხვდა.

— მართალია. ინჟინერი იყო ერთი, საკმაოდ ნიჭიერი კაცი. აქ მტკვარს აგუბებდა, შემდეგ გვირაბით ხვრეტდა მესხეთის ქედს და რიონს უერთებდა.

— რათაო რიონს, წყალი აკლიაო? — ჩაერია მათ საუბარში გივი.

— მიეცეს და მიემატოსო, — დაუმატა ვახტანგმა.

— თავისთავად პროექტი ჭკუამახვილურია, ლამაზი და ამან გაიტაცა...

— მარტო სილამაზე ხომ არ არის საქმე. მაგ პროექტს მადლი არა აქვს, აღმოსავლეთ საქართველოს ისედაც წყალი აკლია, ეგ კი წყალმრავალ რაიონში სამხრეთის ყველა მდინარეს უერთებდა

— ეგ უკვე ისტორიაა, დღეს ცოტა კეთდება მომავლის გაუთვალისწინებლად?

— ეს იმასაც ჰგავს, რომ ახლა რიონს სხვა კალაპოტში აგდებენ, განა გვჭირდება?

— რა ვქნა, თქვენ ამ საქმეებისა რა იცით?

— მამი, შეხედე, — და ერეკლემ აბიბინებულ ულვაშზე ხელი გადაისვა, — მე როგორც მომავალ ინჟინერს, ხომ მეხება...

გიორგის გაეღიმა. ისე დაეზარდნენ ბიჭები, ვერც კი შეამჩნია. დღემდე ისე უცქეროდა, როგორც მებაღე ჩქოლს — ახალ ამოყრილ ხეს.

— თქვენ თხასავით არ მოგივიდეთ, რომ გაიძახოდა — მღვდლად მაკურთხეთ, მეც წვერი მაქვსო, ის კი არ იცოდა, წვერის გარდა სხვაც იყო საჭირო.

— ეგეც მართალია, ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, შერიგების დროს შეგრცხვესო.

— ნიკორა გაატყავეს, რატომ დედა არ გყავსო. — მაინც ჩაერია ვახტანგი. მამას ისიც მოეწონა, რომ მისი ბიჭი ასეთი ხსოვნიერი იყო, მაგრამ არ შეიმჩნია.

—მართალია, ბიჭებო, მეტი დაფიქრებით უნდა ყოველ საქმეს მოკიდება. ნათქვამია, მცოდინარი მტერი უცოდინარ მოყვარეს გერჩიოსო.

საუბარში ისე გაერთნენ, ვერც კი შენიშნეს, ახალციხეში როგორ შევიდნენ.

— აი, ესეც ჩვენი ტანჯული ახალციხე, მართალია, თავისი ხნოვანებით ბევრ ჩვენს ქალაქს ჩამოუვარდება, მაგრამ IX-X საუკუნეებში უკვე არსებობდა. XII-XIII საუკუნეებში თორელებს ეკუთვნოდათ. გახსოვთ შალვა და ივანე ახალციხელები, შამქორის დიდი გმირები? შალვას შემდეგ თორელები დაუძლურებულან და XIV საუკუნიდან ახალციხე ჯაყელების ხელშია. ეს ქალაქი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო. ამიტომ ხშირად აწიოკებდნენ, ანგრევდნენ. განსაკუთრებით დიდი უბედურება დაატყდა თავს მონღოლების დროს. მეცამეტე საუკუნეში, დამკვიდრდა თუ არა ოსმალეთი მცირე აზიაში, ჩრდილოეთისკენ მიაპყრო თვალი. პირველ რიგში შავშეთ-ერუშეთის, ტაოკლარჯეთისა და მესხეთ-ჯავახეთის აწიოკება დაიწყო და ბოლოს, დიდი ბრძოლების შემდეგ, 1628 წლიდან

დაიმორჩილა კიდეც. ორასი წლის შემდეგ, 1828 წელს რუსის ჯარებმა მესხეთ-ჯავახეთი კვლავ შემოუერთეს საქართველოს. ამ დროს აქ ჩვენი პოეტი გრიგოლ ორბელიანიც იბრძოდა თურმე... ახალციხის ციხე მაგარი იყო, მაგრამ „გასტეხს ქვასაცა მაგარსაო", ხომ გაგიგონიათ. ოსმალთა ხელშიც ქართველობა არა ტყდებოდა, ქალაქში ქართველობა ბევრი იყო, ზოგი კათოლიკე, ზოგი მაჰმადიანი, ზოგი მართლმადიდებელი... ოსმალონი კათოლიკეებს ხელს არ ახლებდნენ. აქეზებდნენ კიდეც ამ რჯულზე გადასულიყვნენ, ამაში მართლმადიდებელი ქართველობის მართლმადიდებელი რუსეთიდან ჩამოშორების გზას ხედავდნენ. მაგრამ ვერას გახდნენ, თუმცა ბევრჯერ ყმაწვილების კალოც ლეწეს, ხშირად აქაურებს ისეთი დღე ადგათ, ქვაც კი ატირდებოდა.

მუზეუმის კარში სერგო დახვდათ.

კარი, ჩვენი ბიჭებიც აქვე არიან, დილით გნახავთ.

ვახტანგმა ერთი კახური საზამთრო გადმოიღო და მიართვა, რითაც ძალიან გაახარა.

პატარა ხრამში წყაროც მიწანწკარებდა. შორი-ახლოდან ხმები ისმოდა, „ეს აჭარლები საქონელთან არიანო", განმარტა გიორგიმ.

მინდიამ გადმოიღო ნაბადი და გაშალა, თან დაუმატა:

— ბევრი უნახავს ნაბადსა წვიმა და ავი დარიო.

ერეკლემ ლაბადა გადმოიღო.

— ვირი გარბოდა ცხენთანაო, მეც ბედაური შენთანაო. სად ნაბადი, სად ლაბადა. ნაბადი სიცივეში თბილია, სიცხეში გრილია... — გაეკამათა ვახტანგი.

ქილიკაობდნენ, თან საძილე ტომრებს შლიდნენ, გივი და გოგია ვახშმის თადარიგში იყვნენ, არ შიოდათ, მაგრამ ყოველი შემთხვევიან წავარნა კი არ არის. შარაა, ბატონო. წამობრძანდით, ბატონო, ბუხარიც მხიარულად დაგხვდებათ.

ბევრი არწმუნეს, აუხსნეს, ასე გვირჩევნიაო, მაგრამ მოხუცს სახეზე ეტყობოდა, ნაწყენი იყო.

— ეჰ, ბატონო ჩემო, — მიმართა მინდიას, — ჩემი ცხოვრების ბოლოს მინდოდა ამ მთაში ქართველებთან პური ერთხელ კიდევ გამეტეხა.

— რადა, ბოლოს, ბიძავ და პაპავ? ჯერ ბოლო შორს არის, — მოკრძალებით მიმართა ერეკლემ.

— ჩემს სწორად მოიყარე, ვაჟკაცო, ცას ხომ არ შევაბერდები, ჩემი ცხოვრების შული ამოვახვიე უკვე.

გიორგის, გივისა და გოგის სუფრა უკვე გაეშალათ. მოხუცი მიიწვიეს, მან უკან დაიხია — როგორ, სტუმართან მასპინძელი სტუმრად მივიდეო?

არ მოეშვნენ. სახელი ჰკითხეს.



სახე გაებადრა, მიწას ფეხს არ აკარებდა, სულ დაფრინავდა, ვიცოდი, პირობის კაცი იყავი, მაგრამ ასე ზუსტად თუ ასრულებდი, რა ვიცოდიო, — ეუბნებოდა გიორგის.

მზე გადახრილი იყო, როდესაც სერგოსთან სუფრა აალაგეს და წამოიშალნენ. ეხვეწნენ, მაგრამ არ დადგნენ. დღეს გოდერძზე ავალთ და საქმე წინ წავდებული იქნებაო.

## ყველა თავისას ჩიოდა

გოდერძის ზეკარზე მესაზღვრეები დახვდნენ. როდესაც სერჟანტმა გაიგო, ვინც იყვნენ, ქედის პირიქით გაუძღვა. ერთ ნაძვის ძირას მიიყვანა.

— ეს იყოს ამაღამ თქვენი სახლისათვის. თადარიგი კარგიაო, — მოაგონა მინდიამ.

— ჰო, ახალგაზრდობაში შენახული სიბერეში ხმალიაო — გამოსძახა გივიმ.

— მართალია, ერთხელ მახათის მთაზე მცხოვრებსაც დასჭირდა მახათიო. მთაა, რა ვიცი, როგორ გადაიქუხებს ეს ღამე, — ჩაერთო გოგია, — და გვქონდეს მზად.

ის-ის იყო ცეცხლი აანთეს, რომ თავს ერთი მოხუცი წამოადგათ.

— კაი გამარჯობა თქვენი!..

— აი, იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ!

— ამაზე კი მადლობელი, მაგრამ ჩვენს ლაიელაზე[1] მობრძანებულხართ, და ცის ქვეშ კი რჩებით, ან თქვენ როგორ გეკადრებათ ან ჩვენ, აქ სახლები გვაქვს. იქამდე ქაშანი[2]

— წინათ მამედს მეძახდნენ, ახლა კი შვილიშვილებმა სახელი შემიცვალეს, მამია დამარქვეს, — თან გაიღიმა.

— მამია კარგი სახელია, — შეეხმაურა მინდია.

— კარგიცა და ავიც გრძელი ნაბიჯით დადის ამ ქვეყანაზე.

მაინც დაიყოლიეს, სუფრას შორი-ახლო მიუჯდა, ხილს შეექცა. გული კი ეთანალრებოდა. ბევრი რამ უამბო. ჩვენი სოფელი 1914 წელს ხან თურქებმა ააოხრეს, ხან რუსთა მეფის ჯარმაო.

— ჩემი სოფლის ჭირიცა და ლხინიც კალთით მიტარებია, რას ვიზამ.

---

[1] ლაიელა — საძოვარი.

[2] ქაშანი — შამბითა და თოვლზე გაქელილი გზა (საბა).

— აქ რადა ხარ, ბიძავ? — ჰკითხა გივიმ.

— აქ საქონელი გვყავს. მემთევრეობა[1] უკვე თითქმის 2 თვეა დაიწყო. საქონელს ქალები უვლიან — მემთევრეები.

— ლელა, ეგ შენ უნდა ნახო და ჩაიწერო, ჩვენ ქალები არას გვეტყვიან, — უთხრა ერეკლემ.

— ვითომ რადაო?

— ჩვენ კაცები ვართ და კაცებს ჯერჯერობით ერიდებიან.

— მართალი კია. ეგ ძველებს შეეხება, თქვენი ჭკუისანი, სკოლაში ნამყოფნი, ისე არიან, როგორც თქვენ, — განმარტა მამიამ.

— ვინ მწყემსავს, ისევ ქალი?

— არა, მწყემსად ორი-სამი კაცია სოფლიდან გამოყოფილი.

## ბუნების სიმფონია

კიდევ დიდხანს ისაუბრეს და როდესაც ცაზე ხომლი წამოიწია, როდესაც ნაკვერცხლები ჩანავლდა, მოხუციც წასასვლელად მოემზადა. ლელას დაჰპირდა, ხვალ ჩვენს მემთევრეებს გაჩვენებ და წერე, რამდენიც გინდაო.



მოხუცს ვახტანგი გაჰყვა, მოკლეზე მოჭრა მოინდომა და ღირღალი[2] გზა დახვდათ. შემდეგ კი მცირე ულნარი[3] ტყეც გავლეს. ვახტანგი კმაყოფილი იყო, რომ ამ მოხუცს აცილებდა.

— ხვალ დილით მოვალ, შვილო, — დაუგდო სიტყვა ვახტანგს, — არსიანისა მთაზედა პატარძალი თამაშობდა, არც ცა იყო მადლიერი და არცა რა ქვეყანაო, — დაატანა.

— მაგას რადა ბრძანებ?

— აბა რა? რას მეტყვიან ჩვენები, რომ შინ ვერ წაგიყვანეთ?

ვახტანგმა სწრაფად იძრო წიგნაკი და იქვე ჩაიწერა მისი ნათქვამი, მოხუცს გაეღიმა და სახეზე ნათელმა გადაუარა.

ვახტანგი რომ ბრუნდებოდა, ცაზე უკვე კარგად ენთნენ გუთანი, ხომლი, ჩრდილოეთის ვარსკვლავიც უფრო კიაფობდა. როდესაც ბანაკს მოუახლოვდა, მინდია ბიჭებს უტევდა — დაიძინეთ, დროაო.

— აბა, ვახტანგ, რაღას უცდი, თქვი: ადრე ამდგარსა კურდღელსა, ვერ დაეწევა მწევარი-თქო — უთხრა ერეკლემ.

— რათა ეგა, ადრე ამდგარი ჩიტი ნისკარტს იწმენდდა, გვიან ამდგარი, თვალებს იფშვნეტდდაო... — და გამეტებით დაასკდა ერეკლეს.

ის კი წამოფრინდა, ქვეშ მოიქცია, კარგა ხანს იბუღრავეს. ბოლოს ბიჭებმა გიორგის ულტიმატუმი წაუყენეს, გვიამბე რამე შენი თავგადასავლიდან, თორემ ავდგებით და თავს უსიანს მივცემთო. ხომ იცი, კაცი მიდის და სიტყვა რჩებაო.

— კარგი, კარგი... ერთ ზაფხულს სვანეთის კავკასიონზე ვმუშაობდი, — დაიწყო გიორგიმ, — უფრო ხშირად გამყოლი ქედის დასაწყისში, იალბუზის მიდამოებში. ერთ წყნარ საღამოს მყინვარიდან გვიან დავბრუნდი, ბევრი სამუშაოც მქონდა, ჩემს კარავში ავანთე სანთელი და დიდხანს ვწერდი, ვანგარიშობდი, ხანდახან მეზობელი კარვიდან ამხანაგების ხვრინვა მაგონებდა, რომ მარტო არ ვიყავი. დავიღალე და კარზე გამოვედი. ხარიპარია ვარსკვლავს ამოეჭყიტა თვალი, ჩემს ლამისმეხრეობის დროინდელ მეგობარს გულიანად გავუღიმე. ბნელ ცაზე სხვა წვრილი ვარსკვლავები ციმციმებდნენ, მაღლიდან, ძალიან მაღლიდან ჩამოკრთოდნენ. კარავში შემობრუნებულს უცბად ჩამეძინა.

თითქოს რაღაცამ დამკრაო, ანაზდეულად გამეღვიძა, ამხანაგებს ჯერ ეძინათ, გამოველ კარში.

გამოველ კარში და...

უცბად ჩავერთე ბუნების საერთო ზეიმში, რაღაც ახალი გრძნობით მივხვდი, რომ მეც აქაური ჰაერის, ბალახის, მზის, ცის, მიწის, კლდის, მდინარის ნაწილი ვიყავი.

მზე ელვარებდა, ბრწყინავდა, მაგრამ თვალს არ ჭრიდა, სხივები ოქროს ლარებივით იყო ჩამოშვებული, ზოგჯერ თითქოს კანკალებდა, ზოგჯერ კი იჭიმებოდა და მარგალიტის მძივებად იმტვრეოდა. საოცარი იყო, მზის სხივი წკრიალებდა, [illegible] წკრიალებდა, ვერცხლის პაწაწინა ზარივით რეკავდა და გამჭვირვალე ჰაერი ივსებოდა ამ უცნაური ხმებით. მღეროდა ცის ნამი, რომელიც ყვავილთა ფოთოლზე ბრწყინავდა. მღეროდა წყარო. მზის გადაღმა ჩანდა ლურჯი და ღრმა ცა. შორს, შორს მისი ლაჟვარდი სულსა და გულში გეღვენთებოდა, თითქოს სისხლს შეერთოო, და საოცარია, რომ ამ გრძნობას ჩემში შემოჰქონდა მზის ყოველი წკრიალა და მოელვარე სხივი და მეც მემღერებოდა...

მღეროდა ირგვლივ ყველაფერი, ფუტკარი, პეპელა, ფარვანა, ყვავილი, ქვა და წყარო, რომელიც ქვიდან ქვაზე გადაჩქეფდა და თითქოს უხაროდა, რომ მისკენ იყვნენ დახრილნი პირიმზე და გვირილა, თამარის ქოშები და კესანე, ციურა და ცისთვალი, ლაშქარა და დეზურა; უნდოდა ჩაეხვია მკერდში, აკი უკვე ჩანდნენ კიდეც მის პატარა სარკეებში და სამუდამოდ უნდოდა დაეტოვებინა იქ, ამ დროს წამით ჩერდებოდა, ჩაიმუხლებდა, დაწყნარდებოდა, გაიტრუნებოდა, მაგრამ უმალ შეიკისკისებდა, ჰაერში გაიკრიალებდა მისი საგალობელი, შეუერთდებოდა საერთო საზეიმო ხმებს და თავდავიწყებით დაეშვებოდა ქვემოთკენ.

აგერ შორეული მთებიც, ლურჯად ჩამუქებულნი, ისინიც ბანს აძლევდნენ; მღეროდნენ მდელოები, თოვლიანი მთები, შორეული ბამბის ქულასავით გაუპენტავი ღრუბლები, თითქოს უკვდავება შეჩერდაო წამით.

და უცბად იქვე მოუსვენარი წყარო კვლავ ალიკლიკდებოდა, ამ ხმებში ზოგჯერ ჩაერთვებოდა ზემო სათიბიდან მწყრის ჩამოძახილი, მაღლა ცაში კი ფასკუნჯისა და ძერის უხმაურო დავლური...

როდემდის ვიყავი გარინდებული და სმენად ქცეული, არ მახსოვს, ძლივს ამოვისუნთქე, თითქოს გული ამოვატანეო და გავშალე ხელი, მეც მომინდა აფრენა, ცაში ბოინი, რათა ზევიდან მეხილა და მომესმინა ყოველივე. რა იყო ეს, თუ არა შესანიშნავი სიმფონია? სიმფონია მხოლოდ მოცარტისა, ლისტის, მასნესი. ნათელი, მზიური, სიცოცხლის დამამკვიდრებელი და ამავე სიცოცხლის ჰიმნი. მოგისმენიათ იგი? თუ არ მოგისმენიათ, წადით მთაში, მზიან ნათელ დღეს დადექით ნაკადულის პი-

[1] მემთევრეობა — საქონლის მთის საძოვრებზე ყოფნა.

[2] ღირღალი — ღელე-ღული ადგილი (საბა).

[3] ულნარი — კაპან ტყიანი, ნაძვნარი (საბა).

რას. გაიხედ-გამოიხედეთ და იქ გაიგებთ ამას. ეს არის უდიდესი სიხარული, მარადიული, გეგონება, არც დამთავრდება არასოდეს.

ამ დროს მიწიერი აღარა მესმოდა რა, გარდა ამ უდიდესი ბუნების კონცერტისა. ავხედე ცას და უნებურად დავიწყე ჩვენი ძველი სიმღერა: „შენ ხარ ვენახი, მშვენიერი“... მე და გარემო ერთნი ვიყავით...

და აი, ამ დროს თითქოს...

„ერთმა პირქუშმა მოყმემ ცხენხეთქვით ჩამომიარა, გუთნეულს ხელი გამიკრა, წყალს იქით დაატრიალა“...

უცბად გამოვფხიზლდი, მიწაზე დავბრუნდი. ჩემს წინ თვალებდაჭყეტილი, მთრთოლვარე და აკანკალებული, წინა ფეხებზე დაჩოქილი არჩვი იდგა... შემომნათოდა დიდრონი თვალებით, რომელშიც შიშიც ჩანდა, ნდობაც, ვედრებაც და რწმენაც.

ჯერ ვერ გავრკვეულიყავი, რომ პატარა სერის გადაღმიდან ვეებერთელა ნაგაზი ამოვარდა და თვალცეცხლიანი და თეთრკბილებიანი ჩვენკენ გამოქანდა, მაგრამ უცბად ჩემი კარვის წინ მარგილივით დაერჭო. არჩვი ფეხებთან მოვარდა. ბარბაცა ხომ გინახავთ? ოდნავი ნიავის წამობერვაზე როგორ ცახცახებენ მისი ცალკეული თავთუნები, სწორედ ასე კანკალებდა ფეხებთან დაცემული ნადირი.

ნაგაზი კი გაქვავებული იდგა და ილრინებოდა. საკმარისი იყო ფეხი მომენაცვლა, კარვისკენ წავსულიყავი წერაყინის ასაღებად, რომ ნაგაზი ეცემოდა ნადირს და დაფლეთდა.

ის-ის იყო რაღაც ფიქრმა გამიელვა თავში, რომ სერზე შაშხანიანი ვაჟკაცი აიმართა... ჯერ შედგა, რამდენსამე წამს გაქვავებული იყო, შემდეგ კი, გახსოვთ ბოლომდე ის ლექსი, წეღან რომ დავიწყე? — გავაგრძელებ.

„წაღმბრუნვლიანი წისქვილი, უკუ-
ღმა დამიტრიალა,
ღიმი ქნა, კბილი გამოჩნდა, შუქმა
მთა გადაიარა“.

აი, სწორედ ასე გაიღიმა და მართლაც მისი კბილის შუქმა თითქოს მთა გადაიარაო, ხელგაშლილი ჩემკენ დაეშვა. დაეშვა და ჯიქურ მომიახლოვდა. შაშხანა გვერდზე მიაგდო და გადამეხვია.

— გიორგი, ჩემო ძმავ!

ეხლაღა მოვედი გონს. ეს იყო ჩემი, მთაში ნაპოვნი მეგობარი და ძმადგაფიცული ყარაჩაელი იზუმურადი.

— იზუმურად, საიდან, შენ მაინც შენსას არ იშლი?

ერთმანეთის მოკითხვით რომ ვიჯერეთ გული, არჩვს დავხედეთ, რომელიც უკვე წამომდგარიყო, ბალახს წიწკნიდა და დროდადრო იცოხნებოდა, ცალი თვალით კი ნაგაზისაკენ იცქირებოდა.

— არჩვების პატარა ნოტო ჩემ ცხვარს შეერია, ძაღლი დაეტია, ექვსი არჩვი სერს აჰყვა. ეს კი მოსხლიტა და აქეთკენ გამოიგდო, მეგონა, ძაღლს ვერ წაუვიდოდა. მაგრამ ბედი ჰქონია, შენ გადაგეყარა.

მოუბრუნდა ძაღლს, ყარაჩაულად რაღაც უთხრა, გოროხს დასწვდა, აიმართა და სერისკენ გაისროლა, ძაღლიც შებრუნდა, ძუნძულით შეუყვა ფერდობს და მალე სერის ფხას გადაეფარა.

არჩვს კანჭი დასისხლიანებული ჰქონდა, კარვიდან გამოვიტანე იოდი და წავუსვი, კალმახივით შეფრთხიალდა, საცოდავად დაიკიკინა და სერს გადაღმა, ჭიუხები რომ ჩანდა, იქით გაქუსლა. გადასაფერდებელში ერთხელ კი შედგა, მობრუნდა და დაიკარგა კიდეც.

მე და იზუმურადი ღიმილით გავცქეროდით იმ ადგილს, სადაც ეს უცნაური არჩვი თვალს მიეფარა.

— როგორ, ნადირმაც იცის შენი გულის ამბავი? — მხარზე ხელი დამკრა და გულიანად მითხრა: — კარგია, ძმა ძმას რომ შეხვდება!

ამოიღო ხანჯლის შვილი, ოდნავ გაიჭრა საჩვენებელი თითი და გამომიწოდა. ჭრილობა ჭრილობას მივადეთ და სისხლი რომ აერია, გადამეხვია.

— ჩვენ ეხლა უფრო მეტნი ვართ ძმაზე, ორჯერ გავიფიცეთ. პირველად შენ რომ არ შემხვედროდი, მე ეხლა შეგხვდებოდი?

— კარგი, რად გინდა ძველი ამბავი?

გაშლილ ნაბადზე დიდხანს ვისხედით, ვიგონებდით ძველ ამბებს. საქმე ის იყო, რომ იზუმურადს უცნაურად შევხვდი, ხანჯალამოწვდილი ორი მთიელი სოფლის შარაზე იწევდა მისკენ. ის-ის იყო შორი მთიდან ჩამოვედი, ელვის სისწრაფით ჩამოვხტი ცხენიდან და შუაში ჩავდექი... პატივი მცეს, როგორც უცხოს და გაერიდნენ... დაფიქრების დრო რომ მქონოდა, შეიძლება ვერც გამებედა.

— არა მგონია! — თქვა ვახტანგმა. — შენი ამბავი რომ ვიცი, ორჯერაც რომ გეფიქრა, მაინც ჩადგებოდი.

— ჰო, კარგი, — განაგრძო გიორგიმ, — მეგობრის გვერდით უფრო ლამაზად მეჩვენებოდა გარემო, მზის ბრწყინვალე სხივი, ლურჯი ცა, თეთრი ღრუბელი, იისფერი შორეული მთები, მწვანე მდელო, წყაროს ღიკლიკი. ეს მეგობარიც ხომ ამ ბუნების ნაწილი იყო.

გიორგი გაჩუმდა... სიჩუმე ვახტანგმა დაარღვია:

— ეგ რა, ზღაპარი იყო, თუ პოეტობა დაიწყე?

— გვიამბე რამეო, მეც გიამბე და ეხლა გინდა ზღაპრად მიიღე, გინდა პოემად. გიამბე, რაც გადამხდა.

— კი, მაგრამ...

— გაჩუმდი! — შეუტია ერეკლემ.

ამის შემდეგ ხმა არავის ამოუღია, მხოლოდ მაღლიდან, გოდერძის ღრმა ციდან, ვარსკვლავები ეშმაკური ციმციმით იღიმებოდნენ. ხანდახან ნაკადულსაც გაეღვიძებოდა და ვარსკვლავებს შეეხმაურებოდა.

## ლტოლვილები

ის-ის იყო ჩვენი მგზავრები წამოიშალნენ, ცეცხლი დაანთეს და წყალი შემოდგეს, რომ გუშინდელი მეგობარი მამია გამოჩნდა. ორი ახალგაზრდა ახლდა. ქალ-ვაჟი. ვაჟს ავრიტისაგან[1] დაწნული კალათა და კოდი ეჭირა. გოგონას კი ხის დიდი სურა შეედგა მხარზე.

მოხუცებულმა გამარჯვება უსურვა დამხვდურებს.

ვაჟმა კალათა და კოდი სუფრასთან დადგა. შემდეგ გოგონას კუტალი ჩამოართვა, ეს აქაური ღვინოაო, — თქვა და კოდის გვერდით მიდგა.

— ლელა, აი ეს, აიშეა, შენი მეგზური იქნება, ესეც ქვეყნის მამიდაა. გაგიგონია, ალბათ: ბელტი ჩიოდა, წვიმა რომ მოვიდეს, ქვას რა ეშველებაო...

— კარგი, ზაზუ, ნუ იცი... — დაიმორცხვა აიშემ.

— ეს კი ნუკრია, — მიუთითა ბიჭზე, რომელიც მხიარულად უღიმოდა ბიჭებს. აიშე ლელასთან მივიდა და სუფრაზე ამოალაგა აჭარული ხაჭაპური, ახალი ყველი...

გიორგიმ აღარ უსაყვედურა — რად გაისარჯეთო, იცოდა, ამით მხოლოდ აწყენინებდა.

მხიარულად ისაუზმეს და მოემზადნენ სამუშაოდ.

ლელა და ვახტანგი ბინებზე რჩებოდნენ, რათა აიშეს ხელმძღვანელობით გაეგოთ მეშთევრის ამბავი და სხვა საშინაო საქმიანობა. მინდია გიორგი, ერეკლე, გივი და ახალი მეგობარი ნუკრი დიდი აჭარისა და ჩიხურის ჭაობებისკენ წავიდნენ. მამიასაც უნდოდა წაყოლოდა, მაგრამ დაარწმუნეს, ნუკრიც საკმარისია მეგზურობისათვის.

---

[1] ავრიტი — ხის ქერქი, ლაფანი.

ჯერ გუშინ, გოდერძის ზეკარზე შენიშნეს ესეთი სახლები, რომელნიც მეჩხერ ტყეში ჩანდა. ჭდეულები იყვნენ, ჩვეულებრივ ორსართულიანები, ესენი ზაფხულის სახლებია, სადაც აჭარლების ოჯახები ამოდიან ზაფხულის თვეებში, 3-4 თვე რჩებიან, უმთავრესად ქალები, ბავშვები, მოხუცები და ორი-სამი მწყემსი, რომელიც იაილაზე საქონელს აძოვებს და ამაში სოფლისაგან განსაკუთრებულ გასამრჯელოს იღებს. ძველად სოფელში თითქმის არავინ რჩებოდა, ვაჟკაცებიც ამოდიოდნენ, ამჟამად კი ბარის მეურნეობა იმგვარად განვითარდა, სოფლიდან ყველა ვერ წავა. ზაფხულის საძოვარი ორსაფეხურიანია, საქონელი ჯერ ტყის ზონაში ამოდის „ყიშლებზე", დაახლოებით პირელი მაისიდან და მთაში თოვლის დნობასთან ერთად თანდათან მაღლა მიიწევს, ბოლოს ადის იაილებზე, დაახლოებით ივნისის პირველ დღეებში. სადაც საცხოვრებელი ბინებიც არის აშენებული. ამ სახლების დანახვაზე ერეკლე მამას შეეკითხა:

— სხვას ჩვენს მთებში, საზაფხულო საძოვარზე ვისა აქვს სახლები აგებული?

— არსვის. თუმცა წოვა-თუშებს ტაბათანაზე აქვთ, მაგრამ ისინი აგარაკები უფროა. წოვა-თუშებს მთელი საქონელი კი არ ამოჰყავთ ტაბათანაზე, არამედ მხოლოდ მეწველი ძროხები, ხვასტაგი და ცხვარი შორს, მთებში ჰყავთ ან, პირიქით, თრიალეთზე.

— მაშ აჭარლები ამ მხრივ ცოტა შვეიცარელებს წააგავან.

— რადა, ცოტა?

— ?

— კარგად რომ ჩასწვდე, ბევრი საერთო იქნება.

— აქ სექტემბრამდე რჩებიან, აცივებამდე, შემდეგ ყიშლებში ჩამოდიან...

— ამბობენ, ყოველ სოფელს თავისი იაილა აქვს დაჩემებულიო.

— კი, ბატონო, — ჩაერთო ნუკრი, — აი, ბრილი ჯერ კავიანში ამოდის, შემდეგ გორში, ცხემლისი ჯერ პერანგაზე, შემდეგ გომზე, ტბეთი — ჯერ საცურავზე, შემდეგ ჩირუხზე და ასე აქვს ყველა სოფელს ათადან-ბაბადან.

ამ საუბარში იყვნენ, რომ მეჩხერი ტყიდან, სადაც სოჭი და ნაძვი აქა-იქ იდგა, გრილ მდელოზე გავიდნენ. მდელოს ადგილობრივი ჯიშის ნაირფეროვანი ხარ-ფური შეჰფენოდა და ისე დაეხეტებოდა, თითქოს ბალახს ეძებსო. ასეც იყო, ნარი და ბაია, ზოგან შხამა და მედგარი ჭარბობდა, უთავბოლო ძოვებას კარგი გაედევნა, ავი გაძლიერებულიყო და რაღას იპოვიდნენ?

— კაი ბალახი, აი, ამ მთებს იქით არის... — თქვა ნუკრიმ.

— მერე?

— იქ ერუშეთია, ვინ გაგიშვებს, ოსმალეთია. ჩემი გვარისა აი, იქ ბევრია...

— გამოდის, რომ ერუშეთს კურდღელი იყო, ახალციხეს მწევარიო, — თქვა გივიმ.

— ეჰ, ჩემო გივი, ეგ საქმე კურდღელზე და მწევარზე მეტია! — თითქოს დაიკვნესაო, ისე თქვა მინდიამ.

მის გვერდით დაიბღავლა ფარნამ[1], მას ხმა მისცა ვეჟანამ[2], მურა, წაბლა და შვინდა, ნიშა[3], ყველანი თავდახრილები ეძებდნენ ბალახს.

— რაკი ფეროვნება და გარეგნობაა, აგერ სრულა[4], ჟალი[5], აგერ დოლაც[6] და ჭოტაც[7].

— ძალიან ალხია[8] — ჩაერია გივი.

— რას იზამ, ნაზამთრია.

— ეს ფეროვნებაც ხომ ჩამოვთვა-


ეროვნული ბიბლიოთეკა

---

[1] ფარნა — თეთრფერა ძროხა.

[2] ვეჟანი — წითელ-შავი ზოლებიანი.

[3] ნიშა — თავზე თეთრი ნიშანი თუ აქვს ძროხეულს ან კამეჩს — იგი ნიკორაა.

[4] სრელა — საქონელია, რომელსაც ზურგზე გრძელი სხვა ფერი გასდევს.

[5] ჟალი — შავმოწითალო.

[6] დოლა — რქამოკლე, ზოგჯერ ურქოც.

[7] ჭოტა — რქაგრძელი, მახვილწვერიანი.

[8] ალხი — გამხდარი, ნაზამთრი.



27733
კ. მარქსის ს.ხ. საქ. სსრ
ს.ხ. [illegible] ბიბლიოთეკა

ლეთ ჩვენი ხვასტაგისა, ნუღარ ვიგვიანებთ.

ნაბიჯი აუჩქარეს, საკმარისად გრძელი ბუსნარი გადაიარეს ჭრელი წივანასი და გადაჭრეს ღელე და მისი კარკალი[1], ამის შემდეგ მალე გავიდნენ ერთ მებოძირზე[2], ორი ბილიკი ჯვარედინდებოდა, მაგრამ გიორგი დაბარებულივით გაუყვა პირდაპირ ბილიკს, რომელიც სერ-სერ ავიდა და მალე გაივაკა. ამ გავაკების ბოლოს რაღაც ელვარებდა. მალე მომაკვდავ ტბას[3] წაადგნენ, რომელიც უკვე ჭაობდებოდა. აი, აქ მოიხსნა გიორგიმ თავისი „აბჯარჩაჩქანი“ და ტბის ჭანჭრობიან ნაპირს გაუყვა. თავდაღუნული რაღაცას გაფაციცებით ეძებდა. როგორც იყო, სახეგაღიმებული გაიმართა წელში. ხელში პაწაწინა მცენარე ეჭირა.

— აი, ესეც დროზერა!

— ასე მაღლა? — გაიკვირვა ერეკლემ, — ეგ ხომ ქობულეთის ჭაობებში იცის.

— აბა, გივი, მონახე ბუზი ან მუმლი რამ და მოდით აქ...

ერეკლემაც გულდასმით დაიწყო ძებნა, მალე ხავსიანებში იპოვა რამდენიმე მცენარე, ერთი პატარა ბუზი დასვა ამ მცენარის ბუსუსჯირკვლიან ფოთოლზე. ჯირკვლიანი ბუსუსები ამოძრავდნენ, ფოთოლი მოიკეცა და ბუზი ჩაიხვია, გატრუნული უცქერდნენ ამ ტრაგედიას.

— მოუსპეთ ბუზს სიცოცხლე? — შეეკითხა თავზე წამომდგარი მინდია. არც ერთს მაღლა არ აუხედავს, ისე დაუქნიეს თავი.

ცოტა ხნის შემდეგ ეს უცნაური ფოთოლი გადაიხსნა, ჯირკვლები გაიმართნენ წელში და ზედ ბუზის ფრთა და ფეხებიღა ჩანდა.

— ეს უკვე მეორენაირი დროზერაა!

— გიორგიმ რომ ნახა, ის ინგლისური დროზერაა, ეს კი შუალედი

[1] კარკალი — დიდი ქვავნარი.

[2] მებოძირი — სადაც გზები შეიყრებიან მრავლად (საბა).

[3] მომაკვდავი ტბა — ტბის სიცოცხლე ოთხ ნაწილად გაიყოფა: ახალგაზრდობა, როცა მის ნაპირზე მცენარენი არ არიან, ნაპირი შეჭრილ-შემოჭრილია. დავაჟკაცება — ნაპირი მომრგვალებულია, აქა-იქ ჩნდება ჭაობის მცენარე (ლაქაში, ლელი, ჭილი), სიბერე — როდესაც ტბის სარკე შემცირებულია და ტბის ზედაპირის 2/3 ჭაობის მცენარეებს უჭირავს. ტბის სიკვდილი — ტბის სარკე არა ჩანს, მთლიანად დაფარულია ჭაობის მცენარეებით — ჭილით, ისლით, ლისით, ლაქაშითა და მისთანათი.

დროზერაა, — უხსნიდა მინდია და ამ დროს თავზე გიორგი წაადგა.

— აი, წყლის სამყურაც: წყლის მარწყვა ბალახიც, ესენიც დროზერებთან ერთად ჩრდილოეთის ყინულოვანი სანაპიროების მცენარენი არიან, გამყინვარების პერიოდში შემოიჭრნენ ჩვენში და აქ დარჩნენ, ზოგი მთაში ამოჰყვა, ზოგი ვაკეზე დარჩა, განსაკუთრებით ჭაობებში; ჩვენში ასეთ მცენარეს რამდენიმე ასეულს ითვლიან...

მალე წყლისსანთელაც (ცელეპტარა) ნახეს და ჭაობში საკმაოდ ამოიგანგლნენ. მთაში ტორფიანი ჭაობი იშვიათი არ არის, მაგრამ თითქმის ყველა პატარაა და მოფანტულია, როგორც მთავარ კავკასიონზე, ისე სამხრეთ მთიანეთში, უმთავრესად ტბების ირგვლივ და ჭაობებში.

კარგად რომ მოიღალნენ, მაშინღა მოიგონეს, რომ სამხრობის დრო გადასულიყო.

— სად არის ვახტანგი, აქამდე სამჯერ გვასამხრებდა, — წაიხუმრა გივიმ.

გემრიელად შეექცნენ ხევიდან ამოტანილ ნაკადულის წყალს, ხაჭაპურსა და ახალციხიდან წამოღებულ კიტრსა და მხალს.

მზე გადაიხარა, როდესაც შინისკენ ჰქნეს პირი, მხიარულად მოდიოდნენ, ნადავლი კარგი ჰქონდათ. კარავთან ლელა, ვახტანგი, აიშე და გოგია ტრიალებდნენ. აიშემ რომ დაინახა მინდია და სხვები, ადგილს მოსწყდა და ნაძვიანში გაუჩინარდა.

— იცოდე, ვახტანგ, თუ იმ მოხუცმა კიდევ რამე მოიტანა, შენ არას გაჭმევთ.

— თქვენი ამბავი ისეა, წეროთელმა გლეხს ხარი დაუკლა, ულვაში მრუდე გაქვსო.

— რა ნახეთ, რა გაიგეთ?

—ლელა იწერდა ყველაფერს, გაზაფხულისათვის საკვებს ეხლაც ინახავენ, მაგრამ უმთავრესად ჯალაღონსა, ბიზოვანი თითქმის ვერსად ვნახე.

— ლელა, შენ რას გვეტყვი?

— აი, რას. აჭარელის ოჯახში მრავალეობა ქალთა შორის განაწილებულია. ზოგ ქალს კი იაილაზე საქონლის, ფურის მოვლა ეკითხება, მას ეწოდება... — ჩაიხედა რვეულში, — ეწოდება მემთევრი. მთაში მემთევრეა მთავარი, რძის მოწველის გასამაგისება, ყველის კვეთა, კარაქის ამოღება, მათი შენახვა და სხვა. აი, იმ სახლის ქვემო სართულში ფურები უყენიათ. ზემო სართული ორად არის გაყოფილი. ერთში ერბო-ყველს აკეთებენ და ინახავენ, მეორეში

ცხოვრობენ, ხანულობა აქ არ სცოდნიათ.

— უყურე ერთი ამ, ამ...

— რა, ამ? — შეუტია ერეკლემ ლელამ.

— ლექსი რამ ვერა ჩაიწერა რა?

— ვერც ერთს ვერ წამოვაცდენინე. აიშეს დავავალე, ჩაიწერს და გამომიგზავნის, თუ მოხელა რამ... ჭურჭელიც, რაშიც ინახავენ ყველს, კარაქს, ნადუღს, სხვა კუთხის ჭურჭელს არა ჰგავს, — განაგრძო ლელამ. — ყველისა და ერბოს შესანახად კოდი და კაბიწი იხმარება. კოლოფი საწველელის მაგივრად არის. ესენი კეთდება ნაძვის ხის გამოხდილი განიერი ყავრისაგან. საკაბიწე ყავარს თურმე კარგა ხარშავენ, ასუფთავებენ—რანდავენ, ღუნავენ. კაბიწი დიდია, მოგრძო, კოდი და კოლოფი მრგვალი, წყალი არ გაუვა. კოდი საწველელადაც იხმარება. მასში ერბოსაც ინახავენ. კაბიწში კი — ყველს. ჩამჩად ხისგან გათლილი კოპე აქვთ.

— ამათ დამზადებას თურმე დიდი ცოდნა უნდა და თავისი ხელოსნები ჰყოლია.

— კიდევ, კიდევ რა ჭურჭელი იციან!

— რა და კუტალი, აქ სურას უწოდებენ, როდინი ანუ ფილი: აიშე „ფილას“ უწოდებდა, ჯამი—ხისა, თაბახი, ესენი უკვე ცაცხვისა და თელისაგან კეთდება, ან ბოყვისაგან. ჰო, მართლა, კოლოფში მაწონსაც ადედებენ.

— მაწონს საჭმელად?

— არა, სადღვებელში დღვებავენ, სადღვებელი აიშეაანთ ხისა აქვთ. ზოგან თიხისაც არისო.

— ძროხა ხომ ნახეთ, პატარაა, ხევსურულსა ჰგავს, ძროხის წონაო, მითხრა ძია მამიამ, 100-120 კილოაო, რძეს კი წელიწადში 500-600 ლიტრს იწველისო.

რასაკვირველია, ასეთი ძროხით შორს ვერ წავალთ, სჯობია ერთი ჰყავდეს და ორი ათას ლიტრს იწველიდეს.

— ოღონდაც! თუკი შვეიცარიაში ან თუნდაც ჩვენს მეზობელ ბალყარეთის მთებში შეიძლება ხუთასკილოგრამიანი ძროხა, რატომ აქ არ იქნება. — აქაც უნდა იყოს — დაადასტურა თავზე წამომდგარმა მამიამ. და დადგა კონტა კოდი კარვის წინ, ნუკრიმ კი — პატარა ხურჯინი.

მხიარული სერობა ჰქონდათ, მით უმეტეს სერის კუდიც — კარგი, დიდი საზამთრო.

გიორგიმ ხურჯინში ორი ნესვი ჩადო. „ეს თქვენ ქალებსო“.

მამიას ამაზე კეთილად გაეღიმა.

**ვისაუბროთ ეთიკაზე**

# სამშობლო — უპირველეს ყოვლისა

წერილებს, რომლებსაც ნორჩი კორესპონდენტებისაგან ვიღებ, ორ საქაღალდეში ვანაწილებ. ერთში მიწყვია წერილები, რომლებშიც მხოლოდ ავტორისათვის საინტერესო საგნებზეა საუბარი. მაგალითად: „სად უნდა ვისწავლო, რომ მილიციელი გავხდე?“ ან „ვიქნები თუ არა კარგი პოეტი, ასეთი ლექსები რომ ვწერო?“ (თან ახლავს ლექსების რვეული). „გთხოვთ მომწეროთ, რა წიგნებია მეკობრეებზე?“ და ასე შემდეგ. ხოლო მეორე, თეთრ საქაღალდეში ისეთი ბარათები მაქვს თავმოყრილი, რომლებზეც პასუხს ჟურნალის ან გაზეთის საშუალებით ვიძლევით. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ რამდენიმე მათგანი ერთსა და იმავე საგანს ეხება, მეორეც, იმიტომ, რომ ვფიქრობ, ამ თემათა განსჯა-განხილვა, წერილის ავტორების გარდა, ბევრ მათ თანატოლსაც ჩააფიქრებს ცხოვრების ავ-კარგზე, სიყმაწვილიდანვე შეაჩვევს ზნეობის ამაღლებულ, გრძნობის განმსპეტაკებელ ფიქრს იმაზე, თუ რა არის კარგი და რატომ, რა არის ცუდი და რატომ. ცუდზე საუბრისას არასოდეს ვუჩლიქავ ენას ჩემს ნორჩ კორესპონდენტებს, რადგან თამამად ვენდობი ზნეობის დიდ მასწავლებელს, ჩვენს სასიქადულო პოეტს დავით გურამიშვილს, რომელიც, თქვენც გეხსომებათ ამბობდა: „ავს რომ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო“.

*

**რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, — პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირავს.**

**ილია ჭავჭავაძე.**

*

ყოველთვის ადვილი გასარჩევი როდია, რა არის ზნეობრივი საქციელი და რა არა. არც ადამიანის ქცევის სწორი შეფასებაა იოლი, თუ კარგად არ ჩავწვდით ამ ქცევის მოტივს.

როცა პიონერები თავიანთ წერილებში ისეთ რთულ საკითხებზე მსჯელობენ, როგორიც არის სინდისის, მოვალეობის, სიკეთისა და ბოროტების, პიონერული ღირსების, სამართლიანობის, გულგრილობის, თავგანწირვის, პატრიოტიზმის, ერთგულების, სიმართლის კატეგორიები, მათ საჯაროდ ვუპასუხებ, რადგან, ვფიქრობ, ყველა პიონერს აინტერესებს ეს საკითხები.

ცოტათი გადავუხვიე სათქმელს, მაგრამ თავს იმით ვიმართლებ, რომ ცხოვრებაშიც ბევრი რამ არის ერთმანეთში მჭიდროდ გადახლართულ-გადაკვანძული; ერთი მეორიდან გამოდის და ერთი მეორეს აპირობებს. როცა, მაგალითად, პატრიოტიზმზე ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ ავუვლით სინდისის, მოვალეობის, ერთგულების გრძნობას, ვერ გავექცევით ყოველდღიური შრომის, ქცევის, ყოფა-ცხოვრების პატრიოტიზმს, რომელიც, როგორც ლენინი ამბობდა, ახალგაზრდობამ უნდა გამოიჩინოს ყოველდღიურ ქცევაში, „წვრილმანებში“.

ამჯერად პასუხს გავცემ ორ პიონერს.

აი მათი წერილები.

„ჩვენი კამათი სრულიად მოულოდნელად დაიწყო. ჩვენმა თანაკლასელმა ზაზა გ.-მ ორიანი მიიღო ფიზიკაში. ეს ზედიზედ მეორე ორიანი იყო და გაბრაზებულმა მასწავლებელმა ზაზას უთხრა: ამ ნიშანზე დედაშენს გული გაუსკდება. გამოდის, დედა არ გყვარებია. ვისაც მშობელი არ უყვარს, მას არც სამშობლო ეყვარება და, საერთოდ, მისგან კაცი არ დადგებაო.

ზაზამ უპასუხა, რომ დედა და სამშობლო კი არა, ფიზიკა არ უყვარს, რაც სრულიად არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. შეიძლება მატროსოვს სულაც არ უყვარდა ფიზიკა, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი, სამშობლოსათვის თავი გაეწირაო.

ჩვენი კამათი დასვენებაზე გაგრძელდა.

ვინ შეიძლება ჩაითვალოს პატრიოტად და რაში შეიძლება გამოიხატოს სამშობლოს სიყვარული? ომის დროს ვინც ფრონტზე მიდიოდა, წინა ხაზზე იბრძოდა, თავს სწირავდა, პატრიოტიც ის იყო, ჩვენ კი რითი დავამტკიცოთ სამშობლოსადმი ჩვენი სიყვარული?“

მეორე წერილი კი, ერთი შეხედვით, სხვა რამეს ეხება. მის ავტორს აინტერესებს... თუმცა, აი ეს წერილიც:

„ბათუმში ვცხოვრობ და ძალზე მიყვარს ჩემი კოპწია ქალაქი, განსაკუთრებით — მისი ზღვისპირა პარკი. რა სჯობს გაზაფხულის დილით ამ პარკში გამოსვლას, როცა ახალამოსულ მზეს ჯერაც ვერ მოუსწრია ნამის აკრეფა ვარდის, გლადიოლუსის, კამელიების ნაზი ფურცლებიდან, როცა ზღვა ისე წყნარია, თითქოს არასოდეს მძვინვარებდეს. კუნტრუშ-კუნტრუშით მოიჩქარიან სულ პაწია ქოჩორა ტალღები ნაპირისაკენ, ბოჩოლასავით ალოკავენ ჭრელ-ჭრელ კენჭებს და თითქოს შაქარყინული იგემესო, ტუჩების ლოკვით უკანვე გარბიან.

მე და მამა დილით ადრე გამოვდივართ საბანაოდ. როცა ცურვით ვიღლები, ზურგზე გავწვები. ცა ლურჯია, მაღალი, უსაზღვრო, მზე — ბდღვიალა, მოცინარი. და მე ვფიქრობ: ეს ჩემი მზეა, ეს ჩემი ზღვაა, ეს ჩემი ყვავილებია, ჩემი ქალაქია. რა ბედნიერი ვარ, რომ ამ მშვენიერ ქალაქში დავიბადე. ქვეყნად ალბათ ბევრი კარგი ქალაქია, მაგრამ სხვაგან არსად არ ცხოვრობს ჩემი პატარა დაიკო ნათია, ჩემი საყვარელი დედა და ბებია, რომლის სურათი რევოლუციის მუზეუმში ჰკიდია, რადგან ახალგაზრდობაში ჩემი ბებო რევოლუციონერი ყოფილა. ოღონდ სურათზე ბებია დედაზე ახალგაზრდაა. შავი მსხვილი ნაწნავები და მოცინარი თვალები აქვს, არც სათვალე, არც ნაოჭები...

მყავს ბიძა, დედის ძმა, ბიძაჩემი ეთერზეთების სპეციალისტია და რამდენიმე ხნით საზღვარგარეთ იყო სამუშაოდ მიწვეული. ახლა ძია ოჯახითურთ სამშობლოში დაბრუნდა.

ბიცოლა აღფრთოვანებულია იმ ქვეყნით.

— ერთი მთელი ქუჩა მაღაზიებს უჭირავს. რა გინდა, სული და გული, რომ იქ არ იყოს, ნემსიდან დაწყებული და მსუბუქი მანქანით დამთავრებული. რა კაბები, რა ჩექმები, რა ქურქები! გაგიჟდები პირდაპირ.

**ჩემი ხატია სამშობლო,**
**სახატე მთელი ქვეყანა.**
**აკაკი წერეთელი.**

და ასე შემდეგ და ასე დაუსრულებლად.

პირველად მოვუსმინეთ, მერე და მერე მოგვწყინდა.

— გამოდის, რომ იქ უკეთესია ცხოვრება, — წყენით კუთხარი ბოლოს ბიცოლაჩემს.

— რა გესმის შენ! — მომიჭრა მან და ჯემპრზე მიმითითა, — ასეთ მოჰერს იყიდი ბათუმში?

— განა სხვაგვარი ჯემპრი რომ ჩავიცვა, რაიმე დამაკლდება!

ბიცოლა გაბრაზდა. დედამ მანიშნა: უფროსს ნუ ეკამათებიო. მე კი ნაწყენი ვარ, მაგრამ არ ვიცი, რით დავუმტკიცო ბიცოლაჩემს, რომ ჩემი ზღვა სხვაა, ჩემი ქალაქი სხვაა და, რომ არ შეიძლება ქვეყნად იყოს უფრო საყვარელი მიწა".

მანანა ჩვენს დახმარებას ელის, რაიმე ახალი არგუმენტით უნდა დაუმტკიცოს თავის ბიცოლას, რომ ამ ერთადერთობაშია მისი განუმეორებლობა, მისი შეუცვლელობა. აბა, რომელი შვილი არჩევს თავის დედას თუნდაც ულამაზეს ქალს. თუ არა მშობლიურს, სხვას რომელ ქვეყანას ევედრებოდა კაცი:

დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო.

მე მახარებს მანანას წყენა, აღშფოთება.

გავა დრო, გაიზრდება პატარა პატრიოტი და სადმე წაიკითხავს, რომ 1871 წელს საფრანგეთის ეროვნულ კრებაზე დიდმა ფრანგმა მწერალმა

**ხარს ვგევარ ნაიალაღარს,**
**რქით მიწასა ვჩხვერ, ვზუზუნებ,**
**ღმერთო, სამშობლო გიცოცხლე,**
**მძინარეც ამას ვდუღუნებ.**
**ვაჟა-ფშაველა.**

ვიქტორ ჰიუგომ თქვა: „სამშობლოსადმი მიყენებულ ჭრილობას თითოეული ჩვენგანი საკუთარი გულის სიღრმეში განიცდის".

გავა ცოტა დრო და მანანა შეძლებს იმ გრძნობას სიტყვიერი გამოხატულება მისცეს, რომელიც ჯერჯერობით გულში თახთახებს და გამოსავალი ვერ უპოვია, რადგან ის გაიგებს, რომ ჭეშმარიტი სათნოებაა ადამიანის ამამაღლებელი გრძნობა— სამშობლოს სიყვარული და არა ნივთების სიყვარული; რომ ჭეშმარიტად უკვდავი და მარადიულია გრძნობა, რომელიც ასე სადად და ბრწყინვალედ გამოშუქდა ლექსში „სამშობლო ხევსურისა":

არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს,
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.

სამშობლო იდუმალი, მაგრამ ცოცხალი ორგანიზმია. შეიძლება ვერც კი თქვა, სად იწყება და რით მთავრდება იგი, რა დროს და რა გარემოებისას უჩნდება ადამიანს მისი შეგრძნება, მაგრამ ფაქტია, რომ მისი სახე, სუნთქვა ყველგან თან დაგყვება, განუყრელად შენთან არის, როგორც გული. ეს შედარება შემთხვევით არ მომიყვანია. ჯანსაღი ადამიანი ვერც კი გრძნობს, სადა აქვს გული, გარკვეულ დრომდე არც კი უფიქრდება, რას ნიშნავს მისთვის, მისი სიცოცხლისათვის ხორცის ეს პატარა მფეთქავი ნაჭერი, მაგრამ არ არის ადამიანი, რომელსაც რაიმე დიდმა წყენამ, დიდმა სიხარულმა, დიდმა ელდამ შიგ გულში არ გაუაროს. ზოგჯერ ხომ იმ ერთი დიდი სიხარულისათვის ღირს მთელი ცხოვრება.

მაგრამ მანანას აინტერესებს: მართლა ასე კარგი ცხოვრებაა იმ ქვეყანაში, რომელშიც მისი ბიცოლა იყო, თუ არა.

გააჩნია, ჩემო მანანა, ვინ რას გულისხმობს კარგ ცხოვრებაში. მე ვყოფილვარ ევროპის ისეთ ქალაქებში, სადაც „მთელი ქუჩის ოდენა„ და კიდევ დიდი მაღაზიებია და, რა გინდა, სულო და გულო, იქ არ იყიდებოდეს. რესტორნებია, სადაც ერთ თეფშთან ხუთი-ექვსი დანიშნულების დანა-ჩანგალი აწყვია და, თუ მარჯვედ არა ხარ, აგერევა კიდეც, რომელ კერძზე რომელი იხმარო, მაგრამ იმ ქვეყნის გახსენებაზე ერთ პატარა ეპიზოდს გიამბობ:

იმ წელიწადს, როცა იტალიაში მივემგზავრებოდი, ჩემმა ამხანაგმა ცნობილი იტალიელი მწერლის ჯანი როდარის მშვენიერი წიგნი „ჯელსომინო ცრუთა ქვეყანაში" ქართულად თარგმნა და მაჩუქა.

გადავწყვიტე, თან წამეღო ორიოდე ეგზემპლარი და, თუ საშუალება მომეცემოდა, გადამეცა თვითონ ჯანი როდარისათვის. მაგრამ მწერალი იმჟამად რომში არ აღმოჩნდა, დასასვენებლად თავის საზაფხულო ვილაში გამგზავრებულიყო. წიგნები ჩემოდნის ფსკერზე მშვიდად ეწყო და არც გამახსენდებოდა, ერთი პატარა იტალიელი ბიჭუნა რომ არა.

ეს იყო ვენეციაში.

ამ ქალაქის მშვენიერებაზე, რომელსაც „ზღვათა დედოფალი" უწოდეს, სიტყვას არ გავაგრძელებ, რადგან ძნელია სიტყვებით გადმოსცე მისი განუმეორებლობა და სილამაზე.

კერძო რესტორანში, სადაც ჩვენ ვსადილობდით, მომტანად თორმეტიოდე წლის შავთვალა და შავქოჩრიანი ბიჭი მსახურობდა. მართალია, შეფი გრძელცხვირა, ფერმკრთალი

**სიცოცხლეო, მამულო! მძლავრი,**
**არაფარული,**
**შვილთა შენთა ხმამაღლა სთქვან**
**შენი სიყვარული.**
**გალაკტიონი.**

სახის, თეთრფრაკიანი ხანში შესული მამაკაცი კარებთან იდგა და მომნუსხველი მზერით მისჩერებოდა ბიჭს, ხანდახან წარბის მოძრაობით რაღაცას ანიშნებდა და პატარა ჯოვანინო იმ წამსვე უსრულებდა სურვილს, მაგრამ უშუალოდ მაგიდასთან მხოლოდ ბიჭუნა ტრიალებდა. თან ისე მარდად, რომ ყველას შეგვიყვარდა ჯოვანინო და მაშინ გამახსენდა, რომ საბავშვო წიგნები მქონდა წამოღებული და შემეძლო მეჩუქებინა.

სუფრიდან რომ ავდექი წიგნის მოსატანად, შეფმა შეშფოთებული მზერა გამომაყოლა, სურდა გაეგო, ხომ არ ნიშნავდა ეს ჟესტი რაიმე უკმაყოფილებას უხვი და უნაკლო სუფრით.

ჯოვანინო მოვიხმე და გიდის საშუალებით გავაგებინე, რაც მინდოდა. ბიჭი დაიბნა, შავი თვალები აახამხამა და „მრაცი სენიორინა", გმადლობთ, ქალბატონო, — მითხრა.

ჯოვანინომ წიგნი აიღო, თან იქაური განთქმული კერძის — სპაგეტის დიდი ლანგრის გატანაც განიზრახა, მაგრამ შუა დარბაზში მისულს ჭურჭელი ხელიდან გაუვარდა და ძვირფასი ფაიფური პატარ-პატარა ნამსხვრევებად იქცა. მსხვრევის ხმაზე ფეხზე წამოვცვივდით.

შეფმა მოგვიბოდიშა და რაღაც გამოსცრა კბილებში ბიჭის მისამართით.

მეორე დღეს სუფრასთან ჯოვანინო აღარ გამოჩენილა, როცა არც მესამე დღეს გამოჩნდა, ვიკითხე და გავიგეთ, რომ შეფს სამსახურიდან დაეთხოვა და ახლა მის მრავალრიცხოვან ოჯახში ყველა უმუშევარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ამბავმა სასტიკად შეგვაწუხა. თავს დამნაშავედ ვგრძნობდით და თან აშკარა უსამართლობა ჩვენს აღშფოთებას იწვევდა. ბოლოს ჯგუფში მოვილაპარაკეთ და შეფს ვთხოვეთ: ჭურჭლის გატეხით მიყენებულ ზარალს ავუნაზღაურებდით, ოღონდ ჯოვანინო სამუშაოზე დაებრუნებინა. მან ზრდილობიანი უარი შემოგვითვალა: „ნუ ინებებთ, ბატონებო, შეწუხებას“.

ეს, ჩემო მანანა, იმ ქვეყანაში მოხდა, სადაც ვეებერთელა და მორთულ-მოკაზმული ვიტრინებია (ვინც მარტო ვიტრინებს ხედავს) და რა გინდა, არ იყიდებოდეს... ერთი მუჭა მდიდრებისათვის.

მაგრამ მდიდარი ცოტაა, ჯოვანინოსნაირი კი ბევრი.

შენ წარმოიდგენ, რომ მსგავსი რამ შენს ქვეყანაში მოხდეს?

იმედი მაქვს, დასკვნას შენ თვითონ გამოიტან.

ერთს დავსძენ მხოლოდ, რომ ამერიკის — ერთ-ერთი უმდიდრესი კაპიტალისტური ქვეყნის ყოფილმა პრეზიდენტმა ნიქსონმა ამ პოსტზე არჩევისას აღიარა: ჩვენ საქონლით მდიდარი, მაგრამ სულით ღარიბნი ვართო.

ახლა მინდა იმ პიონერს ვუპასუხო, რომელიც წერდა, მშვიდობის დროს როგორ დავამტკიცოთ, რომ სამშობლო გვიყვარსო.

განა მშვიდობის დროს კი არ ჩანს, ვინ როგორ ემსახურება სამშობლოს, ვის როგორ უყვარს იგი?

განა სამშობლოს მშვიდობიანი ზეცა არ ეხურა, როცა იური გაგარინმა გმირობა ჩაიდინა? განა ჩვენ არ გვეამაყება საბჭოთა კავშირის გმირის გრიგოლ სხულუხიას ქალიშვილის ვინარის შრომითი გმირობა? განა ის, ვინც თავდადებულად ემსახურება სამამულო მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის აყვავებას, სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, მისი სიმდიდრის ზრდას, ნაკლებ პატრიოტია? ჩვენი ყოველდღიურობა სავსეა გმირობის მაგალითებით.

ერთი ყმაწვილი მწერდა: „შეიძლება თუ არა ერთ მშვენიერ დღეს გმირი გავხდე?“

„ერთ მშვენიერ დღეს“ ამბავი მხოლოდ ზღაპარში ხდება. სინამდვილეში ცოტა სხვაგვარად არის საქმე. საჭიროა გიყვარდეს სამშობლო, ადამიანები, მთელი სიცოცხლე შინაგანად ემზადებოდე გმირობისათვის და, როცა ხელსაყრელი მომენტიც დადგება... უკვე აღარ იქნება „ერთ მშვენიერ დღეს“.

ნ. მგელაძე.




**ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №13**

## სურვილი

კოსმოსური რაკეტა
ნეტავ ვინ გააკეთა?
რა იქნება, ზეცისკენ
მეც გავფრინდე აქედან!
ო, ოცნებავ ახალო,
მთვარეზედაც მაღალო,
ყვავილების კონები
ვარსკვლავებს
მივაყაროთ,
მოვიაროთ სამყარო
სამშობლო გავახაროთ.

**მორის ცხვირაშვილი,**
სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

## ის შორეული დღეები...

მე, მართალია, იმ დღეთ
ვერ შევესწარ,
ნაღმების ხმაური
ძილს მე არ მიფრთხობდა,
მაგრამ ჩვენს წინაპართ
სისხლიან დროშებთან
მუხლმოყრით ვდგავარ
და ოცნებით იქა ვარ...
შებოლილ ცაზე
ღრუბლები ირევა,
მზე თვალს ვერ უსწორებს
სისხლნარევ მიწას,
რამდენი რაინდის
უმწიკვლო სიცოცხლე
სამშობლოს სიყვარულს
მსხვერპლად შეეწირა.

იმ დღეთ გახსენება
სულაც არ მინდოდა,
ფიქრები მოზღვავდა —
არ მაძლევს საშველს,
თვალწინ მეხატება
დამწვარი სოფლები
და ჯარისკაცები,
ვით მჭკნარი ყვავილნი,
დაყრილნი ველზე.
გმირებს ისტორია
თავისად მიიჩნევს,
ისე, ვით მშობელი
საყვარელ შვილებს,
და შთამომავლობა
ამ გმირთა მიბაძვით
კვლავ თავის წიაღში
გამოზრდის გმირებს.

**ლაშა ნადარეიშვილი,**
თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

## ოცნება

ნეტავ ცა იყოს
ყოველთვის ლურჯი,
ომის ღრუბელი
არ ჩანდეს ცაზე,
თაობას ჩემსას
მზე ენთოს გულში,
ფრთებს შლიდეს ლაღად,
იმედით სავსე,
ყველა ჩანგი და
ყველა ჩონგური
სულ წკრიალებდეს
მშვიდობის ხმაზე!

**თამარ ჩარექიშვილი,**
თბილისის 177-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მრავალჟამიერ, ჩემო სამშობლოვ!

ალცისკრების ჟამს მოველ გალობად,
მათოვს მაღალი ოცნების შუქი.
ქართული ლექსის ძალამ ალმანთო
უცხო მშვენებით და სიმსუბუქით.
ოჰ, რა ფერები იხილა თვალმა!
აქ პოეზიას ურწევენ აკვანს,
სიყვარულის და სიცოცხლის ძალას
დასაბამიდან აქ სცემდნენ თაყვანს.
ოჰ, რა ჰანგებით სულდგმულობს
მიწა, —
რუსთველი, ვაჟა, გალაკტიონი...
მუხლს ვიდრეკ დიდი ჩანგის წინაშე,
ნათელში მოჩანს სხვა მაყრიონი.
მრავალჟამიერ, მამულო ჩემო!
მარად აღმენთოს ნათლის ლამპარი.
ხარობდეს ნერგი უძველეს მიწის,
მისი მშვენება სწორუპოვარი.

## ლაშქრობაზე

ამას წინათ მატნის საშუალო სკოლის VI-VIII კლასის მოსწავლეებმა სკოლის ეზოში მოვიყარეთ თავი. ჩვენთან ერთად იყვნენ ბიოლოგიის მასწავლებელი თ. ნონიაშვილი და უფროსი პიონერხელმძღვანელი ბ. ხოხიაშვილი. იმ დღეს ისტორიული ძეგლი „ცხრაკარა“ უნდა დაგველაშქრა.

გზას ფეხით გავუდექით. შეუმჩნევლად ავათავეთ აღმართი და ისტორიულ ძეგლთან აღმოვჩნდით. „ცხრაკარა“ დიდი ინტერესით დავათვალიერეთ. ძეგლის ისტორია და მასთან დაკავშირებული ლეგენდები გვიამბო მასწავლებელმა თ. ნონიაშვილმა.

ამ ლაშქრობაზე შევაგროვეთ აგრეთვე მცენარეებისა და მწერების ნიმუშები, რომლებითაც სკოლის ბიოლოგიის კაბინეტი გავამდიდრეთ.

ლეილა ბათურიშვილი,
ახმეტის რაიონის მატნის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

## მთაწმინდა

აქედან მოჩანს ხელისგულზე ქალაქი ჩემი,
მთებზე, ბორცვებზე, ყვავილოვან ველზე ნაშენი, —
თითქოს იმედად დამფარფატებს ციცინათელა,
არაგველების წმინდა სისხლით გადანარჩენი.

თავს დამფარფატებს ნიავი მთების და საიდუმლოს
მამცნობს იმ დღეთა...
ირგვლივ ხეები აფეთქებულან, სხივებს მაფრქვევენ
ღამეულ ფერთა.
რა ლამაზია ჩემი ქვეყანა; რა ლამაზია მიწა მშობელი!
იდუმალ ხმებში მესმის ქართული არდავიწყების
საგალობელი.

დათო მაღრაძე,
თბილისის 53-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

## ექსკურსია ზუგდიდში

ბოსლევის საშუალო სკოლის VI და VII კლასების პიონერებმა მოვაწყეთ ექსკურსია ზუგდიდში, სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის სახლ-მუზეუმში. ძალიან საინტერესო იყო არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული ნივთები, რომელიც რამდენიმე საუკუნე მიწაში ინახებოდა; ვნახეთ პირველყოფილი ადამიანების მიერ ქვისაგან დამზადებული სამუშაო იარაღები. მაგალითად — ქვის შუბები, ცულები, ბარჯები და სხვა.

გავეცანით ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. დავათვალიერეთ ენგურის ქაღალდის კომბინატი. ჩვენი ექსკურსია ძალიან კარგი და შინაარსიანი იყო.

გიზო კაპანაძე,
ზესტაფონის რაიონის, სოფ. ბოსლევის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

გოგონა თაიგულით. ნინო ჩხეიძე.




ნატურმორტი. გიორგი ბახტაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ენძელა

ყოჩივარდამ გაალღვიძა
ჩათვლემილი ენძელა.
მანაც ტკბილად გაიზმორა,
აიწია ნელა-ნელა
და ნაზი ხმით დამიძახა:
— მოდი ჩემთან,
ლელ-ლელა.

ლელა კაციაშვილი,
თბილისის მე-60 საშუალო სკოლის IV⁴ კლასის მოსწავლე.



ყვავილების გაზრდა. პაატა წიკლაური.

## სურვილი

თვალწინ გადამეშალა
ცა ურღვევი, კრიალა.
ლექსის წერა მომინდა
და სიმღერა წკრიალა.
მინდა მათზე ვიმღერო,
ვინც გმირულად იარა,
ვინც ჩვენს დიად ქვეყანას
მოურჩინა იარა.
მინდა, რომ სულ ვიფრინო
ოცნებებმა იალა,
მთები და ცა დავიპყრო,
მქონდეს დროშა ბრიალა!

ნატო კოჭლამაზაშვილი,
ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფლის IX კლასის მოსწავლე.

## სწავლა, მეგობრობა, შრომა...

მინდა მოგითხროთ ჩვენი პიონერული რაზმის მუშაობის შესახებ. რაზმი, რომელშიც გაერთიანებულია 27 პიონერი, ატარებს ზინა პორტნოვას სახელს. ჩვენი ხელმძღვანელია მეათეკლასელი კომკავშირელი თამაზ ქირია.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30-წლისთავთან დაკავშირებით რაზმის წევრებმა შევადგინეთ შინმოუსვლელთა ფოტოალბომი. დიადი გამარჯვების იუბილეს დღეებში მოვაწყეთ ინსცენირება იოსებ ნონეშვილის პოემიდან — „ამბავი ერთი ქალიშვილისა“.

ჩავატარეთ აგრეთვე ლაშქრობა ჯეგეთის მთაზე, კვლავაც ვაგრძელებთ მეგობრობას უჯგოროდის პირველი საშუალო სკოლის პიონერ-მოსწავლეებთან.

პიონერულ დავალებებს სანიმუშოდ ასრულებენ ვახტანგ ქარჩავა, სვეტლანა შარია, ირმა ნადარაია, მადონა კიკალეიშვილი, მალხაზ კაკულია და სხვები.

ინეზა მარლანია,
ხობის რაიონის, ხამისქურის საშუალო სკოლის მე-5 რაზმის პიონერი.

მეგობრები. რუსუდან ფეტვიაშვილი.



## საქართველოს და აზერბაიჯანს

საუკუნეთა გზებზე
ერთად მოდიხართ ძმები,
ახალ ცხოვრების მზეზე
ორივე ერთად თბებით.

ქარიშხლიანი ჟამი
ერთად გაჭკვეთეთ, ვიცი.
ვერ გაშინებდათ ღამე,
გწამდათ ძმობის და ფიცის.

და მეც მკარნახობს გული:
წრფელი სიმღერით ვაქო
ჩემი თბილისი, გორი,
სუმგაითი და ბაქო.

იმირა მამედოვი,
კასპის რაიონის ზემო ხანდაკის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განთიადისას

(ჩანახატი)

მთებს იქით მზე ამოცურდა, სავსე, დიდი მზე. მისი სხივები აირეკლა ობელისკზე ოქროსფერმა ასოებმა და თვალისმომჭრელად დაიწყო ბზინვა. აშრიალდნენ მწვანე სამოსელში გამოწყობილი ნაძვები და იდუმალი ხმით გაესაუბრნენ ერთმანეთს. ეს ომში დაღუპული ვაჟკაცების ჩურჩული იყო. ნაძვებზე ოქროსფერი ფირფიტები ჰკიდია, ზედ კი შინმოუსვლელთა გვარებია ამოტვიფრული. ეს ნაძვები და თეთრი, მზისკენ აღმართული სვეტი ნუგეშია მშობელი დედისა, დისა თუ სატრფოსი, ნუგეში და იმედის ნაპერწკალი, გულში ჩარჩენილი ნაპერწკალი, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩამქრალა.

მთის ბილიკს მოხუცებული მოჰყვებოდა. ობელისკთან მივიდა. შავი მანდილიდან შევერცხლილი თმები მოუჩანდა. ცივ მარმარილოს დაემხო, გაირინდა, შემდეგ თვალი სვეტს ააყოლა. უცებ მარმარილოს მეომარი შეინძრა, თოფი ძირს დაუშვა და შესცინა მოხუცს:

— აჰა, დედი, მოვედი!

— ცოცხალია, ცოცხალი! — აჟღურტულდნენ ჩიტები.

— ცოცხალია! — დაუდასტურა ნიავმაც.

გულში დარჩენილი რწმენის ნაპერწკალი გაღვივდა, გაღვივდა და დედის გულსა და გონებას ცეცხლად მოედო.

სვეტს ხელი მოჰკიდა. ცივი იყო მარმარილო. წუთიერი ლანდი გაჰქრა. ქალი შვილის ნაძვთან მივიდა, ჩამოჯდა მისთვის სათაყვანებელ ხესთან და ატირდა.

მეომარს რწმენით აღემართა ხელები მზისკენ. ნაძვები ისევ ჩურჩულებდნენ.

**მაყვალა გონაშვილი,**
**თბილისის 77-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.**

## გურიაში

ფერდობებზე მწვანე ოქრო,
ბილიკები ოკრო-ბოკრო.
ცაზე ღრუბლის ქარავანი
და სხივების გალავანი.

ღელე, შუკა, შარა გრძელი
და ცალ ფეხზე ხის საბძელი;
ეზოს ბოლოს ფოცხი, ცელი,
ჰურში ღვინო ძველის-ძველი.

ჩალის ქუდით და კალათით,
მოკისკისე, მხიარული
ისმის ქალთა რია-რია
და გურული კრიმანჭული.

ფერდობებზე მწვანე ოქრო,
ბილიკები ოკრო-ბოკრო,
ცაზე ღრუბლის ქარავანი
და სხივების გალავანი.



**ხევსურეთის ასული.**
**მანანა ჯანიაშვილი. 6 წლის.**

## გაზაფხული

აბიბინდა, ამწვანდა
მინდორ-ველი, სერები,
აბრიალდა ტყეები
ნაირ-ნაირ ფერებით;
აჩუხჩუხდა ჩვენი რუ
სულ ცინცხალა ჩქერებით,
აჭიკჭიკდა მერცხალი, —
სად წაუვლენ მწერები...
გაზაფხულო ლამაზო,
შენ კი შემოგევლები!

**ია მუჯირი,**
**თბილისის 65-ე საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლე.**



**მევიოლინე.**
**ეკა ცაგარელი.**
**58-ე საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაც პირველია და რაც მთავარი

ოქროს სხივებით ბრწყინავს
მთა-ბარი,
სამოთხე არის მიწა ქართული,
რაც პირველია და რაც მთავარი —
მამული არის, მხოლოდ მამული.

ოდეს დავდივარ ქვეყნად ოცნებით,
ოდეს შორს ქრიან ჩემი ფიქრები,
მე და მამული შევსისხლხორცდებით,
მე მხოლოდ მისი მონა ვიქნები.

ოდეს ჩემს გულში გაზაფხულია
და ზამთარი არ გადამელობა,
მამულისათვის სამსახურია
ჩემი პირველი მოვალეობა.

რეზო აბაშია,
გალის მე-2 საშუალო სკოლის X
კლასის მოსწავლე.

## გამოცანები

1.

ენა არა აქვს და არც ძალ-ღონე,
ყველგან მეტყველებს მრავალი ენით,
შენს ყურთასმენას დაიპყრობს ხოლმე,
მას კი არ ესმის ნათქვამი შენი.

2.

აბა როდის
თეთრი დათვი
მიდის, მოდის
სამი თათით.

მორის ცხვირაშვილი,
სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №13

## საკაძის ქანდაკება

ბევრჯერ აოხრდა ივერი
მტრის მახვილით და ცეცხლითა,
უნდოდათ — მოდგმა ქართული
მოესპოთ, ამოეწყვიტათ.

ვერა, ვერ მოსპეს... ქართველი
მტერს მუდამ რისხვით ზარავდა,
მშობელი ქვეყნის სიმართლე
წინ მიუძღვოდა ფარადა.

ჰპოვა მომხდურმა სამარე,
შამქორს, დიდგორს თუ მარაბდას.

... წარსულს ჩაბარდა იგი დრო —
ძარცვა-გლეჯა და ომები,
თავად ძეგლებად ქცეულან
საქართველოის ლომები.

... დგას საკაძის ქანდაკი,
კასპიდან გადმომზირალი,
თავზე დაჰხარის ქართლის ცა,
გადაწმენდილი, მცინარი.
გმირს, მამულისთვის ანთებულს,
არ სცეს თაყვანი, ვინ არის!

ნიკო ჟღენტი? ნიკო ჟდინარაძე,
თბილისის 147-ე საშუალო სკოლის
V კლასის მოსწავლე.

მხატვრის სახელოსნოში.
თამარ მალაზონია.
7 წლის.

8 მარტის მილოცვა.
ლევან შარაშიძე.
8 წლის.





# პარტიზანის ვაჟიშვილი

ა. ისბახი

მხატვარი
ზურაბ
ფორჩხიძე.

ნავთმოსხმული ქოხი უზარმაზარი კოცონივით ბრიალებდა, ცეცხლმოდებულ კოჭებს ტკაცატკუცი გაჰქონდა, წკრიალით სკდებოდა მინები. ნაპერწკლები ცისკენ მიფრინავდნენ და ძლიერი ქარი მათ მთელ სოფელში ფანტავდა. აქა-იქ ცეცხლი მოჰკიდებოდა ბეღლების ჩალის სახურავებს, შავი კვამლის სვეტები ცისკენ მიიწევდნენ სოფლის სხვადასხვა ბოლოში.



ივანე მალიგინის ცეცხლმოკიდებული ქოხის გარშემო დედაკაცები იდგნენ. შეიარაღებულ გერმანელ ჯარისკაცთა მჭიდრო ალყაში მოქცეულნი, ტირილისაგან დასიებული თვალებით ხანძარს უყურებდნენ. მათ გუგებში ხანძრის ათინათი ირეკლებოდა.

ქალების მზერაში უსასრულო სევდა და ტანჯვა ჩაბუდებულიყო. ასე თვალდახელშუა ნაცარტუტდებოდა პარტიზან ივანე მალიგინის ალმოდებული ქოხი.

გერმანელი ჯარისკაცები, რომლებმაც ქოხს ნავთი მოასხეს და ცეცხლი წაუკიდეს, დედაკაცებს უფლებას არ აძლევდნენ მიახლოებოდნენ ხანძარს, ან მოშორებოდნენ მას.

— დაე, ყველამ დაინახოს, როგორ ვექცევით პარტიზანებს! — თქვა გერმანელმა ლეიტენანტმა და ბრძანება გასცა, მთელი სოფელი ხანძართან მიერეკათ.

იდგა იგი ახლა წინ — ლოყებღაჟღაჟა, ჩასუქებული ახალგაზრდა და უსტვენდა მოდურ მიუნხენურ მარშს. მან ხანძრის რამდენიმე ფოტოსურათი გადაიღო და ახლა ღია ცისფერი, მრგვალი ფაიფურის თოჯინის მსგავსი თვალებით უცერემონიოდ, მგლური მზერით ათვალიერებდა ქალებს. ფრონტზე იგი სულ ახლახან მოვიდა. პარტიზან მალიგინის ქოხის დაწვა მისი პირველი საბრძოლო წარმატება იყო. უფროსი ძმა ობერ-ლეიტენანტი ერიხი, მიუნხენში, საოფიცრო სკოლაში ხშირად უგზავნიდა მას რუსეთში თავისი სადამსჯელო ოპერაციების ამსახველ ფოტოსურათებს. კოლექცია არც ისე ცუდი ჰქონდა: თორმეტი ხანძარი, ხუთი სახრჩობელა, ორი გაროზგვა. ახლა ძმა დრეზდენის ჰოსპიტალში იწვა. დღევანდელი ფოტოსურათები პირდაპირ მისწრება იქნება ფონ რაიხენების ფოტოგრაფიების მოყვარულთა საგვარეულო კოლექციის შესავსებად.

ხანძარი სულ უფრო ძლიერდებოდა ხმაურით ჩამოწვა ქოხის ლავგარდანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპერწკლები ხალხს ტანისამოსსა და სახეზე მოედო. არც ისე ხანდაზმული ქალი მიწაზე იწვა და ბნედიანივით ფართხალებდა. მისი გაშლილი თმა ცოცხივით გვიდა გზის მტვერს. ორი ჯარისკაცი დაჰყურებდა და მასთან ახლოს არავის უშვებდა. ლეიტენანტის ბრძანებით ჯარისკაცებმა გამოათრიეს ელენე მალიგინა, ერთი წლის პოლინკა კი ალმოდებულ ქოხში დატოვეს...

„ამგვარი სურათი ერიხს არ ჰქონია", — გაეღიმა ლეიტენანტს და თან სურათი გადაუღო ნახევრად შეშლილ დედას ალმოდებული ქოხის ფონზე, სადაც მისი გოგონა დარჩა.

— ჰალტ! — მკაცრად დაიყვირა გუშაგმა.

ყველამ თავი იქითკენ მიაბრუნა. სოფლის მოედანზე მორბოდა პატარა ბიჭი. მან ყურადღება არ მიაქცია გუშაგის გამაფრთხილებელ შეძახილს, მარაქაში შეიჭრა და, როგორც კი მიწაზე დართხმული ქალი დაინახა, ცეცხლის შუაგულისაკენ გაიწია. ჯარისკაცებმა ხელი სტაცეს და ლეიტენანტს მიჰგვარეს.

ეს იყო მომცრო ტანის, თორმეტიოდე წლის ბიჭუნა. ტანზე წვიმისა და მზისაგან გახუნებული ხალათი ეცვა.

— ვინა ხარ შენ? — შეეკითხა ლეიტენანტი (იგი ცოტას ლაპარაკობდა რუსულად).

ბიჭმა შუბლქვემოდან შეხედა და ტუჩზე იკბინა.

— პოლინკა... ჩემი და, — კბილებში გამოსცრა მან, — პოლინკა იწვის.

— შენ და არის? შვესტერ? იქ? — უეცრად გამოცოცხლებული შეეკითხა ლეიტენანტი. — შენ ბრუდენ? ძმა ხარ?

კიდევ რამდენიმე კოჭი გრუხუნით ჩამოწვა.

— გუტ, — უცებ წარმოთქვა ლეიტენანტმა და სახე უცნაური ღიმილით დაეღმიჭა. — გუტ! კარგია! მეცოდება პატარა გოგონა, შენ შენი და უნდა გადარჩეს, დაინე შვესტერ. წადი!

გრიშა მალიგინმა ჯერ ვერ გაიგო, რას ეუბნებოდა ლეიტენანტი, მაგრამ ჯარისკაცებმა როგორც კი უშვეს ხელი, ბიჭი ალმოდებული ქოხისაკენ გავარდა და ბოლში შთაინთქა.

ხალხში ოხვრა გაისმა. ვიღაცამ ამოიკვნესა. ანფისა კორნეევამ სახელდახელოდ პირჯვარი გადაისახა და რაღაც წაიბუტბუტა. ელენე მალიგინა კვლავ ფართხალებდა მიწაზე, აღარ ესმოდა რა ხდებოდა მის ირგვლივ. შემდეგ ყოველივე დუმილმა მოიცვა. ლეიტენანტმაც კი შეწყვიტა მარშის სტვენა. იდგა და წარბაწეული მიშტერებოდა მოტკაცუნე ცეცხლს. წუთები გავიდა. ალმოდებული ქოხის ნივნივები ჩამოწვა. უცებ ცეცხლიდან გამოვარდა ბიჭი. ტანსაცმელზე ალი მოსდებოდა. ხელში მოზრდილი თეთრი ბოხჩა ეჭირა.

— დედიკო! — დაიყვირა მან, — დედიკო! ჩვენი პოლინკა...

ლეიტენანტს სახე შეეცვალა. მან უბრძანა ჯარისკაცებს წყალი ესხურებინათ ბიჭისათვის. სველი, დამწვრობისა და აღელვებისაგან ნახევრად ცოცხალი გრიშა ლეიტენანტს მიჰგვარეს. მან ცნობისმოყვარეობით შეხედა ბიჭს.

— შენ ყოჩაღი არის! — მიმართა ლეიტენანტმა — შენ ძალიან მამაცი არის. მიჩვენე! — უბრძანა მან.

ბავშვმაც უსიტყვოდ, ნდობით გაუწოდა ბოხჩა. ლეიტენანტმა საბანი გადახსნა და ყველამ დაინახა ნამცეცა გოგონა, რომელიც გაბმით ტიროდა.

დედა, ელენე მალიგინა, უცებ წამოვარდა, უაზრო თვალებით შეხედა თავის გოგონას, ეცა ჯარისკაცებს და შეეცადა მათი ხელიდან ბავშვის გამოგლეჯას.

— ძალიან ლამაზი გოგონა! — მეოცნებესავით წარმოთქვა ლეიტენანტმა. — აინ ჰიუბშეს მედხენ.

ბავშვმა უცებ შესწყვიტა ტირილი.

— ეხლა ერთი ფოკუსი გავაკეთებთ, — ლეიტენანტმა თავისი ფაიფურის თვალები მოჭუტა.

მან მაღლა ასწია გოგონა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ქოხისაკენ და ბავშვი პირდაპირ ცეცხლში ისროლა. დედა ყვირილით ეცა მას, მაგრამ გერმანელმა ფეხი მძლავრად ჩასცხო და გვერდზე გადააგდო.

— იყო გოგონა და აგარ არის გოგონა. კარგი მიუნხენური ფოკუსია. ერიხი ბევრი იცინებს. ერიხს უყვარს...

მაგრამ მაინც რა უყვარდა ერიხს, ვერავინ გაიგო. ლეიტენანტი მიწაზე ეგდო და თავი მხრჩოლავ მუგუზლებში შეერგო. ზურგში გაყრილი ჰქონდა თვითნაკეთი დანა, რომელიც გრიშამ დაასო. ჯარისკაცები ერთი წუთით დაიბნენ. შემდეგ სროლა ატეხეს. მაგრამ ქალები გადაულახავ კედლად აღიმართნენ ჯარისკაცებსა და ბიჭს შორის. როცა გერმანელებმა გზა გაიკაფეს, გრიშა უკვე მაღალი ჭვავის ყანაში გამძვრალიყო და უღრანი ტყის ნაპირისთვის მიეღწია.

თარგმნა ირინე ტალიაშვილმა.

(„პრავდა", 11. VIII. 1942 წ.).



# შალვა ცხადაძე

ქართულ საბავშვო მხატვრობას გამოეცალა ერთ-ერთი ბურჯი. გარდაიცვალა შალვა ცხადაძე — კაცი, რომელმაც განუზომელი ღვაწლი დადო ჩვენი საბავშვო წიგნებისა და ჟურნალების გაფორმების კულტურას.

უდიდესი თავდაჭერილობით, მორიდებით ამზეურებდა ხოლმე იგი თავის ახალ ქმნილებებს. მსუბუქ, ლაღ, ხალასი იუმორით გამთბარ ნახატებს, სულაც არ ეტყობოდა, რომ ავტორს ღამეები ჰქონდა ნათენები მათ შესაქმნელად. მისი ყოველი გამოცხადება დღესასწაული იყო ბავშვებისათვის, ყველასათვის ვისაც უყვარს ფერი, პატივს სცემს მხატვრობას.

დიდბუნებოვანი, მოკრძალებული, იგი ნამდვილი სული და გული იყო ნაცნობმეგობრებისათვის, ყველასათვის ვისთანაც მას უხდებოდა ურთიერთობა.

მის გაფორმებულ საბავშვო წიგნებზე და ჟურნალ „დილაზე" გაიზარდა მკითხველთა მთელი თაობები. შ. ცხადაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს ჟურნალთანაც, მუდამ მხარში გვედგა, კეთილ რჩევას არ იშურებდა.

გავა დრო, კვლავაც და კვლავაც გადაშლიან ბავშვები ნახატებიან წიგნს. წაიკითხავენ იქ მინაწერს: „ნახატები შ. ცხადაძისა" და დიდი მადლიერების გრძნობით მოიხსენიებენ მის შემქმნელს.

ჩვენ კი, მის თანამედროვეთ მუდამ გვემახსოვრება საბავშვო მხატვრობისათვის თავდადებული, პირნათელი და ალალი მეგობარი.

ყურადღება!

# ცხადდება ვიქტორინა-კონკურსის «სალუტი, გამარჯვება!» შედეგები


ა. აბრამიშვილი


მ. აბრამიშვილი


ლ. ბიგვავა


ვ. ბიწაძე


ლ. ბუცხრიკიძე


ზ. ბაბუა


ზ. ბოდერიძე


ბ. ბოლანძია


ო. ბოცირიძე


გ. ბრძელიძე


ნ. დათეშიძე


მ. დაშნიანი

შეჯამდა ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ვიქტორინა-კონკურსის „სალუტი, გამარჯვება!“ შედეგები.

ჟიურიმ კითხვებზე გაცემული პასუხების სისწორესთან ერთად მხედველობაში მიიღო მონაწილეთა ასაკი და გამარჯვებულად სცნო 33 პიონერი, ხოლო 47 პიონერისა და მოსწავლის პასუხები ძირითადად მოიწონა.

გამარჯვებულები საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტში იქნენ მოწვეული, სადაც მათ საზეიმო ვითარებაში გადაეცათ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი და ჟურნალ „პიონერის“ სამახსოვრო საჩუქრები.

## გამარჯვებულები

1. დაშნიანი მაია, ქუთაისის 28-ე საშუალო სკოლა, VI კლასი; 2. ჩხარტიშვილი ელგუჯა, ლანჩხუთის რაიონის სუფსის საშუალო სკოლა, VIII კლასი; 3. წურწუმია თეიმურაზ, ქ. ცხაკაიას 1-ლი საშუალო სკოლა, VI კლასი; 4. ბიგვავა ლია, ზუგდიდის რაიონის, ტელმანის საშუალო სკოლა, VII კლასი; 5. ღლონტი ნათელა, მახარაძის რაიონის ქვემო ნატანების საშუალო სკოლა, VII კლასი; 6. კარტოზია აზა, ცხაკაიას 1-ლი საშუალო სკოლა, VIII კლასი; 7. ჯიბლაძე მაია, სამტრედიის რაიონის ჩხენისის საშუალო სკოლა, V კლასი; 8. დათეშიძე ნათელა, ქ. ჭიათურის მე-7 საშუალო სკოლა, VIII კლასი; 9. ხაბულიანი ქეთინო, ლენტეხის საშუალო სკოლა, VII კლასი; 10. სოხაძე ქეთევან, ქ. რუსთავის მე-15 საშუალო სკოლა, VII კლასი; 11. ხუნწელია რევაზ, გეგეჭკორის მე-2 საშუალო სკოლა, VI კლასი; 12. ბიწაძე ვაჟა, ჭიათურის რაიონის ცხრუკვეთის 8-წლიანი სკოლა, VII კლასი; 13. ანიკო და მაია აბრამიშვილები, თიანეთის მ. გელოვანის სახელობის საშუალო სკოლა, VII და IV კლასი; 14. გოლანძია ბადრი, გალის რაიონის მუხურის საშუალო სკოლა, VIII კლასი; 15. გოდერიძე ზაზა, ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლა, V კლასი; 16. ბრძელიძე გიორგი, მაიაკოვსკის რაიონის დიმის საშუალო სკოლა, VII კლასი; 17. დიასამიძე გიორგი, ასპინძის საშუალო სკოლა, VI კლასი; 18. ჯლამაძე ნუნუ, ქ. წულუკიძის მე-2 საშუალო სკოლა, VI კლასი; 19. თევზაძე დავით, ქ. სოხუმის შ. რუსთაველის სახელობის 1-ლი საშუალო სკოლა, VII კლასი; 20. ჩუბინიძე დავით, ქ. ტყიბულის მე-5 საშ. სკოლა, VII კლასი; 21. ღლონტი შოთა, თბილისის 151-ე საშუალო სკოლა, VI კლასი; 22. ჩიქობავა თენგიზ, ქ. ცხაკაიას 1-ლი საშუალო სკოლა, VI კლასი; 23. ქურაშვილი დავით, ქ. ცხაკაიას მე-2 საშუალო სკოლა, VII კლასი; 24. ბოცირიძე ოლანი, თბილისის 132-ე საშუალო სკოლა, VII კლასი; 25. კაკაჩია ლუარა, წალენჯიხის რაიონის ობუჯის 8-წლიანი სკოლა, VI კლასი; 26. კოკაძე დოდო, ქარელის რაიონის დვანის საშუალო სკოლა, VIII კლასი; 27. ბაბუა ზურაბ, ქ. ფოთის მე-6 საშუალო სკოლა VII კლასი; 28. ქიშმარეიშვილი თეიმურაზ, ქ. ქუთაისის მე-6 საშუალო სკოლა, VIII კლასი; 29. ლორთქიფანიძე მამუკა, ქ. ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლა, VI კლასი; 30. მაისურაძე მედეა, ქ. მახარაძის ეგ. ნინოშვილის სახელობის 1-ლი საშუალო სკოლა, VII კლასი; 31. თავაძე ილია, ლანჩხუთის რაიონის ჯურუკვეთის საშუალო სკოლა, VI კლასი; 32. ბუცხრიკიძე ლია, თეთრი წყაროს რაიონის ჩხარის საშუალო სკოლა, VI კლასი; 33. ჩიხრაძე რევაზ, ჩიკვილაძე მერი, ყვირილიანი სუსანა, დემეტრაშვილი ცისანა, ბერიშვილი ოლია, ქ. ონის საბავშვო სახლის ი. გაგარინის სახელობის პიონერული რაზმეულის წევრები.


გ. დიასამიძე


ი. თავაძე


დ. თევზაძე


ა. კარტოზია


ლ. კაკაჩია


დ. კოკაძე

## მოსწავლეები, რომელთა ნამუშევრები მოწონებულ იქნა

1. სარდანიშვილი ოთარ, თბილისის 87-ე საშ. სკოლა, VII კლასი; 2. პერტაია ალექსანდრე, ჩხოროწყუს რ-ნის ლეწურწუმის საშ. სკოლა; 3. ლენტეხის სკოლა-ინტერნატის V კლასის მოსწავლეები. 4. დგებუაძე ნანა, ოჩამჩირის რ-ნის მერკულის 8-წლიანი სკოლა, VII კლასი; 5. ოქროპირიძე ლელა, ქობულეთის რ-ნის ქაქუთის საშ. სკოლა, VI კლასი; 6. ძარელი ლეილა, გორის რ-ნის ტყვიავის საშ. სკოლა, VII კლასი; 7. ქლენტი თამრიკო, ჩოხატაურის რ-ნის ქვენობანის საშ. სკოლა, VIII კლასი; 8. ბერიძე ქანა, ხელვაჩაურის რ-ნის განთიადის საშ. სკოლა, VII კლასი; 9. ცერცვაძე გიორგი, ზესტაფონის რ-ნის ზედა საქარის საშ. სკოლა, VII კლასი; 10 ბერიძე როლანდი, ქ. ცხაკაიას 1-ლი საშ. სკოლა, VI კლასი; 11. ფარტენაძე გულიხერ, ქედის რ-ნის, პირველი მაისის საშუალო სკოლა, VIII კლასი; 12. ამაღლობელი ლალი, სამტრედიის რ-ნის გომის საშ. სკოლა; 13. გოდაველი მზია. თიანეთის რ-ნის დაბა სიონის საშ. სკოლა, V კლასი; 14. ბიძაშვილი მალხაზ, საჩხერის რ-ნის ორღულის 8-წლიანი სკოლა; 15. კიკნაძე მანანა, ქ. ჭიათურის მე-2 საშ. სკოლა, VIII კლასი; 16. პაპუკაშვილი მარინე, რუსთავის მე-6 საშ. სკოლა, VII კლასი; 17. არველაძე ლელა, მინაშვილი მარინე, გოგოძე ნანა, ღვინიანიძე ლელა, ვანის რ-ნის შუამთის საშ. სკოლის მოსწავლეები. 18. ხაბულიანი ნარგიზა, ცაგერის რ-ნის ბარდნალის საშ. სკოლა, VII კლასი; 19. ჯოჯუა გიორგი, ქ. ფოთის მე-7 საშ. სკოლა, VI კლასი; 20. ლალანიძე ზაზა, ქ. ცხაკაიას მე-3 საშ. სკოლა, V კლასი; 21. მოსიძე რუსუდან, ონის რ-ნის ირის საშ. სკოლა, VII კლასი; 22. თომაშვილი დალი, ქ. თბილისის მე-14 საშ. სკოლა, VII კლასი; 23. ახალაია ვიოლეტა, გეგეჭკორის რ-ნის დიდი ჭყონის საშ. სკოლა, VI კლასი; 24. საზანდრიშვილი ფატმანი, ქარელის მე-2 საშ. სკოლა, IX კლასი; 25. სანიკიძე ლია, სამტრედიის რ-ნის გომის საშ. სკოლა, VIII კლასი; 26. მატუაშვილი ნინო, ყვარლის რ-ნის ენისელის საშ. სკოლა, VII კლასი; 27 ქავთარაძე ლალი თელავის მე-2 საშ. სკოლა VII კლასი; 28. კვერენჩხილაძე ნანი, ტიკაძე დავით, ლომინეიშვილი ჯუმბერ, ლანჩხუთის რ-ნის ჩოჩხათის საშ. სკოლა, VI კლასი; 29. მაჩიტაძე თამაზ, ზესტაფონის რ-ნის როდინოულის საშ. სკოლა, IX კლასი; 30. ჯინჭარაძე ჯემალ, ქ. ბათუმის ბარათაშვილის სახელობის № 2 სკოლა-ინტერნატი; 31. ნაკაშიძე დავით, თბილისის 31-ე საშ. სკოლა, VII კლასი; 32. როგავა ანდრო, თბილისის № 1 ექსპერიმენტული სკოლა, IV კლასი; 33. შენგელია როუზი, (რამაზი), თბილისის 119-ე საშ. სკოლა, IV კლასი; 34 თალიაშვილი მიხეილ, ახმეტის რ-ნის მატნის საშ. სკოლა; 35. გათენაშვილი მარინე, ლენინგორის 1-ლი საშ. სკოლა, VI კლასი; 36. ძაჯაია ზურაბ, თბილისის 126-ე საშ. სკოლა, V კლასი; 37. მეძღლიშვილი ალექსი, ხაშურის რ-ნის ქვიშხეთის საშ. სკოლა, VIII კლასი; 38. კილაძე დალი, საჩხერის რ-ნის კორბოულის საშ. სკოლა, VII კლასი; 39. მეძღლიძე ზამირა, თიანეთის რ-ნის ხევსურთსოფლის საშ. სკოლა, VIII კლასი; 40. ონიანი ჯილდა, ლენტეხის რ-ნის ლენტეხის საშ. სკოლა, VI კლასი; 41. ბაბუნაშვილი თეიმურაზ, წყალტუბოს რ-ნის მუხიანის საშ. სკოლა, IX კლასი; 42. გამტკიცელაშვილი გია და გელა, თელავის რ-ნის ნაფარეულის საშ. სკოლა, VI კლასი; 43. კოპალიანი ციალა, ქ. ოჩამჩირის № 1 საშ. სკოლა; 44. ხატიაშვილი ზურაბ, ქ. რუსთავის მე-15 საშ. სკოლა, X კლასი; 45. პაპუაშვილი რუსუდან, ქუთაისის მე-15 საშ. სკოლა; 46. ლექავა რიმა, გალის რ-ნის აჩიგვარის 1-ლი საშ. სკოლა, 47. კინწურაშვილი თემურ, ქ. ცხაკაიას მე-2 საშ. სკოლა.


მ. ლორთქიფანიძე


მ. მაისურაძე


ქ. სოხაძე


თ. ქიშმარეიშვილი


ნ. ღლონტი


შ. ღლონტი


დ. ქურაშვილი


თ. ჩიქობავა


დ. ჩუბინიძე


ე. ჩხ... ლი


თ. წურწუმია


ქ. ხაბულიანი


რ. ხუნწელია


მ. ჯიბლაძე


ნ. ჯლამაძე


ც. დემეტრაშვილი. ს. ყვირილიანი. რ. ჩიხრაძე.
ო. ბერიშვილი. მ. ჩიკვილაძე.



ჩოგბურთის ბურთის ტყორცნა

# ყურადღება, სტარტზე!

ძველ დროს, სახელმწიფოთა შორის განუწყვეტელი ომი მიმდინარეობდა, ერთნი თავიანთ დამოუკიდებლობას იცავდნენ, მეორენი ახალი მიწების დასაპყრობად ილტვოდნენ. ბრძოლის ბედს უმეტეს შემთხვევაში ხელჩართული შერკინება წყვეტდა. მეომრის მთავარი იარაღი კი მოკლე შუბი და მახვილი იყო. შუბებს უმთავრესად სატყორცნად იყენებდნენ.

ამ იარაღს რომ ზედმიწევნით დაუფლებოდნენ, მეომრები განუწყვეტლივ ვარჯიშობდნენ შუბის შორს და ზუსტ ტყორცნაში. ასე, თანდათან, ეს ვარჯიში ურთიერთშორის შეჯიბრად გადაიქცა, შემდგომ კი ოფიციალური შეჯიბრის სახე მიიღო, სადაც შედეგებს მსაჯები საზღვრავდნენ. მანძილის გაზომვა ტერფებით ხდებოდა, იმ დროს ეს ყველაზე ზუსტი საზომი იყო.

შუბის ტყორცნა დღეს მძლეოსნობის ერთ-ერთი საინტერესო სახეობაა. ეს სახეობა მარტო „მამაკაცური" როდია, შუბის ტყორცნაში ქალებიც ეჯიბრებიან ერთმანეთს და საკმაოდ მაღალ შედეგებსაც აღწევენ. ამ იარაღის კარგად დასაუფლებლად ტყორცნის სწორი ტექნიკის ცოდნა და თანაც მკლავის, ფეხისა და სხეულის სხვა კუნთების გამოწრთობა-გამაგრებაა საჭირო. ამიტომ ექცევა ასეთი დიდი ყურადღება ბურთის ტყორცნას. იგი შეამზადებს შენს ორგანიზმს შუბის სატყორცნად. ამასთან, მესამე საფეხურის ნორმატივების ჩაბარებისას ხელყუმბარის ტყორცნის ჩაბარებაც დაგვჭირდება, ეს კი გაცილებით მძიმე იარაღია და კარგ ფიზიკურ წრთობას მოითხოვს.

ბურთის, ხელყუმბარისა და შუბის ტყორცნის ტექნიკა ძალზე ჰგავს ერთმანეთს, ამიტომ ბურთის ტყორცნის დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ტყორცნის ტექნიკის ზუსტ ათვისებას.

ველად რომ გახვალ, რაც შეიძლება ხშირად ისროლე სხვადასხვა საგანი, ზამთრობით კი ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა და იგუნდავე.

ტყორცნა ჯერ ადგილიდან უნდა ისწავლო. ამისთვის ხაზთან მარცხენა ფეხით უნდა დადგე, მარჯვენა კი უკან გადადგა. ფეხი ოდნავ მოხარე. ასეთი მდგომარეობიდან ბურთიანი ხელი მაღლა და წინ უნდა აიქნიო, ერთდროულად ტანიც და მხარიც შეაბრუნე და ბურთი ისროლე. ეს მოძრაობანი მთელი ძალით უნდა გაკეთდეს. ეცადე, ტანი რაც შეიძლება სწრაფად შემოატრიალო, რადგან ეს თითქმის გადამწყვეტია ბურთის, ხელყუმბარისა და შუბის ტყორცნის დროს. როცა ამ მოძრაობას დაეუფლები, შეგიძლია სამნაბიჯიანი გარბენაც აითვისო. ამისათვის სახით დადექი ტყორცნის მიმართულებით, მარჯვენა ფეხი წინ გადადგი, მარცხენა კი — ნახევარი ნაბიჯით უკან, ნაბიჯის გადადგმასთან ერთად მხრებიც შეაბრუნე და ბურთიანი ხელი უკან წაიღე. შემდეგი ნაბიჯი ასეთია: მარჯვენა ფეხი სწრაფად მიდის წინ და სხეულისაკენ ტერფით შემობრუნებული იდგმება. ამასობაში მკლავმა და მარცხენა ფეხმა მოძრაობა უნდა დაამთავროს. კარგია, თუ ბურთს მიზანში ისვრი და, საერთოდ, მიწაზე ან კედელთან ათამაშებ.





## გალიების კოლექცია

მგალობელი ფრინველი ბევრს უყვარს, მაგრამ, თურმე, ზოგიერთი ადამიანი ცარიელი გალიების მოყვარულიც ყოფილა. აი, მაგალითად, ქალაქ ლიონის მკვიდრი, ფრანგი ინჟინერი ჟან ლაბონი. მან უკვე ხუთასზე მეტ გალიას მოუყარა თავი. ამ გალიების უმრავლესობა საქვეყნოდ ცნობილ არქიტექტურულ ნაგებობათა მოდელია. ლაბონმა გალიების სამ საერთაშორისო გამოფენაზე გაიმარჯვა.

## „გადაშენებული" ცხოველი

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი პლანეტის ფაუნა თითქმის მთლიანად შესწავლილია, მაგრამ ახალი, დღემდე უცნობი ცხოველების აღმოჩენა დღესაც გრძელდება.

ამ ცოტა ხნის წინათ კუბელი მეცნიერები დიდად განაცვიფრა ერთმა ამბავმა. რა მოხდა?

სწავლულები ფიქრობდნენ, რომ პატარა ტანის მწერიჭამია ცხოველი ალიმონი კარგა ხანია გადაშენდა. ეს ცხოველი რამდენიმე მილიონი წლის წინათ ბინადრობდა ჰაიტის კუნძულზე. სწორედ აქ იპოვეს მისი ჩონჩხის ნაწილები ტრიასის პერიოდის ქანებში.

შარშანდელ ზაფხულს კი სანტიაგო-დე-კუბას რაიონის გლეხებმა ბიოლოგების ეს მოსაზრება გააბათილეს. ისინი გვიმრამოდებულ უღრან ტყეში წააწყდნენ უცხო ცხოველის კვალს. ძაღლის დახმარებით მის ბუნაგს მიაგნეს. იქ მათ დაინახეს ნახევარი მეტრი სიგრძის, ვირთაგვის მსგავსი არსება, რომელიც ყავისფერი ბეწვით იყო შემოსილი და უკანა თათებზე ბასრი ბრჭყალები ჰქონდა. იგი დიდი გაჭირვებით დაიჭირეს და კუბის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტს გადასცეს. უცხო ცხოველი სწორედ ის „გადაშენებული" ალიმონი აღმოჩნდა.

## ახალი სატელევიზიო პროგრამით...

მგალობელ ფრინველთა დიდად მოყვარულმა ერთმა ვისბადენელმა გადაწყვიტა გადაეხალისებინა სატელევიზიო პროგრამები. მან სამ ტელევიზორს მთელი შიგა მოწყობილობა გამოაცალა, „ცისფერი" ეკრანი ჩვეულებრივი გამჭვირვალე მინით შეცვალა და ცარიელ ტელევიზორებში ფრინველები ჩაასახლა. მას შემდეგ იგი უდიდესი სიამოვნებით უსმენს ახალ საუცხოო პროგრამებს — ფრინველთა კონცერტებს.

## ტელევიზორი და ბავშვები

ინფორმაციის უზომო რაოდენობა აფერხებს თანდაყოლილი შემოქმედებითი უნარის განვითარებას, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ იაპონიის სკოლების მესვეურნი, მათ მიერ მოწყობილმა ბავშვების გამოკითხვამ აჩვენა, რომ ტელეხედვა, კომიქსები და ინფორმაციის სხვა საშუალებანი ხელს უშლის ბავშვებს გულისყურით შეასრულონ სასკოლო სამუშაოები, ხოლო ქალაქელი ბავშვების 38 და სოფლელ ბავშვთა 47 პროცენტი ტელეხედვის „წყალობით" თითქმის არ კითხულობს წიგნებს.

## უუათიანი კი არის, მაგრამ...

მეცნიერთა საერთაშორისო ექსპედიციამ, რომელიც იუნესკოს დავალებით აფრიკაში მუშაობს, შეისწავლა ცილათა რესურსების პრობლემა.

კერძოდ, გამოირკვა, რომ აფრიკული ტერმიტები (მერქნის მავნებელი მწერი) ყუათიანობით ექვსჯერ აღემატებიან პირველხარისხოვან შებოლილ ღორის ხორცს. ისინი, რომ იტყვიან, პირდაპირ დატენილი არიან ადვილად ასათვისებელი და სამკურნალო ნივთიერებებით, რომლებიც ესოდენ აუცილებელია ადამიანისათვის, ოღონდ ეს არის: მოხერხდება კი ამ მწერებისაგან რაიმე გემრიელი კერძის გაკეთება?

## წყალმცენარეები ქათმებისათვის

თურმე, წყალმცენარეებით მარტო თევზებს როდი შეუძლიათ იკვებონ. ინდოეთის ქალაქ ბანგალორის სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტში სცადეს წყალმცენარეებით ქათმების გამოკვება. ცდა 6 თვეს გაგრძელდა. იმ წიწილებმა, რომელთა რაციონის ნახევარი წყალმცენარეებისაგან შედგებოდა, სხვა წიწილებთან შედარებით უფრო მოიმატეს წონაში. გარდა ამისა, მათს სისხლში გაიზარდა ჰემოგლობინის შემცველობა. ხელოვნურად მოშენებული წყალმცენარეების ქიმიური ანალიზით გამოირკვა, რომ ისინი შეიცავენ ცილებს, ფოსფორს, კალიუმს, ნახშირწყლებსა და ამინომჟავების მთელ ჯგუფს.

## ვინ ვერ გამოდგება მძღოლად?..

შვედმა ფსიქოლოგებმა დაასკვნეს, რომ მანქანის საჭესთან მჯდომი ადამიანი ერთ წუთში საშუალოდ 15 გადაწყვეტილებას იღებს. მეცნიერთა აზრით, მძღოლის პროფესიისთვის გამოუსადეგარნი არიან მეტისმეტად თავდაჯერებულნი, ყოყოჩები, რისკის მოყვარულნი, ძალზე პესიმისტები, ძალზე ოპტიმისტები და ყველა ისინი, რომელთაც მოუგვარებელი აქვთ პირადი ცხოვრება.



საწოლის ან სავარძლის საზურგეზე თუ ნათურის დამაგრება გინდა, დააკვირდი ამ ნახატს. საზურგის გაპრიალებული ზედაპირი რომ არ დააზიანო, ჩარჩოს ხავერდის ნაჭერი ან სხვა რბილი რამ დაუტანე.

ვინც ქსოვით არის გატაცებული, იმათ ასეთი რამ გვინდა ვურჩიოთ: ძაფი რომ არ დაიხლართოს, კარგი იქნება, თუ მას სანახევროდ დაჩუტულ ბურთის კამერაზე ან პატარა საბავშვო ბურთზე დახვევ.

ფეხსაცმლის გასაშრობად კი ასეთი უბრალო ჩარჩო შეგიძლია დაამზადო. ღერძულას ორივე თავზე საკიდი უნდა გაუკეთო, რათა საჭიროების მიხედვით ჩარჩო ხან ერთი თავით ჩამოჰკიდო, ხან მეორით.



კარადებისა და უჯრებისათვის შესანიშნავი სახელურები შეგიძლია გააკეთო მინისა და პლასტმასის ჭურჭლის ხუფისაგან. თუ მინის ჭურჭელს გინდა ყელი გადააჭრა, ამისთვის ძველი, ნაცადი ხერხი გაიხსენე. ჭურჭელს გასაჭრელ ადგილას კანაფი შემოახვიე, ოდეკალონში ან ნავთში დაასველე, ცეცხლი მოუკიდე და შემდეგ სწრაფად ჩაუშვი ცივ წყალში. მინა თავისუფლად გადაიჭრება. გადანაჭერი ადგილი კი ხაოიანი ქაღალდით შემოალამაზე.



საინტერესო თემა

# უკვდავების სიმბოლური ძეგლები

სწავლულისათვის უმაღლესი პატივია — როდესაც სამეცნიერო ტრაქტატებსა და ჟურნალებში ხშირად იხსენიება მისი სახელი. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ საკუთარი სახელი ზოგად სიტყვად, ტერმინად იქცა, რომელიც გამოხატავს მანქანას, ხელსაწყოს, ქიმიურ ელემენტს, მცენარეს, განზომილების ერთეულს.

ღრმა განსწავლულობა არაა საჭირო იმისათვის, რომ მიხვდე, ვისი სახელებია ნახსენები ტერმინებში ლომონოსოვიტი, ვერნადიტი, კურნაკოვიტი. ჯერ კიდევ სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ვიცით, ვისი სახელის პატივსაცემად დაერქვათ საზომ ერთეულებს გაუსი, ამპერი, კულონი, ვოლტი, ომი, ვატი, ჯოული და სხვა.

მაგრამ სამეცნიერო ტერმინებს შორის არის ისეთებიც, რომელთა პირველ წყაროებზე, მათ კავშირზე სწავლულთა სახელებთან ძალზე ცოტამ იცის.

მაგალითად, სიტყვა „ვერნერი“ — საზომი ხელსაწყოების ზუსტი მომართვის მოწყობილობა — წარმოშობილია ფრანგი მეცნიერის ვერნეს სახელიდან. ბაკელიტი—ერთ-ერთი პირველი პლასტმასა — ატარებს ამერიკაში მომუშავე შვედი ქიმიკოსის ბაკელანდის სახელს.

დოლომიტი—მთის ქანი — ფრანგი გეოლოგის გ. დე დოლომიეს სახელის მოზიარეა.

საინტერესოა, რომ დიდი ფარადეის სახელის უკვდავსაყოფად ორი ტერმინია შემოღებული — ფარადა და ფარადეი (ელექტროტექნიკური და ელექტროქიმიური ერთეულები).

ანგსტრიომის — სიგრძის უმცირეს ერთეულის (სანტიმეტრის ერთი ასმემილიონედი) სახელი შვედი ფიზიკოსის ანგსტრიომის სახელიდან მოდის. ბელი, აკუსტიკური ერთეული — ტელეფონის ერთ-ერთი გამომგონებლის ა. ბელის სახელიდან; ბოზონი, ქვანტური სტატისტიკის ერთეული — ინდოელი ფიზიკოსის ბოზეს სახელიდან, რომელიც მარია სკლოდოვსკაია-კიურისთან მუშაობდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო ქვანტური სტატისტიკის შექმნაში.

ზოგიერთმა სახელობითმა ტერმინმა, როგორც ასეთმა, თანდათან დაკარგა პირვანდელი მნიშვნელობა, ამიტომ მხოლოდ სპეციალისტთა და ლინგვისტთა მეხსიერებას შემორჩა. მაგალითად, დრეზინა — გამომგონებელი დრეზი; გილიოტინა — სიკვდილის დასჯის იარაღი, რომელიც საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს იქნა გამოგონებული ექიმ გილიოტენის მიერ. მეორე ფრანგმა ექიმმა ლუი პასტერმა თავისი სახელი უკვდავყო ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის აღმოჩენითა და საკვები პროდუქტების პასტერიზაციის მეთოდის დადგენით.

ასეთ ტერმინებს ეკუთვნის აგრეთვე პატეფონი, რომლის სახელიც წარმოსდგება ორი სახელის შერწყმისაგან, ესენი არიან გრამაფონების ფრანგული ფირმა „პატე“ და ბერძნული სიტყვა „ფონ“ (ხმა); ვატმანი — უმაღლესი ხარისხის სახაზავი ქაღალდი — ქაღალდის ფაბრიკის მეპატრონის ვატმანის სახელიდან.

ამგვარი სახელობითი ტერმინის რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება.

ი. ფილატოვი,

ჟურნალიდან „ტეხნიკა მოლოდიოჟი“.

## სარჩევი


ჩხაიძე თამარ — ქარიშხლიანი ბილიკებით (მოთხრობა. ნაწყვეტი) . . . 1
ფაილოძე ნათელა — გაიცანით მომავალი აგრონომები, მხატვრები, მფრინავები, მშენებლები... (ნარკვევი) . 5
ლორთქიფანიძე ოთარ — ახალგაზრდული პრესის ფლაგმანი (წერილი) . . . 9
იოსელიანი ოტია — ოთხი დის ზღაპარი (ზღაპარი) . . 11
კეცხოველი ნიკო — მოცარტის სიმფონია (ნაწყვეტი წიგნიდან) . . . 13
მგელაძე ნარგიზა — სამშობლო — უპირველეს ყოვლისა (წერილი) . . . 19
„აისი“ . . . 26
ისბახი ა. — პარტიზანის ვაჟიშვილი (მოთხრობა) . . . 26
„პიონერის“ ბიბლიოთეკა . . . 27
ვიქტორინა-კონკურსის შედეგები . . . 28
ყურადღება, სტარტზე! . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . 31
საზრიანის ხელში . . . 31
საინტერესო თემაზე . . . 32


გარეკანზე — „ყვავილების დღესასწაულზე“. ნახატი ზაზა სუხიაშვილისა. 9 წლის.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავაძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-03 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 17/IV-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VI-75 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 1632. ტირ. 143.300. უე 01952.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.




© „პიონერი“, 1975 წ.

## მოსწავლეთა შემოქმედება



ცხენოსანი. ეკა აბულაძე. 10 წლის.

საბავშვო ბაღი. ტაბიძე. 7 წლის.

ძველი ქალაქი. ნანი ჯაფარიძე. 13 წლის.





ჩემი მასწავლებელი. ა. მგალობლიშვილი. 6 წლის.



ელექტრონული ბიბლიოთეკა




ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76157